

სამართლის შურნაღი

ს ა რ ჩ ე ვ ი

თბილისი

2010

მთავარი რედაქტორი

დიმიტრი გეგენავა

აღმასრულებელი რედაქტორი

დავით ჯაიანი

სარედაქციო კოლეგია

ზინაიდა ჩხაიძე

თამარ ხუბაშვილი

ოთარ კვინიკაძე

დემეტრე ეგნატაშვილი

გურამ გობეჩია

© საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, 2010

© ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო (ELSA Georgia), 2010

© სტატიების ავტორები, 2010

ISSN 2233-3770

შინაარსი

წინათქმა	5
ზურაბ ნაცვლიშვილი, ნორმატიული აქტის შედგენის ტექნიკა.....	7
დომიტრი გეგენავა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ზიანზე.....	24
ანა რომანჩენკო, ავტოსატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხისათვის	42
ქეთევან ტატუაშვილი, რუსეთ საქართველოს ომის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები	67
თორნიკე ცაგარეიშვილი, თინათინ ჩანადირი, უნივერსალური იურისდიქცია საერთაშორისო სისხლის სამართალში.....	81

წინათქმა

„სარჩევი“ „საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებისა“ და „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ ერთობლივი სამართლის ჟურნალია, რომელიც 2010 წელს დაარსდა.

2010 წლის დასაწყისში გამოიცა „სარჩევის“ პირველი ნომერი ელექტრონული ჟურნალის სახით, თუმცა საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესის გამო, „საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებისა“ და „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ შეთანხმებით, გადაწყდა ჟურნალის ბეჭდური სახით გამოცემა.

ჟურნალის მიზანია ახალგაზრდობაში მეცნიერების პოპულარიზაცია, სტუდენტების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებით, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა. ჟურნალი ხელს უწყობს ახალგაზრდა მკვლევარებს გამოაქვეყნონ და საზოგადოებას გააცნონ თავიანთი ნაშრომები.

„სარჩევის“ სარედაქციო პოლიტიკას განსაზღვრავს ჟურნალის სარედაქციო კოლეგია, რომელსაც აკომპლექტებენ დამფუძნებელი გაერთიანებები. სარედაქციო კოლეგია სრულიად დამოუკიდებელია და აკრძალულია მის საქმიანობაში რაიმე ფორმით ჩარევა. იგი საკუთარი შემადგენლობიდან ერთი წლის ვადით ირჩევს ჟურნალის მთავარ რედაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს საორგანიზაციო საქმიანობის განხორციელებას, წარმოადგენს ჟურნალს და სარედაქციო კოლეგიას მესამე პირებთან ურთიერთობაში. მთავარი რედაქტორი ნიშნავს აღმასრულებელ რედაქტორს, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტული ნომრისა და მასში გამოქვეყნებული სტატიების ხარისხზე.

„სარჩევი“ მადლობას უხდის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, მის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

„სარჩევის“ პირველ ნომერში წარმოდგენილია ზურაბ ნაცვლიშვილის, დიმიტრი გეგენავას, ანა რომანჩენკოს, თორნიკე ცაგარეიშვილის, თინათინ ჩანადირისა და ქეთევან ტატუაშვილის

საინტერესო სტატიები, რომლებიც სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხს ეხება.

ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალი მალევე დაიმკვიდრებს გამორჩეულ ადგილს ქართულ სამართლებრივ სივრცეში და შეძლებს, ხელი შეუწყოს მრავალი ნიჭიერი სტუდენტისა და იურისტის პროფესიულ წინსვლას.

საუკეთესო სურვილებითა და პატივისცემით,

დimitრი გეგენავა
დავით ჯაიანი
ზინაიდა ჩხაიძე
თამარ ხუბაშვილი
ოთარ კვინიკაძე
დემეტრე ეგნატაშვილი
გურამ გობეჩია

თბილისი
დეკემბერი, 2010 წ.

ნორმატიული აქტის შედგენის ტექნიკა

შესავალი

სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგად კონცეფციაში კანონის უზენაესობა განსაზღვრულია როგორც მისი ერთ-ერთი ფუნქციონალური პრინციპი, რაც იმას გულისხმობს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონის მოქმედი ნორმების უზენაესობას, მათდამი ხელისუფლებისა და საზოგადოების პატივისცემასა და მათ განუხრელ დაცვას. ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმას, რომ მოქმედი ნორმები ყველას მიერ იქნეს დაცული და შესრულებული, არამედ თვით ამ ნორმების შინაარსსაც. ნორმათა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზოგადსაკაცობრიო და მორალურ ღირებულებებს, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული, არ უნდა ლახავდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, ანუ კანონი სამართლიანი უნდა იყოს (თუმცა, სამართლიანობის, ისევე, როგორც მორალისა და ამორალურობის არაერთგვაროვანი გაგების პრობლემატა ქალიან კარგადაა ცნობილი. სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს და სრულიად შესაძლებელია, ესა თუ ის ქცევა ან გადაწყვეტილება შეფასდეს როგორც სამართლიანად, ისე უსამართლოდ¹). ამას გარდა, კანონი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს ზემდგომ კანონს, იქნება ეს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულება თუ სხვა.

წინამდებარე სტატიაში კანონთა შინაარსობრივ მხარეზე ნაკლებად გვექნება საუბარი. ჩვენი მიზანია, შევეხოთ კანონის ფორმალურ მხარეს: კანონის სტრუქტურას, აგებულებას, კანონისა და ენის ურთიერთობას, განვიხილოთ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი აღნიშნულ სფეროში, ის პრობლემები, რომლებიც ზემოხსენებულ სფეროებში იჩენენ თავს, აგრეთვე, შევიშუშაოთ გარკვეული რეკომენდაციები აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო ტექნიკაზე საუბრისას ჩვენთვის საინტერესოა კანონმდებლობა არა ვინრო, არამედ ფართო გაგებით. იგულისხმება არა მარტო საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონები, არამედ აღმასრულებელი ორგანოების მიერ გამოცემული სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიც. შესაბამისად, ტერმინებში: „კანონი“, „ნორმატიული აქტი“, „აქტი“ — ზოგადად, ყველა ზემოთჩამოთვლილ აქტს ვიგულისხმებთ.

საკანონმდებლო პროცესი (იგულისხმება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობა) — ეს არის საკანონმ-

¹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 67.

დებლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის წესი კანონების შექმნის სფეროში. საკანონმდებლო პროცესისგან უნდა განვასხვავოთ კანონშემოქმედების ცნება. ეს უკანასკნელი გაცილებით ფართო შინაარსისაა და მოიცავს საქმიანობას, რომელიც სამართლის მეშვეობით შეიძლება არც იყოს მოწესრიგებული და არ ამოინურებოდეს მხოლოდ კანონის შექმნით, მაშინ, როცა საკანონმდებლო პროცესი, როგორც საქმიანობა, სხვადასხვა ნორმატიული აქტებით მკაცრად განსაზღვრული ფორმებით მიმდინარეობს. იმის გამოვლენა, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საჭიროა თუ არა კანონის მიღება, დაკავშირებულია სხვადასხვა მოსამზადებელი მოქმედების შესრულებასთან, როგორცაა სხვადასხვა სოციალური ფაქტორისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, მისაღები კანონის პოზიტიური და ნეგატიური შედეგების პროგნოზირება და ა.შ. ეს ყოველივე არის წინასაკანონმდებლო პროცესი და წარმოადგენს არა საკანონმდებლო პროცესის, არამედ კანონშემოქმედებითი საქმიანობის სტადიას. ის ორგანოები, პირები თუ ორგანიზაციები, რომლებიც კანონის მიღების აუცილებლობის გამოვლენით არიან დაინტერესებული, ხშირად არ გახლავთ საკანონმდებლო პროცესის მონაწილენი. მითუმეტეს, რომ კანონის მიღების საჭიროება შეიძლება გაირკვეს სხვადასხვა ხერხით და საშუალებით, რომელსაც სოციოლოგიური, პოლიტიკური და სხვა მეცნიერებები იყენებენ².

იურიდიულ ლიტერატურაში საკანონმდებლო პროცესის 4 ძირითადი სტადია გამოიყოფა:

1. საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება — საკანონმდებლო პროცესის პირველი სტადია, რომლის დროსაც საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად უფლებამოსილ სუბიექტს ოფიციალურად შეაქვს კანონპროექტი. სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტთა წრე, თუმცა ძირითადად ესენი არიან: პარლამენტის ფრაქცია, პარლამენტის წევრი, მთავრობა, პრეზიდენტი, ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობა;

2. კანონპროექტის განხილვა — ეს არის საკანონმდებლო პროცესის ყველაზე მოცულობითი და შრომატევადი სტადია. კანონპროექტის განხილვის დროს ყველა ქვეყანაში გამოიყენება საპარლამენტო მოსმენა. სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტში მოსმენების რაოდენობა მერყეობს ერთიდან ოთხამდე. მაგალითად, ბულგარეთში პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს 2 მოსმენას, საფრანგეთში შესაძლებელია ოთხი და მეტი მოსმენა, რუსეთში — 1 მოსმენითაც შეიძლება კანონის მიღება. ყველაზე გავრცელებულია კანონის სამი მოსმენით მიღება³. პირველი მოსმენა ზოგიერთ ქვეყანაში ითვალისწინებს კანონპროექტის განსახილველად მიღებას და მისი დასახელების გამოცხადებას პალატის თავმჯდომარის მიერ. ამ სტადიაზე ხდება კანონპროექტის ფუნ-

² ცნობილადე პ., ხუბუა გ., ხმალადე ვ., მეტრეველი ნ., კაპანაძე ო., როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2000, 50.

³ იქვე, 62.

დამენტური პრინციპების განხილვა. მაგალითად, ირლანდიასა და ავსტრალიაში უკვე ამ სტადიაზე შეიძლება კანონპროექტის უარყოფა. მეორე მოსმენა ითვალისწინებს კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას, მესამე მოსმენაზე კი შემოდის განხილვის პროცესში მიღებული დამატება-შესწორების გათვალისწინებული ვარიანტი. ამჯერად, ხდება რედაქციული ხასიათის შენიშვნების განხილვა⁴;

3. კანონის მიღება — საკანონმდებლო პროცესის მესამე ეტაპია, რომელიც გულისხმობს კანონპროექტის ტექსტის მიღებას კენჭისყრის მეშვეობით (რომლის პროცედურაც განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით);

4. ხელმოწერა და გამოქვეყნება — სწორედ გამოქვეყნების შემდეგ იძენს კანონი ოფიციალურ ძალას⁵.

ყოველივე ზემოაღნიშნულს, ანუ საკანონმდებლო პროცესს, სწავლობს კანონმდებლობის მეთოდოლოგია, ხოლო საკანონმდებლო ტექნიკა შეისწავლის კანონის შინაარსის ოპტიმალური ფორმულირების საკითხებს, ე.ი. საკანონმდებლო ტექნიკა შედარებით სტატიკურ ელემენტებზეა ორიენტირებული⁶.

საკანონმდებლო საქმიანობის სრულყოფა ლოგიკურადაა დაკავშირებული საკანონმდებლო ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესების საკითხთან⁷.

სანამ სტატიის ძირითად ნაწილზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ, თუ რა ნაწილებისაგან შედგება საკანონმდებლო ტექნიკა. როგორც აღვნიშნეთ, იგი ნორმატიული აქტის შინაარსის ოპტიმალური ფორმულირების საკითხებს შეისწავლის და შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

1. კანონის გარეგანი ფორმა და სტრუქტურა;
2. კანონის სისტემურობა;
3. კანონის ენობრივი ფორმის სრულყოფა⁸.

საქართველოში საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სავალდებულო სტანდარტების დაწესება ხდება მხოლოდ ერთი აქტით — კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“ (29.10.1996). აღნიშნული აქტი ადგენს ნორმატიული აქტის სავალდებულო რეკვიზიტებს, ნორმატიული აქტის სტრუქტურული დაყოფის წესს.

⁴ მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996, 135-136.

⁵ ცნობილადე პ., ხუბუა გ., ხმალაძე ვ., მეტრეველი ნ., კაპანაძე ო., როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2000, 51.

⁶ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 431.

⁷ Спасов Б. П., Закон и Его Толкование, Москва, 1986, 70.

⁸ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 120.

1. ნორმატიული აქტის გარეგანი ფორმა და სტრუქტურა

კანონს უნდა მიეცეს ლოგიკურად გამართული სტრუქტურა, რაც მომხმარებლისათვის არსებით დებულებებს ხელმისაწვდომს გახდის. ეს ძირითადად ნიშნავს, რომ კანონი გონივრულად უნდა იყოს დაყოფილი. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია კარგ დახმარებას გვინვედეს სათაურები, ცალკეული თავები და ნაწილები, ისევე, როგორც ლოგიკურად აწყობილი აბზაცები და ნუმერაცია. ამ პროცესისთვის შესაბამისი სახის მისაცემად რეკომენდებულია უნიფიცირებული ფორმათა სტანდარტის გამოყენება. ერთ-ერთი ნაბიჯი, რომელიც გერმანიაში ამ მიმართულებით გადაიდგა, არის სამართლებრივი ნორმების შემუშავების სახელმძღვანელო წესები (Handbuch der Rechtsförmlichkeit). კანონის ლოგიკური წყობის შემუშავებისას გონივრულია კანონის ფარგლებში გარკვეული ტექსტობრივი ჯგუფების შექმნა და მათი დაყოფა ზოგადიდან განსაკუთრებულამდე. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ეს წყობა გავრცელდეს არა მხოლოდ ცალკეული კანონის სტრუქტურაზე, არამედ მთელ სამართლებრივ სისტემაზე⁹.

1.1. სათაური

სათაური ნორმატიული აქტის ოფიციალური ტექსტის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. სათაურის საბოლოო ვარიანტი, როგორც წესი, დგინდება აქტის შემუშავების ბოლო ეტაპზე. აქტის შინაარსში ნებისმიერი ცვლილების შეტანის დროს, საჭიროა მისი სათაურის გადახედვაც. გერმანიის ბუნდესტაგში კანონის სათაურის საკითხი განიხილება კანონპროექტის მეორე მოსმენის დროს და წყდება მხოლოდ კანონის მთლიანი ტექსტის დამტკიცების შემდეგ.

ნორმატიული აქტის სათაურის მთავარი ატრიბუტია ნორმატიული აქტის დასახელება. სათაურს შეიძლება ჰქონდეს შემოკლებული ვარიანტი — მოკლე დასახელება და აბრევიატურა¹⁰.

საქართველოში თითქმის ყველა ნორმატიული აქტის სათაურის ფორმულირება ხდება შემდეგნაირად: კანონი „... შესახებ“, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „... შესახებ“, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილება „... შესახებ“ და ა.შ. გამონაკლისს წარმოადგენს კოდექსები, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და ა.შ. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, იქნება ეს მინისტრის ბრძანება, მთავრობის დადგენილება თუ სხვა, შეიძლება ადგენდეს გარკვეულ წესს, ინსტრუქციას, მაგრამ ნორმატიული აქტის სათაური მაინც ზემოხსენებული პრინციპით განისაზღვრება. მაგალითად, საქართველოს ფი-

⁹ მასბაუმი მ. ს., კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკა, ქართული სამართლის მიმოხილვა, №2-3/2004, 270.

¹⁰ *Справочник по нормотворической технике* (перевод с немецкого), Федеральное министерство юстиции Германии, Москва, 2002, 122.

ნანსთა მინისტრი ბრძანებით ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში სტაჟირების გავლის წესს. ბრძანებას დაერქმევა არა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში სტაჟირების გავლის წესი“, არამედ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“. გამონაკლისები ძალიან იშვიათად გვხვდება. მაგალითად, ერთადერთი კანონი, რომელიც არ არის კოდექსი, მაგრამ მაინც არ არის დასათაურებული ამ წესის მიხედვით, არის საქართველოს საპატენტო კანონი. ნორმატიული აქტის სათაური ტექსტში (მათ შორის — ნორმატიული აქტის ტექსტში) ბრჭყალებში ჩაისმის, თუმცა თავად აქტის დასაწყისში სათაური, რა თქმა უნდა, ბრჭყალების გარეშე იწერება. როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებლობაში ნორმატიული აქტების სათაურს ერთგვარი სისტემატიზებული ახასიათებს. ამ მხრივ სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკისაგან განსხვავება შეიმჩნევა. მაგალითად, გერმანიის კანონებში შევხვდებით როგორც შემდეგ ფორმულირებებს: Postgesetz (ფოსტის კანონი ან საფოსტო კანონი), ასევე შემდეგნაირსაც: Gesetz über ... (კანონი ...-ის შესახებ).

ნორმატიული აქტის სათაური უნდა იყოს გონივრული და მაქსიმალურად შეესაბამებოდეს აქტის შინაარსს.

ზოგიერთ სახელმწიფოში, ციტირების გაადვილების მიზნით, დასაშვებია კანონის მოკლე დასახელების ან აბრევიატურის დადგენაც¹¹. საქართველოში მსგავსი რამ არ გვხვდება.

1.2 პრეამბულა

ნორმატიულ აქტს შეიძლება ჰქონდეს პრეამბულა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნორმატიული აქტის პრეამბულაში გადმოიცემა აქტის დანიშნულება, პრინციპები, რომლებიც მას საფუძვლად უდევს. ხოლო თუ ნორმატიული აქტი არის კანონქვემდებარე, პრეამბულაში უნდა მიეთითოს, თუ რომელი აქტის შესასრულებლად იგი გამოცემულია. პრეამბულა არ შეიცავს ქვეყნის წესების მარეგულირებელ ნორმებს. პრეამბულაში შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ისევე, როგორც ნორმატიული აქტის სხვა ნაწილებში.

1.3. ძირითადი ნაწილი

სამართლის გაგაგებისა და მოხერხებულობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის სტრუქტურას. ნორმატიული აქტის სტრუქტურის შე-

¹¹ იქვე, 125.

სახებ ნორმებს შეიცავს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე და 32-ე მუხლები.

ნორმატიული აქტი შეიძლება დაიყოს კარებად და თავებად. ნორმატიული აქტები საქართველოში იყოფა მუხლებად, რომლებიც არაბული ციფრებით ინომრება. მუხლი, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს პუნქტებად, რომლებსაც კოდექსებში ნაწილი ეწოდება, ხოლო პუნქტი (ნაწილი) — ქვეპუნქტებად.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიხედვით, საქართველოში ნორმატიული აქტის დაყოფის შემდეგი სქემა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: წიგნი (მხოლოდ კოდექსებში) — კარი — თავი — მუხლი — პუნქტი (კოდექსებში — ნაწილი) — ქვეპუნქტი.

საქართველოს კანონებში ნაწინააღმდეგებლად კანონის დაყოფის ისეთ საფეხურებსაც, რომლებიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით საერთოდ არაა გათვალისწინებული. მაგალითად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საარჩევნო კოდექსში, სისხლის სამართლის კოდექსში, „მენარმეთა შესახებ“ კანონში დაყოფის ყველაზე მსხვილი საფეხურია ნაწილი. ანუ ეს კოდექსები იყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო კოდექსზეც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ზოგად და კერძო ნაწილებად იყოფა არა მთლიანად კოდექსი, არამედ კოდექსის ცალკეული წიგნი (წიგნი მე-სამე) — ვალდებულებითი სამართალი. აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით გაუთვალისწინებელ დანაყოფს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსში არსებული ე.წ. ქვეთავები, რომლებიც თავებსა და მუხლებს შორის არსებულ დამატებით საფეხურად გვევლინება და რომაული ციფრებით არის დანომრილი. ამას გარდა გვხვდება კიდევ სხვა სახის გაუთვალისწინებელი დანაყოფები, მაგალითად სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნი (სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი) იწყება „შესავალი დებულებანი“-თ, რომელიც არ წარმოადგენს არც კარს, არც თავს, არც ნაწილს და არც ე.წ. ქვეთავს.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიხედვით, წიგნი, კარი და თავი ინომრება რომაული ციფრებით, მუხლი და პუნქტი (ნაწილი) ინომრება არაბული ციფრებით, ხოლო ქვეპუნქტი — ქართული ანბანის ასოებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში წიგნები დანომრებულია არა რომაული ციფრებით, არამედ შემდეგნაირად: „წიგნი პირველი“, „წიგნი მეორე“ და ა.შ. მსგავსად არის დანომრილი კარები და თავები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

ნორმატიულ აქტში წიგნის, კარის, თავის, მუხლის, პუნქტის (ნაწილის) ან ქვეპუნქტის დამატების შემთხვევაში, დამატებული მუხლი, პუნქტი და ა.შ. ინომრება შემდეგნაირად: მიეთითება მისი წინა დანაყოფის ნომერი და დამატებითი (პრიმა, სეკუნდა...) ციფრი. ანუ დაუშვებელია მთელ აქტში ნუმერაციის შეცვლა. მაგალითად, თუ კანონი შედგება 20 მუხლისაგან და მე-17-სა და მე-18 მუხლს შორის ჩაემატება რაიმე მუხლი, იგი იქნება მუხლი 17¹ ხოლო შემდეგი მუხლების ნუმერაცია უცვლელი დარჩება. თუ იმავე ადგილას კიდევ ჩაე-

მატა მუხლი, იგი 17² უნდა იყოს. იგივე წესი ვრცელდება წიგნებზე, კარებზე, თავებზე, პუნქტებზე და ქვეპუნქტებზე. პრაქტიკაში მიღებულია, რომ დამატებითი ციფრები ყოველთვის არაბული ციფრებია. ნორმატიულ აქტში რაიმეს ამოღების ან ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, მის ადგილას მიეთითება ის ნორმატიული აქტი, რომლითაც იგი ამოღებულად ან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი და დაუშვებელია ამოღებული დებულების ნუმერაციის შემდგომი გამოყენება იმავე აქტში. მაგალითად, თუკი ნორმატიული აქტიდან ამოღებულ იქნა რომელიმე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი, მის ადგილას მიეთითება: ძველი ნუმერაცია — „ზ“ და ის, რომ აღნიშნული ქვეპუნქტი ამოღებულია (აგრეთვე შესაბამისი აქტი). შემდგომში, თუნდაც იმ ქვეპუნქტის შემდეგ მოხდეს ჩამატება, ჩამატებული ქვეპუნქტი დაინომრება, როგორც „ზ¹“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამოღებული „ზ“ ქვეპუნქტი იყო პუნქტში უკანასკნელი ქვეპუნქტი. ამ შემთხვევაში დამატებული ქვეპუნქტი დაინომრება როგორც „თ“. იგივე წესი ვრცელდება კარებზე, თავებზე და დაყოფის სხვა სტრუქტურულ დანაყოფებზე.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიხედვით, წიგნების, კარების, თავების, მუხლების, პუნქტების (ნაწილების) და ქვეპუნქტების ნუმერაცია უწყვეტია, რაც იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, მუხლები მთელ ნორმატიულ აქტში, თავიდან ბოლომდე ინომრება უწყვეტად და წიგნის, კარი ან თავის მიხედვით, მათი ნუმერაცია ისევ ერთიდან არ იწყება. იგივე ეხება სხვა სტრუქტურულ დანაყოფსაც. თუმცა ვხვდებით ამ წესის დარღვევასაც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსში კარებისა და თავების ნუმერაცია წიგნების მიხედვით თავიდან იწყება (მაშინ, როდესაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში წიგნების მიუხედავად კარებისა და თავების ნუმერაცია უწყვეტია). რაც შეეხება პუნქტებს (ნაწილებს) და ქვეპუნქტებს, გაუგებარია მათი უწყვეტობის მოთხოვნა „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიერ, რადგანაც ყოველ მუხლში პუნქტების (ნაწილების) ნუმერაცია და ყოველ ნაწილში ქვეპუნქტების ნუმერაცია თავიდან უნდა დაიწყოს. სხვა-ნაირად წარმოუდგენელია.

კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს გააჩნია ერთი თავისებურება: საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით, მათში, ჯერ მიეთითება, რომ დამტკიცდეს ესა თუ ის წესი, ინსტრუქცია და სხვა, და აგრეთვე მიეთითება აქტის ამოქმედების ვადა, ხოლო შემდეგ იწერება უშუალოდ აღნიშნული წესი თუ ინსტრუქცია, რომელშიც ნუმერაცია ერთიდან იწყება.

წიგნს, კარსა და თავს უნდა ჰქონდეს სათაური, მუხლს — შეიძლება ჰქონდეს სათაური, ხოლო პუნქტი (ნაწილი) და ქვეპუნქტი უსათაუროა. თუმცა აღნიშნული მოთხოვნების დარღვევასაც ვხვდებით: მაგალითად, საარჩევნო კოდექსში კარები არ არის დასათაურებული.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუ მუხლი რამდენიმე აბზაცისაგან შედგება, ისინი უწყვეტად არაბული ციფრებით ინომრება და მათ პუნქტები (კოდექსებში — ნაწილები) ეწოდება, თუმცა, დღესაც ვხვდებით ნორმატიულ აქტებს,

რომლებიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე მიღებული და, შესაბამისად, ჯერ კიდევ არსებობს დაუნომრავი აბზაცები, რომელთაც, რა თქმა უნდა დანომვრა და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა ჭირდებათ.

ასე რომ, შეგვიძლია ცხრილის სახით ჩამოვყალიბოთ საქართველოში ნორმატიული აქტის შედგენის სტანდარტები:

	სტრუქტურული და- ნაყოფი	დანომვრა	სათაური
1	წიგნი (მხოლოდ კოდექსებში)	რომაული ციფრები	უნდა ჰქონდეს.
2	ნაწილი (ზოგადი ან კერძო)	არაა განსაზღვრული.	
3	კარი	რომაული ციფრები	უნდა ჰქონდეს.
4	თავი	რომაული ციფრები	უნდა ჰქონდეს.
5	ე.წ. ქვეთავი	არაა განსაზღვრული.	
6	მუხლი	არაბული ციფრები	შეიძლება ჰქონდეს.
7	პუნქტი (კოდექსებში — ნაწილი)	არაბული ციფრები	არ აქვს.
8	ქვეპუნქტი	ქართული ანბანის ასოები	არ აქვს.

* ნაწილსა და ე.წ. ქვეთავს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა ისინი მაინც გვხვდება საქართველოს კანონმდებლობაში: ზოგადი და კერძო ნაწილები — მრავალ ნორმატიულ აქტში, ხოლო ქვეთავები — საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

როგორც ვხედავთ, საქართველოში არის ნორმატიული აქტის სტრუქტურულად დაყოფის სავალდებულო წესები, თუმცა ბევრი რამ პრაქტიკიდან გამომდინარეობს. მაგალითად, პუნქტი (ნაწილი) ტექსტისაგან წერტილით გამოიყოფა, ხოლო ქვეპუნქტი — მარჯვენა ფრჩხილით, მუხლი პუნქტებად (ნაწილებად) გარკვეული შინაარსის მიხედვით იყოფა, ხოლო ქვეპუნქტებად დაყოფა რაიმე ჩამონათვალის არსებობის დროს ხდება, ქვეპუნქტს ხშირად ახლავს კიდევ უფრო „ქვე“ ქვეპუნქტი შემდეგი სახით:

- ა) ...;
- ა.ა) ...;
- ა.ბ) ...;

როგორც აღვნიშნეთ, მუხლი პუნქტებად (ნაწილებად) შინაარსის მიხედვით იყოფა, ხოლო პუნქტი (ნაწილი) ქვეპუნქტებად — რაიმე ჩამონათვალის არსებობისას. თუმცა, ამ პრაქტიკიდან გამონაკლისებიც ხშირად გვხვდება. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც რაიმე დიდი და არსებითი ჩამონათვალი კეთდება. მაგალითად, ნორმატიულ აქტში შეიძლება შევხვდეთ მსგავს მუხლს:

ამ კანონის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. ... — ...;

2. ... — ...;

და ა.შ.

ასეთ ჩამონათვალში, გამოდის, რომ მუხლი პუნქტებად (ნაწილებად) არის დაყოფილი, თუმცა წინადადება „ამ კანონის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა“ — ფაქტობრივად არცერთ პუნქტში (ნაწილში) არ არის მოქცეული. ასეთ შემთხვევაში ხშირად საერთოდ არ ხდება არანაირი შესავლის გაკეთება, როგორც ეს მაგალითად საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლებშია. ეს მუხლები აგრეთვე ტერმინთა განმარტებას ეხება და ნაწილებადაა დაყოფილი, თუმცა, შესავალი არ აქვს გაკეთებული და მუხლის სათაურის შემდეგ პირდაპირ ტერმინთა ჩამოთვლა იწყება.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, რომელიც საკმაოდ იშვიათია, გაცილებით ხშირად ვხვდებით მუხლის დაყოფას პირდაპირ ქვეპუნქტებად. აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია შესავლის გაკეთება, მაგალითად:

ქორწინება ნყდება:

ა) ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით;

ბ) ...;

ასეთ დროს შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ მუხლის ამგვარი სტრუქტურირება „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტს ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვითაც, „თუ მუხლი რამდენიმე აბზაცისაგან შედგება, ისინი უწყვეტად არაბული ციფრებით ინომრება და მათ პუნქტები (ხოლო კოდექსში — ნაწილები) ეწოდება“. მაგრამ მუხლის ამგვარი (პირდაპირ ქვეპუნქტებად) დაყოფა იმდენად გავრცელებული და მიღებულია ქართულ ნორმატიულ აქტებში, რომ ამ წესის ჩანაცვლება წარმოუდგენელია.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი, ასე თუ ისე ადგენს ნორმატიული აქტების სისტემური ერთგვაროვნებისათვის საჭირო მოთხოვნებს, თუმცა, ხშირია ამ

მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევები: ნორმატიულ აქტში „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით გაუთვალისწინებელ დანაყოფთა არსებობა, დანაყოფთა არასწორი ნუმერაცია, შეცდომები დასათაურებებში და სხვა. ხანდახან ადგილი აქვს ისეთ პარადოქსულ შეცდომებს, რომლებიც ჩვენ მიერ განხილულ არცერთ კატეგორიაში არ ჯდება. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მისი მიღებისთანავე გამოტოვებული იყო 666-ე მუხლი (სავარაუდოდ, გავრცელებული ცრურწმენის გამო).

მოკლედ მიმოვიხილოთ ნორმატიულ აქტში ცვლილებების/დამატებების შემტანი ნორმატიული აქტის სტრუქტურაც. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით“. როგორც წესი, ცვლილებების ან/და დამატებების შემტანი ნორმატიული აქტი არ შედგება მუხლზე უფრო ზოგადი სტრუქტურული დანაყოფისაგან. ნორმატიულ აქტში შეიძლება შევიდეს ცვლილება/ცვლილებები და/ან დამატება/დამატებები. ცვლილება თავის თავში მოიცავს ამა თუ იმ დებულების ცვლილებასაც და რომელიმე დებულების ამოღებასაც. ცვლილებების/დამატებების შემტანი ნორმატიული აქტის სათაური უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენი ცვლილება ან დამატება შედის აქტში. მაგალითად, თუკი მინისტრის ბრძანებაში უნდა მოხდეს ერთი მუხლის ამოღება (ანუ ერთი ცვლილება) და 3 მუხლის დამატება, მინისტრის იმ ბრძანებას, რომლითაც წინა ბრძანებაში მსგავსი რამ ხორციელდება, დაერქმევა ბრძანება „... ბრძანებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, მაგრამ თუკი, მაგალითად, ხორციელდება არა მარტო ერთი ამოღება, არამედ კიდევ ერთი ცვლილება, მაშინ უკვე ბრძანებაში სიტყვების „ცვლილებისა და დამატებების“ ნაცვლად იქნება „ცვლილებებისა და დამატებების“. შესაბამისად, თუკი ხორციელდება მხოლოდ ერთი დამატება და არცერთი ცვლილება ან ამოღება, ბრძანების სათაურში ჩაჯდება მხოლოდ „დამატების“ და ა.შ. თუკი ნორმატიულ აქტში ხდება რაიმეს ამოღება, ცვლილებების შემტან აქტში ეს ფორმულირდება შემდეგნაირად: „ფინანსთა სამინისტროს ბრძანება ...-ში ამოღებულ იქნას ესა და ეს მუხლი (კარი, თავი, პუნქტი, ქვეპუნქტი). შესაძლოა მიეთითოს ერთდროულად რამოდენიმე სტრუქტურული დანაყოფის ამოღების შესახებაც. თუ ხდება დამატების შეტანა, ნორმა ფორმულირდება შემდეგნაირად: ამა და ამ აქტში 27-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი: და შემდეგ დამატებული დებულების სრული ტექსტი ბრჭყალებში. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ნორმატიულ აქტში სიტყვის (სიტყვების) ან რიცხვის (რიცხვების) შეცვლის, ამოღების ან დამატების შემთხვევაში ნორმატიული აქტის პროექტი უნდა შეიცავდეს შესაბამისი პუნქტის (ნაწილის), ქვეპუნქტის სრულ რედაქციას სათანადო ცვლილების ან დამატების გათვალისწინებით“. შესაბამისად, დაუშვებელია, რომელიმე ქვეპუნქტში ერთი სიტყვის შეცვლის შემთხვევაში, ცვლილების შემტან ნორმატიულ აქტში მიეთითოს, რომ კონკრეტული

ქვეპუნქტის სიტყვა ... შეიცვალოს სიტყვით საჭიროა ახალი ვარიანტის სრული ჩანერა ცვლილებების შემტან აქტში.

ნორმატიული აქტის შინაარსობრივი მხარე, რა თქმა უნდა, მისი მთავარი მახასიათებელია, ვინაიდან სწორედ აქტის შინაარსი აწესრიგებს სხვადასხვა ურთიერთობას, მაგრამ ნორმატიული აქტის სტრუქტურული მხარე ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია და აუცილებელია აქტის გამოცემის დროს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს აქტის ფორმისა და სტრუქტურის შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან და გავრცელებულ პრაქტიკასთან. აუცილებელია დამკვიდრდეს ერთიანი სამართლებრივი ტექნიკა, თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა გაუგებრობა, რომლებიც ნორმატიულ აქტთა არასწორ და არაერთგვაროვან სტრუქტურირებას და სისტემატიზაციას ახლავს თან.

2. ნორმატიული აქტის სისტემურობა

ნორმატიული აქტი უნდა იყოს დასრულებული სისტემა. მას უნდა ახასიათებდეს ლოგიკური, ტელეოლოგიური თანმიმდევრულობა და წინააღმდეგობების არარსებობა¹².

ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში მყოფ, მაგრამ სხვადასხვა კანონებში გაბნეულ წესებში დიდი საფრთხე იმალება, რადგან ისინი სამართლის მომხმარებელს არასრულყოფილ სურათს სთავაზობენ. ამიტომ მიზანშეწონილია სამართლის ლოგიკური და გონივრული კლასიფიკაცია¹³.

დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის ლოგიკურ თანმიმდევრულობას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლი შეიცავს სწორედ აღნიშნულის მომწესრიგებელ ნორმებს. მისი პირველი პუნქტის მიხედვით, ნორმატიულ აქტს უნდა ჰქონდეს ძირითადი ნაწილი და დასკვნითი დებულებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — გარდამავალი დებულებები.

ნორმატიული აქტის დასკვნითი დებულებები შეიცავს იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც ამ ნორმატიული აქტის ამოქმედებისას ძალას კარგავენ, აქტის ძალაში შესვლის დროს და თუ აქტი განსაზღვრული ვადით არის გამოცემული — მისი მოქმედების ვადას.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს გარდამავალ დებულებებს. აღნიშნული პუნქტის მიხედვით, „ნორმატიული აქტი შეიძლება შეიცავდეს გარდამავალ დებულებებს, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისაგან განსხვავებული ნორმები ან თუ ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად გარკვეული პირობები და დროა საჭირო“.

¹² ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 120.

¹³ მასბაუმი მ. ს., კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკა. ქართული სამართლის მიმოხილვა, №2-3/2004, 270.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „თუ ნორმატიულ აქტში შევიდა ცვლილება და/ან დამატება, ნორმატიული აქტის სრული ტექსტის ოფიციალური გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს ასეთი ცვლილების და/ან დამატების მიღებისა (გამოცემისა) და ძალაში შესვლის თარიღი“.

ჩვენ ვისაუბრეთ, თუ რა სტრუქტურულ ერთეულებად უნდა იყოფოდეს ნორმატიული აქტი, თუმცა, გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ეს დაყოფა ლოგიკური და გონივრული იყოს. როგორც წესი, ნორმატიული აქტი უნდა იწყებოდეს ზოგადი (შესავალი) დებულებებით, სადაც ზოგადაა განსაზღვრული კანონის რეგულირების სფერო, საჭიროების შემთხვევაში არის კანონში გამოყენებულ ამა თუ იმ ტერმინთა განმარტება, სხვა ზოგადი ხასიათის ნორმები. შემდეგ მას უფრო კონკრეტული ხასიათის რეგულირება მოსდევს. ყოველი კონკრეტული ნორმატიული აქტის შემთხვევაში, მისმა შემქმნელმა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს:

1. რა სტრუქტურულ დანაყოფებად არის საჭირო ნორმატიული აქტის დაყოფა. ამ შემთხვევაში მრავალი ფაქტორი შეიძლება იყოს განმსაზღვრელი. მაგალითად, თუნდაც ნორმატიული აქტის მოცულობა (თუ ნორმატიული აქტი მცირე ზომისაა, შესაძლოა არ იყოს მისი კარებად ან თავებად დაყოფის საჭიროება), შინაარსი და მიზნები;

2. რის მერე რა უნდა მოდიოდეს, როგორ უნდა დალაგდეს შინაარსი, საკითხთა თანმიმდევრობა.

ნორმატიული აქტი მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს შინაგანი წინააღმდეგობებისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ უნდა შეიცავდეს ურთიერთსაწინააღმდეგო, კოლიზიურ დებულებებს. კანონმდებლობის „არაწინააღმდეგობრიობის“ პრინციპი მოითხოვს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ერთიანობას, რომელიც თავისუფალი იქნება შინაგანი წინააღმდეგობებისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ანებსებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისე შეთანხმების ვალდებულებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობებისაგან. არ უნდა არსებობდეს ნორმების კოლიზია, ანუ ორი ერთსა და იმავე ფაქტთან დაკავშირებული ნორმა, რომლებსაც მივყავართ განსხვავებულ და ურთიერთგამომრიცხავ სამართლებრივ შედეგებამდე¹⁴.

3. ნორმატიული აქტის ენობრივი ფორმის სრულყოფა

3.1. ზოგადი მიმოხილვა

საკანონმდებლო ტექნიკის პრობლემებს განეკუთვნება იურიდიული ენის, უფრო სწორად — კანონის ენის საკითხები. საკანონმდებლო საქმიანობის საფუძველია კანონშემოქმედებითი აზროვნება, ხოლო აზრის გამოხატვის ერთადერთ საშუალებას ენა წარმოადგენს. თავის

¹⁴ ვიურთენბერგი თ., საკანონმდებლო ინიციატივის პროცედურული ასპექტები, ქართული სამართლის მიმოხილვა, №2-3/2004, 262.

მხრივ, ენას, როდესაც იგი ზუსტი და სწორია და ემორჩილება სტილისტიკის წესებს, მიყვარათ სწორ აზროვნებამდე, მათ შორის — სწორ სამართალშემოქმედებით აზროვნებამდე. ყოველივე ამითაა გამონვეული კანონის ენის საკითხისადმი სპეციალური ყურადღების მიქცევის აუცილებლობა. ენა — ადამიანთა მეტყველება — არის სამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბების ერთადერთი საშუალება. ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული სამართლებრივი ნორმა შეიძლება გამოხატული იქნეს ფერად ნიშანში, ფიგურალურ გამოსახულებაში (მაგალითად, საგზაო ნიშნები), ხმოვან სიგნალში (პოლიციელის სასტვენნი). მაგრამ ამ შემთხვევებშიც სახეზე უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, ფორმულირებული ადამიანის ბუნებრივ მეტყველებაში¹⁵.

კანონის ენა არის ავთენტური, რამდენადაც მასში კანონმდებლის ნებაა გამოხატული. დაუშვებელია ნორმატიულ აქტში გამოყენებული სიტყვის შეცვლა, თუნდაც ამით არ იცვლებოდეს აზრი. აქტის ტექსტში გამოყენებული სიტყვა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ყველა ფორმალური წესის დაცვით მიღებული ახალი აქტით¹⁶.

პრაქტიკაში საკანონმდებლო ჩანაწერთა ლოგიკურობა მიიღწევა იმ მოთხოვნის დაცვის მეშვეობით, რომლის მიხედვითაც ჩანაწერის ფორმულირება უნდა იყოს მოკლე, ზუსტი და გასაგები¹⁷.

3.2. ტექსტის სიმოკლე

ნორმატიული აქტის ტექსტის სიმოკლის მოთხოვნა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას როგორც მისი სიზუსტის, ასევე გასაგებობის მისაღწევად. ლაკონურობა ნებისმიერი ქცევის წესის ღირსებაა¹⁸.

იდენტური ტერმინების უსარგებლო ჩამონათვალი შეიძლებისდაგვარად ამომწურავი რეგულირების მიზნით, ნეგატიურ გავლენას ახდენს კანონმდებლის სტილზე. უმჯობესია ზედმეტ სიტყვებზე უარის თქმა, რადგანაც ისინი ძირითადი შინაარსიდან ყურადღებას ფანტავენ, რაც მკითხველის ზედმეტ კონცენტრაციას და აქედან გამომდინარე, დროის დაკარგვას იწვევს. აგრეთვე, მიზანშეწონილია აბსტრაქტული ფორმულირება, ზედმეტი სიტყვების თავიდან ასარიდებლად¹⁹. წინადადების წყობაში ნორმატიული აქტის ლოგიკისა და სტრუქტურის ნათლად წარმოსაჩენად მიზანშეწონილია მოკლე წინადადებების გამოყენება,

¹⁵ Спасов Б. П., Закон и Его Толкование, Москва, 1986, 82.

¹⁶ ხუბუა გ, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 125.

¹⁷ Спасов Б. П., Закон и Его Толкование, Москва, 1986, 85.

¹⁸ იქვე.

¹⁹ მასბაუმი მ. ს., კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკა, ქართული სამართლის მიმოხილვა, №2-3/2004, 272.

რადგანაც მოკლე წინადადებები ხელს უწყობს აზრების გამოკვეთას და მათი მიმდევრობის უკეთ აღქმას²⁰.

კანონის სტილი განსხვავდება მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებების, ან ჩვეულებრივი მეტყველების სტილისაგან იმით, რომ არ იყენებს მათთვის დამახასიათებელ ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციებს, მხატვრულ შედარებებს და სხვა ლიტერატურულ საშუალებებს. თუმცა სხვადასხვა შემთხვევაში გამონაკლისის სახით ნორმატიული აქტის ტექსტში შესაძლოა შედიოდეს ემოციური ელემენტები, ლიტერატურულ-მხატვრული შეღამაზების მატარებელი გამოხატულებები. როგორც წესი, მსგავსი ტექსტები გვხვდება აქტის პრეამბულაში ან აქტის იმ ნაწილში, რომელიც მის მიზანს ადგენს²¹.

3.3. სიზუსტე

მეორე მოთხოვნა, რომელიც ნორმატიული აქტის ტექსტს წაეყენება, მისი სიზუსტეა. იურიდიული აზრის ზუსტი გარეგნული გამოხატულება ითვალისწინებს ისეთ ენობრივ გამოხატულებას, რომელიც განსაკუთრებით სრულად, სწორად და არაორაზროვნად გამოხატავს სამართლებრივი ჩანაწერის არსს²².

ნორმატიულ აქტში გამოყენებული ცნებები შეძლებისდაგვარად აბსოლუტური უნდა იყოს და არა რელატიური. უნდა მოვერიდოთ ისეთ ფორმულირებებს, როგორიცაა „მანქანის სწრაფი ტარება აკრძალულია“. ამის მაგივრად უნდა დადგინდეს მაქსიმალურად კონკრეტული ზღვარი, რათა ინტერპრეტაციის ალბათობა მინიმუმამდე დავიდეს. თუმცა, როდესაც კონკრეტული ზღვრის დადგენა შეუძლებელია, წესის რაობა დგინდება განსხვავებული ნიშან-თვისებების შეფასებითი ანალიზის საფუძველზე. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება კლავუზულები, რომლებიც სამართლის მომხმარებელს შეხედულებისამებრ მოქმედების საშუალებას აძლევს²³. ნორმატიული აქტი არ უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რადგან დასაბუთება შესაძლებელია უთანხმოების მიზეზად იქცეს კანონის მოქმედებასთან დაკავშირებით და ამით მის ქმედითობას საფრთხე შეუქმნას²⁴. შესაბამისად, კანონში არ გამოიყენება ისეთი ტერმინები, რომლებიც გარკვეულ დასაბუთებაზე მიუთითებენ. მაგალითად: „იმიტომ, რომ“, „რადგანაც“, „აქედან გამომდინარე“ და სხვა.

კანონის ზუსტი ფორმულირებისათვის აუცილებელია სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა. პრობლემურ საკითხს წარმოადგენს კავშირების ხმარება. კავშირთა არასწორმა გამოყენებამ შეიძლება წინადადების აზრის სრულიად განსხვავებული ფორმულირება გამოიწ-

²⁰ იქვე, 274.

²¹ Спасов Б. П., Закон и его толкование, Юридическая литература, Москва, 1986, 84.

²² იქვე, 86.

²³ მასბაუმი მ. ს., კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკა, ქართული სამართლის მიმოხილვა, №2-3/2004, 272.

²⁴ იქვე, 274.

ვიოს. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია „და“ და „ან“ კავშირების ხმარებასთან დაკავშირებული ნიუანსები. „და“ წარმოადგენს მაჯგუფებელ კავშირს და მისი გამოყენებით იქმნება კუმულაციური შემადგენლობა, ხოლო „ან“ მაცალკეებელი კავშირია და ალტერნატიულ შემადგენლობას ქმნის. სამართლის ნორმის ჩამოყალიბებისას აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, თუ რომელი კავშირის ხმარებაა საჭირო, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო უარყოფითი შედეგები. ხშირად გამოიყენება „და/ან“ („ან/და“) კონსტრუქცია. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ გარკვეული შედეგი დადგება იმ შემთხვევაშიც, თუ შემადგენლობის ელემენტთაგან ერთ-ერთს ექნება ადგილი, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ შემადგენლობის ელემენტებიდან ყველა იქნება სახეზე. პრინციპში, ცალკე „ან“ კავშირიც ხშირად იგივე შინაარსისაა, რა შინაარსისაც „და/ან“ („ან/და“) კონსტრუქცია.

ნორმატიული აქტის ტექსტის სიზუსტისათვის საერთოდ უარი უნდა ვთქვათ მის ტექსტში მსჯელობის, შეფასების გამომხატველი სიტყვების ან ისეთი სიტყვების გამოყენებაზე, რომელთა გარეშეც შესაძლებელია დასრულებული იმპერატიული აზრის გადმოცემა. დაუშვებელია ნორმატიულ აქტში გამოყენებულ იქნეს „რატომღაც“, „აღბათ“, „ნეტავ“, „თურმე“ და სხვა სიტყვები. ნორმატიულ აქტში არ უნდა იყოს კითხვითი სიტყვები (ისევე, როგორც კითხვის ნიშანი) და ყველა ზმნა მოქმედებითი გვარის ფორმით უნდა იყოს გადმოცემული (თუმცა, ქართულ ნორმატიულ აქტებში ვხვდებით ბრძანებით ფორმებსაც, მაგალითად: „დადგინდეს“, „ამოღებულ იქნეს“, „დაემატოს“ და სხვა). ზედმეტია იმპერატიულობის გამაძლიერებელი ტერმინების გამოყენება, მაგალითად: „აუცილებლად“, „ყოველ მიზეზ გარეშე“. ასეთი ტერმინები არანაირად არ აძლიერებენ მოთხოვნის სავალდებულოობას. შესაბამისად, ზედმეტია ძახილის ნიშნის გამოყენებაც.

აუცილებელია მოვერიდოთ ჰიპოთეტურ და მეტაფორულ გამოხატვებებს, ირონიას, ჟარგონს. ისინი ფარავენ ძირითად საკანონმდებლო მიზანს და შესაძლებელია გაუგებრობის მიზეზად იქცნენ²⁵.

დიდი მნიშვნელობა აქვს აქტში პუნქტუაციის ნორმების დაცვას. ნერტილის, მძიმისა და ორწერტილის არასწორმა გამოყენებამ შესაძლოა მრავალ უარყოფით შედეგამდე მიგვიყვანოს.

3.4. გასაგებობა

კანონი მოქმედებს და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სწორად გაიგება. ნორმის გასაგებობის შესაფასებლად არ არსებობს განსაზღვრული კრიტერიუმები. რიგ შემთხვევებში ეს საკითხი წყდება იმ ორგანოს ან პირის მიერ, რომელიც იყენებს კანონს²⁶.

²⁵ იქვე.

²⁶ Спасов Б. П., Закон и Его Толкование, Москва, 1986, 88.

დაუშვებელია „მხატვრული“ (შელამაზეული), მაგრამ ნაკლებად რთული და ძნელად აღსაქმელი სამეცნიერო სტილისათვის უპირატესობის მინიჭება, აგრეთვე, კანონის მნიშვნელობის გარეგნული ხაზგასმა აქცენტირებულად რთული გამოსატვის ფორმის საშუალებით. უმჯობესია გამოსატვის საყოველთაოდ მიღებული ფორმების გამოყენება, რადგანაც ისინი შესაძლებელია ფართო განხილვის საგნად იქცნენ²⁷.

როგორ უნდა დაინეროს კანონი უფრო გასაგებად? ლინგვისტები ინფორმაციული ტექსტის გასაგებობას ადგენენ ძირითადად შემდეგი ოთხი კრიტერიუმის საფუძველზე:

1. ტექსტში მოცემული დებულებების სიმარტივე, უბრალოება;
2. ტექსტის დაყოფა-წესრიგი (იგივე სტრუქტურა);
3. წინადადებათა სიგრძე, სიზუსტე;
4. დამატებითი სტიმულატორები (ტექსტის მიმზიდველობა და მისი საინტერესობა)²⁸.

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად გამოითქმება მოსაზრება, რომ სამართლებრივი აქტების ენა ყველა მქალაქისათვის უნდა იყოს გასაგები და ხელმისაწვდომი. აღნიშნული საკმაოდ მიმზიდველად უღერს, თუმცა ჩნდება კითხვა: შესაძლებელია კი აღნიშნულის მიღწევა? ანდა საჭიროა კი საერთოდ ასეთი რამ? ჩვენ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სამართლებრივი ენის ზედმეტი გამარტივებაც არაა საჭირო, რადგან ამან შეიძლება მის ვულგარიზაციამდეც მიგვიყვანოს²⁹.

3.5. ენის ნორმების დაცვა

კანონის ტექსტის სიმოკლის, სიზუსტისა და გასაგებობის გარდა, აუცილებელია, რომ კანონში ხდებოდეს ენის ნორმების დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სხვადასხვა ნორმების დარღვევა სულაც არ იწვევდეს კანონის ზემოაღნიშნული სამი მოთხოვნის დარღვევას. კანონი უნდა წარმოადგენდეს ენის დაცვისა და მისი სინმინდის შენარჩუნების ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს და წყაროს. კანონის ტექსტი, სხვა ნებისმიერი სახის ტექსტებზე უფრო მაღალი სტანდარტებით უნდა იცავდეს ენას, მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს კალკისაგან და არასწორი გრამატიკული ფორმებისაგან, როგორც ოფიციალური ტექსტი.

²⁷ მასბაუმი მ. ს., კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკა, ქართული სამართლის მიმოხილვა, №2-3/2004, 272.

²⁸ ცნობილაძე პ., ხუბუა გ., ხმალაძე ვ., მეტრეველი ნ., კაპანაძე ო., როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2000, 233.

²⁹ Спасов Б. П., Закон и Его Толкование, Москва, 1986, 90.

დასკვნა

დასკვნის სახით, შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ ის მოთხოვნები, რომელიც კანონმდებელმა თუ კანონქვემდებარე აქტის შემქმნელმა უნდა დაიცვას ნორმატიული აქტის შედგენისას, რათა აქტი საკანონმდებლო ტექნიკის მხრივ გამართულად ჩაითვალოს:

1. გონივრული სათაური და მისი შესაბამისობა აქტის შინაარსთან;
2. აქტში კანონით გათვალისწინებული სტრუქტურული დანაყოფების არსებობა;
3. სტრუქტურული დანაყოფების სწორი ნუმერაცია;
4. სტრუქტურული დანაყოფების სწორი დასათაურება;
5. სტრუქტურული დანაყოფების გონივრული შერჩევა აქტის მოცულობის, შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით;
6. ლოგიკური თანმიმდევრულობა ნორმატიულ აქტში (რის მერე რა უნდა მოდიოდეს);
7. ნორმატიულ აქტში შინაგანი და სხვა აქტთან სანინააღმდეგო კოლიზიური ნორმების არარსებობა;
8. აზრის მაქსიმალურად მოკლედ და ლაკონურად ჩამოყალიბება;
9. სიზუსტე — აზრის სრულად, სწორად და არაორაზროვნად გამოსატყვა;
10. აქტის შინაარსის მაქსიმალურად გასაგებობა;
11. აქტში გრამატიკული ნორმების, პუნქტუაციის დაცვა.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ზიანზე

შესავალი

საკუთრების უფლების ბუნებითობასა და უმნიშვნელოვანეს როლზე პიროვნების განვითარებასთან მიმართებით, უკვე კარგა ხანია აღარავინ დაობს. საკუთრების უფლება უზრუნველყოფილია როგორც სამართლებრივი აქტებით, ისე სასამართლო პრეცედენტებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს¹ (შემდგომში „ევროსასამართლო“) პრაქტიკა, რომელმაც შეიმუშავა სხვადასხვა სახელმძღვანელო პრინციპი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით.

არსებული უზრუნველყოფისა მიუხედავად, მაინც სადაოა საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებული მთელი რიგი ქმედებები და მათი განხორციელების გზები. მართალია, საქართველოში არსებობს რამდენიმე სამართლებრივი აქტი ექსპროპრიაციის შეზღუდვისა და მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში განხორციელების თაობაზე, თუმცა გასაანალიზებელია, თუ რამდენად მართებულადაა ეს ყოველივე მონესრიგებული.

წინამდებარე სტატიის მიზანია მიმოიხილოს საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი საქართველოში და მისი გამოყენების გზები, ასევე მისი სამართლებრივი მონესრიგება, შესაბამისად სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომელიც დგინდება და დგება ექსპროპრიაციის განხორციელების შედეგად; ექსპროპრიაციისა და კონფისკაციის ინსტიტუტების გამიჯვნა და მათი შედეგების მიმართ სახელმწიფოს წილი პასუხისმგებლობა.

1. საკუთრება, როგორც დაცვის ობიექტი

1.1. „საკუთრების უფლება“ და „უფლება საკუთრებაზე“

საკუთრების არსსა და დანიშნულებაზე მრავალი მოსაზრება არსებობს. თითოეული მათგანი განპირობებულია სამართლებრივი კულტურის მრავალფეროვნებითა და სახელმწიფოების ინდივიდუალური განვითარების გზით, ვინაიდან საკუთრებისადმი დამოკიდებულება სწორედ ამ გზაზე საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. სამართლის ისტორიას ახსოვს ისეთი პერიოდიც, როდესაც სოციალისტური სახელმწიფოები არათუ პატივს არ სცემდნენ, არამედ არც კი აღიარებდნენ საკუთრების, როგორც

¹ European Court of Human Rights (ECHR).

ადამიანის უფლებების თანაზიარ და თანაარსებულ ცნებას. საბჭოური იდეოლოგია საკუთრებას განიხილავდა როგორც კლასობრივი შუღლის გამჩალებელსა და დისკრიმინაციის წინაპირობას, საფუძველს².

მიუხედავად ამგვარი მიდგომისა, არსებობდა მრავალი დამახინჯებული ფორმა იმ სამართალურთიერთობებისა, რომლებიც უკავშირდება საკუთრების შინაარსსა და მის რეალიზაციას.

საკუთრების უფლების განსაკუთრებულ დელიკატურობაზე ის დისკუსიებიც მიუთითებს, რომლებიც მიმდინარეობდა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“³ ევროპული კონვენციის (შედგომში „ევროპული კონვენცია“) პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფორმულირებისას. მეცნიერთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა თავად ამ უფლების ფორმულირება, მათი ნაწილი მიიჩნევდა, რომ უპრიანი იქნებოდა გამოეყენებინათ ტერმინი „საკუთრების უფლება“, მეორე ნაწილი კი მხარს უჭერდა ცნების - „უფლება საკუთრებაზე“ - გამოყენებას.⁴

მართალია, აღნიშნული ცნებებით თავად საკუთრების და მასზე არსებული უფლების არსი არ იცვლება, თუმცა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით მსგავსი მსჯელობები გამართლებულია. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ კონვენციის სხვადასხვა ენაზე თარგმნილ ვარიანტში გამოიყენება ორივე ტერმინი.

რაც შეეხება ქართულ მეცნიერებას, იგი გამოიყენებს „საკუთრების უფლების“ ცნებას, რაც გამართლებულია კიდევაც. ამგვარად ჩამოყალიბებულ ტერმინში გამოხატულია თავად საკუთრების არსობა, რაც მოიცავს არა მხოლოდ ვინრო გაგებით კონკრეტულ სიკეთეზე უფლების არსებობას. საკუთრების უფლება თავის თავში მოიაზრებს როგორც სამართლებრივი სიკეთის არსებობას (საკუთრების უფლების ობიექტი), ისე ამ უფლების მატარებელ სუბიექტსა და ამ სუბიექტის მიერ უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას. ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან თუკი პირს აღარ გააჩნია საკუთრების უფლების რეალიზაციის პრაქტიკული შესაძლებლობა, ადგილი აქვს საკუთრების უფლების შეზღუდვას ან ხელყოფას.

საქმეზე *Papamichalopoulos and others v. Greece*, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არა მხოლოდ სამართლებრივი საფუძველით

²იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 144.

³ European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 4 November 1950, Rome.

⁴გრჯიჩი ა., მატაგა ზ., ლონგარი მ., ვილფანი ა., საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების იმპლემენტაციისათვის, თბილისი, 2008, 5; Sporrang and Lonroth v. Sweden [ECHR] application no. 7151/75; 7152/75, 23 September 1982.

გამართლებული საკუთრების ჩამორთმევა გახლავთ უფლების დარღვევა, არამედ ამგვარ ქმედებათა **de facto** განხორციელებაც უფლების დარღვევად მიიჩნევა, ვინაიდან გაცილებით მნიშვნელოვანია მესაკუთრის მიერ საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობა, ვიდრე აბსტრაქტულად არსებული უფლება.⁵

1.2. საკუთრება, გამოსატყუარი მატერიალური ფორმით

საკუთრების უფლების სტატუსიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავად საკუთრების, როგორც ამ უფლების ობიექტის დეფინიციას. თუმცა უნდა ითქვას, რომ მისი სამართლებრივი გაგება არაერთგვაროვანია⁶.

საკუთრების ცნება ქართულ სამართლებრივ მეცნიერებაში აღქმულია როგორც ნებისმიერი მატერიალური ან არამატერიალური სიკეთე, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ იგი ყოველსმომცველია. თუმცა, ამავდროულად, არსებობს მსგავსი მიდგომის ნაკლოვანებაც, ვინაიდან საკუთრება განსხვავებულად აღიქმება კერძო და საჯარო სამართალში, რაც სწორედ სამართლის ამ დარგთა თვითმყოფადობითა და მათ შორის არსებული განსხვავებებითაა განპირობებული.

კერძოსამართლებრივ მოძღვრებაში საკუთრებას სწორედ ზემოთხსენებული დოქტრინული მიდგომით აღიქვამენ და მასში ყოველივე მატერიალურ თუ არამატერიალურ სიკეთეს მოიაზრებენ, თუმცა რაც შეეხება საჯარო სამართალს, აქ სრულიად განსხვავებული ვითარებაა, რასაც თავად კანონმდებლობაც განაპირობებს.

საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტთან მიმართებით საკუთრების ცნება უნდა შემოვფარგლოთ მხოლოდ უძრავი ქონებით და სწორედ მის მიმართ გავავრცელოთ ამ ინსტიტუტის მონესრიგება. ეს გამონეუულია თავად იმ სამართლებრივი აქტებით, რომლებითაც ეს ინსტიტუტი გახლავთ მონესრიგებული, კერძოდ, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. ამ აქტების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება საკუთრების, როგორც ცნების განსხვავებული, უფრო ვიწრო განმარტება ჩამოვყალიბოთ.

ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი იცავს როგორც მოძრავ და უძრავ ქონებას, ისე

⁵ Papamichalopoulos and others v. Greece [ECHR] application no. 14556/89, 24 June 1993.

⁶ ტურავა პ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საკუთრების უფლების დაცვა, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006, 300.

ინტელექტუალურ საკუთრებას, სხვადასხვა ეკონომიკურ ინტერესებს, რეპუტაციას⁷ და ა.შ.⁸

საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტზე საუბრისას, საკუთრების ცნების ქვეშ, უპრიანი იქნება, თუკი მოვიაზრებთ უძრავ ქონებას და არა სხვა სამართლებრივ სიკეთეს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მოძრავი ქონება, როგორც ჩამორთმევისა და კონფისკაციის ობიექტი სხვა სამართლებრივი ინსტიტუტების მონესრიგების ქვეშ ექცევა. მათ ასევე ცალკე აწესრიგებს სხვადასხვა სამართლებრივი აქტი. სწორედ უძრავი ქონება გახლავთ ის, რისკენაცაა მიმართული საკუთრების ჩამორთმევა.

უძრავი ქონება როგორც საკანონმდებლო, ისე თეორიულ დონეზეა განმარტებული და მასზე შეჩერება გამართლებული არ იქნება.⁹ რელევანტურია განვიხილოთ თავად საკუთრების მიმართ განხორციელებული ქმედებანი და აქედან გამომიდინარე, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომელიც მათ კვალდაკვალ და პროპორციულად დგება.

2. საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევა

2.1. ზოგადი მიმოხილვა, შეზღუდვისა და ხელყოფის გამიჯვნა

ნებისმიერი პირის საკუთრების უფლება კონსტიტუციითაა გარანტირებული. ამ უფლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან იმ სოციალური ვალდებულებების შესრულებაა, რაც მას საკუთარი მოქალაქეების მიმართ გააჩნია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფასთან ერთად აუცილებელია განისაზღვროს უფლებაში ჩარევის ფარგლები, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან თვითნებობის მცირე გამოვლინებაც კი. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში მაინც ვერ გავიქცევით საკუთრებაზე ზემოქმედების შემთხვევებს, თუმცა ისინი ინტენსივობით და ხარისხით ერთმანეთისგან განსხვავდება.

საკუთრებით დაცულ სფეროში ჩარევა ყოველთვის არაა ერთვაროვანი, ამიტომაც დაუშვებელია მის მხოლოდ ერთ კონტექსტში განხილვა. ჩარევის მეთოდები, სიხშირე და ხანგრძლივობა გვაძლევს შესაძლებლობას გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ჩარევის ორი სახე - შეზღუდვა და ხელყოფა. თუმცა ამ უკანასკნელში დამატებით რამდენიმე სახე განიხილება: საკუთრების ჩამორთმევა

⁷ Van Marle and others v. The Netherlands [ECHR] application no. 8543/79; 8674/79; 8675/79; 8685/79, 26 June 1986.

⁸ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ასბორნ ეიდეს, კატარინა კრაუზესა და ალან როსას რედაქციით, თარგმანი ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძისა, Kluwer Law and Raoul Wallenberg Institute of Human Rights and Humanitarian Law, 236.

⁹ იხ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 146-ე მუხლი, საპარლამენტო უწყებანი №31, 1997 წ, №786-IIს.

(ექსპროპრიაცია), კონფისკაცია, საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი ხელყოფა, საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ხელყოფა.

შეზღუდვა წარმოადგენს საკუთრების ხელყოფის ისეთ შემთხვევას, როდესაც საკუთრების სუბიექტი არ იცვლება, თუმცა თავად საკუთრება იმგვარად განიცდის ზემოქმედებას, რომ შეუძლებელი ხდება მისი სრული მოცულობით გამოყენება, სარგებლობა. ცხადია, რომ ამგვარ ვითარებაში, საკუთრება, როგორც მთლიანობა არ ნადგურდება, არამედ იგი ზემოქმედების ქვეშაა და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება ფერხდება, იზღუდება.

შეზღუდვისას მნიშვნელოვანი ელემენტია თმენის ვალდებულება. ჩარევის ეს ფორმა მაშინაა სახეზე, როცა დაცულ სფეროში ჩარევა არ სცდება პირის თმენის ვალდებულებას, რომელიც მას აკისრია საკუთრების საჯარო-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე. მართალია, საკუთრებით სრული სარგებლობა იზღუდება, თუმცა პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიყენოს საკუთრება დანიშნულებისამებრ.

სრულიად განსხვავებულია სამართლებრივი მდგომარეობა ხელყოფის შემთხვევაში. ხელყოფა თავისი არსით გაცილებით მყიდვე და იმპერატიული ღონისძიებაა. მის შემთხვევაში მესაკუთრეს საკუთრების სრული ექსპლუატაცია არათუ ეზღუდება, არამედ ჩამოერთმევა კიდევაც იგი მთლიანად, ანუ საკუთრება, როგორც ობიექტი იცვლის მესაკუთრეს - სუბიექტს, ხდება მასზე უფლებამოსილ პირთა ცვლილება. კონკრეტული პირის ნაცვლად საუკუთრების სუბიექტი ხდება თავად ექსპროპრიატორი - სახელმწიფო, რომელიც უკვე შესაბამისად განკარგავს ქონებას. თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე, რომელშიც კონკრეტულად იქნება მოცემული საკუთრების ჩამორთმევის საფუძველები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელყოფა, როგორც საკუთრების ჩამორთმევის ერთ-ერთი სახე არ იქნება წარმოდგენილი. შესაძლოა იყოს საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი ქმედება, თუმცა არამც და არამც საკუთრების ჩამორთმევა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ყოველთვის სამართლებრივად გამართული და კანონიერი საფუძვლის მქონეა.

შეზღუდვისა და ხელყოფის გამიჯვნას არსებითი მნიშვნელობა აქვს ზიანის ანაზღაურებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, ვინაიდან სწორედ მათზეა დამოკიდებული თუ რა ოდენობით უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება. თუკი საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სრული ოდენობით შეიძლება დადგინდეს, შეზღუდვისას პასუხისმგებლობა თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით დგინდება.

2.2. შეზღუდვა

საკუთრების შეზღუდვა საკუთრებაზე ზემოქმედების გარკვეული ხარისხით გამოირჩევა და არ აღწევს საკუთრების ჩამორთმევის

მნიშვნელობამდე, თუმცა იგი მაინც პირის კერძო საკუთრებისაკენ მიმართული ქმედებაა, რომელიც მის მესაკუთრეს საკუთრების გამოყენების სრულ შესაძლებლობას უზღუდავს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკუთრების შეზღუდვის განხორციელებისას, აუცილებელია რამდენიმე კუმულაციური პირობა იყოს სახეზე.¹⁰ მხოლოდ ამ პირობათა აუცილებელი არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი შეზღუდვა იყოს გამართლებული: 1. საკუთრების შეზღუდვისას, აღნიშნული უნდა იყოს განპირობებული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ანუ მისი მიზანი სწორედ ამ საჭიროებით უნდა იყოს გამოწვეული. 2. შეზღუდვა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, ანუ უნდა არსებობდეს კონკრეტული ნორმატიული საფუძველი, გამოსატული კონკრეტული საკანონმდებლო აქტით. 3. შეზღუდვა არამარტო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, არამედ თავად კანონითვე განსაზღვრული წესით უნდა განხორციელდეს. აუცილებელია კანონით იქნას დადგენილი საკუთრების შეზღუდვის განხორციელების სპეციალური წესი, რათა შეზღუდვა არ გადაიზარდოს საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის უფრო მკაცრ და რთულ ფორმებში, არ გასცდეს კანონიერ ფარგლებს. ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებლის მიერ საკუთრების უფლების შეზღუდვა ფაქტობრივად საკუთრების ჩამორთმევას შეიძლება გაუტოლდეს.¹¹

შეზღუდვას წარმოადგენს ნებისმიერი კანონი, რომელიც დაავიწროებს საკუთრების ცნებას.¹² თუკი კანონი ადგენს კონკრეტულ ჩარჩოებს, საკუთრების უფლების, როგორც განსაზღვრების, ისე მისი გამოყენების მიმართ, ადგილი აქვს საკუთრების შეზღუდვას, თუმცა იქვე უნდა იყოს მითითებული საზოგადოებრივი საჭიროების აუცილებლობა და ამ შეზღუდვის განხორციელების წესი.

საკანონმდებლო საფუძვლის არსებობის მიუხედავად, არ შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ კანონმდებლის მოქმედება საკუთრების შეზღუდვისას გამართლებულია. კანონმდებელი არა მხოლოდ ფორმალურ მხარეს უნდა აქცევდეს ყურადღებას, არამედ გარკვეული მატერიალური საზღვრებითაც უნდა იყოს შეზღუდილი, რაც იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფო ერთი მხრივ შეზღუდილია კონსტიტუციის 21-ე მუხლით - საკუთრების უფლებისა და თავად საკუთრების უზრუნველყოფის, მეორე მხრივ, საჯარო ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებით.¹³

¹⁰ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი 1995, №31-33.

¹¹ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 148.

¹² კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, 172.

¹³ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 150.

სახელმწიფოს არა აქვს უფლება საკანონმდებლო ხელისუფლება გამოიყენოს იმგვარად, რომ ამით ხდებოდეს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპების უარყოფა, ვინაიდან სახელმწიფოც შეზღუდულია სამართლით.¹⁴

შეზღუდვის მახასიათებელია ასევე ის ფაქტიც, რომ ჩარევის ამ შემთხვევაში საკუთრებაზე ზემოქმედებას თმენის ფარგლები გააჩნია. შეზღუდვა, თავის მხრივ, გულისხმობს საკუთრების უფლებაში ჩარევას, როცა, მართალია, პირს უწევს ითმინოს მის საკუთრებაზე ზემოქმედება, თუმცა ეს უკანასკნელი არაა იმ ხასიათის, რომ სცდებოდეს თმენის საყოველთაო ფარგლებს, ანუ ამ ზემოქმედების შედეგად, მართალია, მესაკუთრეს მის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობა ეზღუდება და სრულად მის გამოყენებას ვერ ახერხებს, თუმცა საკუთრება, როგორც არსობა რჩება და მესაკუთრეც არ იცვლება, ანუ არ ხდება საკუთრების ტრანსფორმაცია.

კანონმდებელი შესაძლოა ითვალისწინებდეს კომპენსაციას თავის მიერ დადგენილი შეზღუდვისათვის, რათა მოხდეს სამართლიანობის პრინციპის დაცვა. თუკი თავად შემზღუდველი საკანონმდებლო აქტით არაა დადგენილი შეზღუდვისა და თმენის ვალდებულების ფარგლები, შეუძლებელი გახდება კონკრეტული შემთხვევის მიმართ დადგინდეს შეზღუდვის ფაქტი და შესაბამისად მისი წილი კომპენსაციის ოდენობა. თუკი ასე კონკრეტულად არაა დადგენილი შეზღუდვა და შესაბამისი ანაზღაურება, შეიძლება ვიმსჯელოთ უკვე თავად შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე.

სწორად ამგვარი სამართლებრივი ბუნება და მონესრიგება განაპირობებს საკუთრების შეზღუდვის, როგორც საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ზოგადაბსტრაქტულ ხასიათს.¹⁵

2.3. ხელყოფა

2.3.1. ხელყოფის ზოგადი დახასიათება და მისი სახეები

ხელყოფა საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის გაცილებით მძიმე და მკაცრ ფორმას წარმოადგენს, ვიდრე - შეზღუდვა. მართალია, ზოგადად ხელყოფა მოიაზრებს ჩარევის მძიმე ფორმებს, თუმცა აუცილებელია თავად ხელყოფის სახეების განცალკევება და ერთმანეთისგან გამიჯვნა მოვასდინოთ, რადგან თითოეულ მათგანს განსაკუთრებული შედეგი და შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი გააჩნია.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება №1/14/184,228 საქმეზე „სააქციო საზოგადოებები - „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁵ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, 172.

აუცილებელია გამოვყოთ ხელყოფის შემდეგი სახეები: კონფისკაცია, ექსპროპრიაცია, საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი და მსგავსი ხელყოფები.

კონფისკაცია შესაძლოა მიმართული იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთების მიმართ. იგი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, როგორც დამატებითი სასჯელი. სასჯელის ამგვარი ფორმა გამოიყენება, როგორც დანაშაულის იარაღის, საგნის, ისე დანაშაულის იმ ქონების მიმართ, რომელიც დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების გზითაა მოპოვებული და მასთან დაკავშირებული. კონფისკაცია ხშირად გამხდარა დავის საგანი, მათ შორის, დანაშაულის იარაღთან დაკავშირებით არსებობს ევროსასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც.¹⁶ კონფისკაციის ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ აქ ხდება ქონების იმდაგვარი ჩამორთმევა, როდესაც იგი არ ითვალისწინებს არათუ ზიანის ანაზღაურებას, არამედ პირიქით, ჩადენილი დანაშაულისათვის მისი პროპორციული სასჯელის ერთ-ერთი სახეა.

საკუთრების ჩამორთმევა, იგივე ექსპროპრიაცია, ხელყოფის კლასიკური სახეა და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, თუმცა მას დანვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი ხელყოფა გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი ქმედების განხორციელებას, რომელიც ფორმალური თვალსაზრისით ჰგავს საკუთრების ჩამორთმევას, კერძოდ, საკუთრების სუბიექტი იცვლება, ხდება მესაკუთრის ჩანაცვლება, თუმცა სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, აღნიშნული ქმედება სრულიად უკანონო და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. სწორედ ამიტომაც ამგვარ ხელყოფას „საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი“ ეწოდება.

საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ხელყოფა განსხვავდება სხვაგვარი ხელყოფისაგან იმით, რომ აქ არ გვხვდება საკუთრების სუბიექტის კანონიერი თუ უკანონო ფორმით ტრანსფორმაციის შემთხვევა. ამგვარი ხელყოფისას მნიშვნელობა ენიჭება კანონიერი ქმედების შედეგად დამდგარ გაუთვალისწინებელ გვერდით შედეგს. მართალია, ქმედება კანონიერია, ამასთან სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე და მისით დადგენილი წესით ხორციელდება, თუმცა იგი იწვევს გაუთვალისწინებელ გვერდით შედეგს, რომელიც სწორედ საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტის მსგავსია, ამასთან, სწორედ რომ მხოლოდ მსგავსებაა, რადგან ისინი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით კომპენსაციის ოდენობის ნაწილში.

¹⁶ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/384 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

2.3.2. ექსპროპრიაცია

საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი საკუთრების ხელყოფის ერთ-ერთი სახეა და მის კლასიკურ ვარიაციას წარმოადგენს. მის აღმნიშვნელ ტერმინად ასევე შესაძლებელია გამოვიყენოთ „ექსპროპრიაცია“, რომელიც მოცემულია ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში, ინგლისურენოვან ტექსტში.¹⁷

საკუთრების ჩამორთმევის არსი მესაკუთრის სამართლებრივი უფლების მოსპობაა.¹⁸ მესაკუთრის სამართლებრივი უფლება თავის თავში მოიაზრებს უფლების სამართლებრივ საფუძველსა და მესაკუთრის კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას საკუთრებისა და ამ საკუთრებაზე არსებული უფლებისადმი.

ზოგადი წესის თანახმად, საკუთრების ჩამორთმევა შესაბამისი წესების დაცვით უნდა განხორციელდეს, თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა ფორმალური შეზღუდვისაგან პრაქტიკული ფორმითაც ხორციელდება ექსპროპრიაცია. ევროპული კონვენცია იცავს „პრაქტიკულ და ეფექტურ“ უფლებას¹⁹ საკუთრებაზე, რაც გულისხმობს საკუთრების გამოყენებას, მისით სარგებლობის შესაძლებლობას.

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება ვრცელდება არამარტო დასრულებულ (უკვე განხორციელებულ) ექსპროპრიაციაზე, არამედ საკუთრების ჩამორთმევის პროცესზეც, რომელიც მიმართულია სწორედ ექსპროპრიაციის დადგომისაკენ (მისი შედეგებისაკენ).²⁰

ექსპროპრიაციად ასევე მიიჩნევა საკუთრების ჩამორთმევის დე ფაქტო განხორციელება, რომელიც ფაქტობრივი მოქმედებაა და იმავე სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, ვინაიდან აღნიშნულთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია თავად საკუთრებაზე არსებული

¹⁷ იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი, 2008, 11; იხილეთ: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №40 (47) 1999 წ, №2349 რს.

¹⁸ გრჯიჩი ა., მატაგა ზ., ლონგარი მ., ვილფანი ა., საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების იმპლემენტაციისათვის, თბილისი, 2008, 13.

¹⁹ Brumarescu v. Romania [ECHR] application no. 28342/95, 28 October 1999.

²⁰ Sporrang and Lonroth v. Sweden [ECHR] application no. 7151/75; 7152/75, 23 September 1982.

უფლების პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობა, სარგებლობა საკუთრებით, ანუ მისი რეალური დანიშნულებით გამოყენება და არა უბრალოდ აბსტრაქტული, „ხელუხლებელი“ ღირებულება, მატერიალური სიკეთე.²¹

საკუთრების ჩამორთმევისათვის აუცილებელია რამდენიმე პირობის ერთობლივი, აუცილებელი არსებობა. აღნიშნული კუმულაციური პირობები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში, რომელიც კონკრეტულად ჩამოთვლის მათ, ესენია: ა) საკუთრების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის; ბ) მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში; გ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; დ) სათანადო ანაზღაურებით. იშვიათ შემთხვევებში შესაძლოა საკუთრების ჩამორთმევა სასამართლოს გადაწყვეტილების გაეშეც მოხდეს, თუმცა ასეთ შემთხვევებში სახეზე უნდა იყოს შემდეგი კუმულაციური პირობები: ა) ჩამორთმევა უნდა მოხდეს შესაბამისი ორგანული კანონით დადგენილ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში; ბ) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის; გ) შესაბამისი ანაზღაურებით.

ორივე ზემოთმოცემულ შემთხვევაში საკუთრების ჩამორთმევა თითქმის იდენტურად ხორციელდება და მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებაა, თუმცა ამ დროსაც კი სასამართლო გადაწყვეტილების კომპენსირებას კონსტიტუცია ახდენს იმით, რომ გაცილებით მაღალი რანგის კანონს უწესებს ექსპროპრიატორს საკუთრების ჩამორთმევის განხორციელების საფუძვლად.

ნებისმიერი სხვა შემთხვევა, როდესაც წარმოდგენილი არაა რომელიმე ზემოთქმული პირობა, საკუთრების ჩამორთმევა წარმოადგენს გაუმართლებელ, უსაფუძვლო ჩარევას საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.²²

2.3.2.1. საკუთრების ჩამორთმევა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ნათლადაა გამოხატული სახელმწიფოს საჯარო ინტერესი და საჯარო-სამართლებრივი მიზანი.

მართალია, კერძო საკუთრება მისი მესაკუთრის განუყოფელი და პირუთვნელი უფლებაა, თუმცა ეს სულაც არ გამოორიცხავს საკუთრების ორმაგ დატვირთვას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრება ზოგადად და მით უმეტეს

²¹ de facto განუხორციელებლობასთან დაკავშირებით, იხილეთ: Papamichalopoulos and others v. Greece [ECHR] application no. 14556/89, 24 June 1993; Sporrong and Lonnroth v. Sweden [ECHR] application no. 7151/75; 7152/75, 23 September 1982.

²² კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, 172

უძრავ ნივთებზე შეუძლებელია განვიხილოთ, როგორც მხოლოდ კერძო ინტერესების საქმე. საზოგადოებრივი ინტერესები საკუთრების აუცილებელი ტვირთია და ამდენად, უძრავ ქონებაზე საკუთრებისას შერწყმული უნდა იყოს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები.²³

საკუთრების რეალური არსი და დანიშნულება სწორედ მის სოციალურ ბოჭვაში ვლინდება, რომელიც თავისთავად გულისხმობს საკუთრების სოციალურ ფუნქციასაც.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების დასადგენად საჭიროა მივმართოთ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონს, კერძოდ კი მის მე-2 მუხლს, რომლის მე-2 პუნქტი ზუსტად განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა განხორციელდეს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მიზნით ექსპროპრიაცია.

ექსპროპრიაციის განხორციელებისათვის აუცილებელ პირობად ასევე მიიჩნევა სპეციალური კანონისა და მისით დადგენილი შემთხვევების არსებობა.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი ზუსტად განსაზღვრავს საკუთრების ჩამორთმევის საფუძვლებს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ექსპროპრიაცია ხორციელდება კონკრეტული სამუშაოების წარმოების მიზნით.²⁴

ექსპროპრიაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება შესაბამის სასამართლოს გადაწყვეტილებას. მართალია, ექსპროპრიაციას უშუალოდ ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თუმცა ისინი ვალდებულნი არიან მიმართონ უფლებამოსილ სასამართლოს. შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს განცხადებას ექსპროპრიაციის თაობაზე.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში ექცევა, ვინაიდან კანონის თანახმად სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთრების ჩამორთმევის შესახებ აღსრულდება დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულების წესით.²⁵

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება №1/14/184,228 საქმეზე - სააქციო საზოგადოებები - „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²⁴ იხ: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი მე-2 პუნქტი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №40 (47) 1999 წ, №2349-რს.

²⁵ იხ: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №40 (47) 1999 წ, №2349-რს.

კომპენსაცია საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია, ვინაიდან სწორედ ზიანის ანაზღაურების პროპორციებსა და ოდენობაში გამოიხატება ექსპროპრიაციის ინდივიდუალურობა. დაწვრილებით კომპენსაციის ოდენობასა და რაოდენობაზე ქვემოთ გვეყენება საუბარი სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

2.3.2.2. საკუთრების ჩამორთმევა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე

სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია შესაბამისი ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და შესაბამისი ანაზღაურებით.²⁶ აღნიშნული პირობები კუმულაციური ხასიათისაა, ამიტომაც სამივე პირობა აუცილებლად უნდა იყოს სახეზე წარმოდგენილი.

სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე საკუთრების ჩამორთმევა აუცილებელია „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლისა საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც კონკრეტულად აყალიბებს გარემოებებს, როდესაც სასამართლოს გარეშეც შესაძლებელია ექსპროპრიაციის განხორციელება.

აღნიშნული კანონის მე-2 მუხლი განმარტავს გადაუდებელი აუცილებლობის ცნებას, რომელიც აღნიშნავს, რომ გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებას განეკუთვნება შემთხვევები, როდესაც ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის, ეპიზოდის გამო საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას.

გარდა აღნიშნული კანონისა შესაბამის კანონმდებლობაში უნდა მოვიხიროთ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შესახებ კანონმდებლობაც, ვინაიდან ორგანული კანონის თანახმად, სწორედ აღნიშნულ კანონმდებლობას ენიჭება უპირატესობა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ექსპროპრიაციისას.²⁷

რაც შეეხება საზოგადოებრივ საჭიროებას, აღნიშნული კრიტერიუმი აერთიანებს საჯარო-სამართლებრივ მიზანსა და საჯარო ინტერესებს. აღნიშნულის მტკიცება უკვე თავად სახელმწიფოზეა და მის სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე ექსპროპრიაციის სფეროში. ანაზღაურება სწორედ ამ ელემენტების გათვალისწინებით დგება და იგი ზუსტადაა განსაზღვრული შესაბამისი კანონმდებლობით.

²⁶ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ., №31-33.

²⁷ იხ: „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისა საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი №46, №1054-II.

3. ზიანის ანაზღაურება

3.1. ექსპროპრიაციის შედეგებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

ინდივიდის დამოკიდებულება თანამედროვე სახელმწიფოსადმი წარმოშობს აუცილებელ მოთხოვნილებას სტაბილურ და განჭვრეტად ნებსრიგზე.²⁸ თითოეულ მოქალაქეს უნდა გააჩნდეს მის საკუთრებაში არსებული ქონების უსაფრთხოების განცდა, ასევე მოლოდინი, რომ მის ქონებაზე ზემოქმედება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, კანონიერი საფუძვლით იქნება განპირობებული. ამ ზემოქმედებას კი აუცილებლად მოჰყვება შესაბამისი კომპენსაცია.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედება, რომელიც კერძო პირის უფლებათა დაცულ სფეროში ჩარევას, იმავდროულად გულისხმობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას დამდგარ შედეგთან დაკავშირებით. ვინაიდან საქმე გვაქვს პირის უფლებათა ხელყოფასთან, აუცილებელია მისი თანმხვედრი პასუხისმგებლობაც იყოს განსაზღვრული.

საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი მოიაზრებს შესაბამის კომპენსაციას, რომელიც პირის დარღვეული უფლების საპირწონეა და დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს. ზოგადი წესის თანახმად, ექსპროპრიაციას კომპენსაცია მოსდევს და აღნიშნული ცნებები, ინსტიტუტები ერთმანეთისაგან განუყოფელია, თუმცა კომპენსაციის ოდენობა და მისი განსაზღვრის წესი სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია. ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისათვის რამდენიმე აქტუალური და მნიშვნელოვანი წესი არსებობს, რომლებსაც ევროსასამართლოც აღიარებს. ანაზღაურების წესები და ოდენობა ყოველთვის განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.²⁹ მნიშვნელოვანია ინტერესთა პროპორციულობის საფუძველზე დავადგინოთ, თუ რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს კერძო პირისადმი ექსპროპრიაციის შედეგად მიყენებული კონკრეტული ზიანი.

ზოგიერთი სახელმწიფო უშუალოდ კონსტიტუციის დონეზე განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების ზოგად წესსა და ოდენობას. შვეიცარიის კონფედერაციის კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ზუსტად ადგენს არა მარტო ექსპროპრიაციის, არამედ საკუთრების ჩამორთმევასთან გათანაბრებული სხვა ქმედებების (მაგ. ისეთებისა, როგორცაა: საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი ხელყოფა და საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ხელყოფა) შედეგებს და მათზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოცულობას. ხსენებული

²⁸ ტურავა პ., კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 10, №2-3, 2007, 218.

²⁹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 პუნქტი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №32(39) 1999 წ, №2181-IIს.

ნორმა ექსპროპრიაციასა და მასთან გათანაბრებულ შემთხვევებზე სახელმწიფოს ავალდებულებს მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებას.³⁰

კომპენსაციის განსაზღვრის ყველაზე გავრცელებული წესი ცნობილია „სამართლიანი ბალანსის“ სახელით (fair balance), რომლის გამოყენებაც შესაძლებელს ხდის ისეთი ფაქტების გათვალისწინებას, რომელიც სხვა შემთხვევაში ყურადღების მიღმა დარჩებოდა.³¹

მიუხედავად იმისა, თუ ანაზღაურების როგორ წესს ადგენს სხვადასხვა სახელმწიფო, გავრცელებულია მიდგომა, რომლის მიხედვითაც ექსპროპრიაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტის მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზოგიერთი სახელმწიფო ექსპროპრიაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას სწორედ ამ მიზნით შექმნილ სპეციალიზებულ სასამართლოებს ანიჭებს.³²

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოდ მხოლოდ სასამართლოს მიიჩნევს. სწორედ სასამართლო განსაზღვრავს ექსპროპრიაციის განმახორციელებელ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ასევე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

აღნიშნული კანონის მე-6 მუხლი მესაკუთრესთან წინასწარ მოლაპარაკება-მორიგებას გულისხმობს ექსპროპრიაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობად. ამასთან ექსპროპრიაციის თაობაზე ვალდებული განახორციელოს ყველა სათანადო ღონისძიება საკუთრების ჩამორთმევამდე, რაც უმთავრესად გულისხმობს ექსპროპრიაციის ხარჯითვე მოწვეულ დამოუკიდებელ ექსპერტს, რომელიც აფასებს ქონებას და განსაზღვრავს სავარაუდო საკომპენსაციო თანხას ან სხვა ქონებას საექსპროპრიაციო ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთაღნიშნული წინარესაექსპროპრიაციო ქმედებები აუცილებელია და პირდაპირ კავშირშია საკუთრების ჩამორთმევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ოდენობასთან, ვინაიდან თუკი არ მოხდა ქონების ღირებულების მაქსიმალურად ზუსტი ოდენობის დადგენა, შეუძლებელია განისაზღვროს რელევანტური

³⁰ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, ვასილ გონაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 419.

³¹ ტურავა პ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საკუთრების უფლების დაცვა, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე სტატიათა კრებული, ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006, 303.

³² დანიის კონსტიტუციური აქტი, §73.3, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, ვასილ გონაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2004.

საკომპენსაციო თანხა. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ქონების მესაკუთრე უფლებამოსილია ისარგებლოს დამოუკიდებელი – სხვა ექსპერტის მომსახურებით. ამ შემთხვევაში, თუკი ვერ ხდება მორიგება ქონების საბაზრო ღირებულებასა და კომპენსაციაზე, თითოეულ მხარეს აქვს უფლება სარჩელით მიმართოს უფლებამოსილ (განსჯად) სასამართლოს დავის გადაწყვეტის მოთხოვნით, რომელსაც შეუძლია თავად განსაზღვროს საექსპროპრიაციო ქონების კომპენსაციის სახე მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.³³ სასამართლოს ასევე შეუძლია თავად მიმართოს დამოუკიდებელ ექსპერტს სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი და სადავო ქონების შესახებ სანდო ინფორმაციისათვის.³⁴

საინტერესოა, თუ რას გულისხმობს ქართველი კანონმდებელი კომპენსაციის ცნებაში. ამისათვის უნდა მივმართოთ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტს, რომელიც გვაძლევს კომპენსაციის შემდეგნაირ განმარტებას — ა) ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ სათანადო საკომპენსაციო თანხის გადახდა ან ბ) მესაკუთრისათვის ჩამორთმეული ქონების საბაზრო ღირებულების მქონე სხვა ქონების გადაცემა.

როგორც ჩანს, კომპენსაცია ორი გზით ხორციელდება, თუმცა ორივე სრულად ჯდება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის და ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაწესებულ ჩარჩოებში, ვინაიდან ევროსასამართლოც განმარტავს, რომ მთავარია ჩამორთმეული ქონების რელევანტური საფასური, პროპორციული ანაზღაურება მოხდეს, რათა ამ გზით მოხერხდეს დარღვეული საკუთრების უფლების აღდგენა. პირველ შემთხვევაში, ექსპერტების საშუალებით განისაზღვრება ჩამორთმეული ქონების სანაცვლო, სათანადო საკომპენსაციო თანხა, რომელსაც ექსპროპრიატორი უხდის ქონების მესაკუთრეს. მეორე შემთხვევაში, ექსპროპრიატორი და მესაკუთრე თანხმდებიან, რომ ჩამოსართმევი ქონების ნაცვლად ეს უკანასკნელი მის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულების მქონე სხვა ქონებას მიიღებს, ანუ ფაქტობრივად გაცვლის ხელშეკრულების მოდელირებასთან გვაქვს საქმე.

საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრეს დამატებითი გარანტიები და შეღავათები გააჩნია თავად ექსპროპრიაციის პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ კერძო პირს ისედაც უფლება ერღვევა, ექსპროპრიატორს ეკისრება საკუთრების ჩამორთმევასთან

³³ ამგვარი მიდგომა გააჩნია ბევრ სახელმწიფოს. მაგალითისათვის იხილეთ: დანიის სამეფოს კონსტიტუციური აქტის §73.3, §73.4, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, ვასილ გონაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2004.

³⁴ იხ: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, მე-9 მუხლი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №40 (47) 1999 წ, №2349 – რს.

დაკავშირებული ყველა ხარჯის გადახდა. ამ ხარჯებში იგულისხმება ქონების შეფასებისა და მის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯებით დაწყებული, სამართალწარმოების ხარჯებით დამთავრებული.³⁵

3.2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებანი

საკუთრების ჩამორთმევის პროპორციულად სახელმწიფო აგებს პასუხს თავისი ქმედებების გამო დამდგარ ზიანზე. აღნიშნული ზოგად წესს წარმოადგენს და შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაზე ვრცელდება. თუმცა არ შეიძლება გამოვრიცხოთ განსხვავებული გარემოებების არსებობაც, როდესაც სახელმწიფო სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდება რაიმე სახის პასუხისმგებლობისაგან, თუმცა ეს იმდენად იშვიათი და არაჩვეულებრივი მოვლენაა, რომ განსაკუთრებული სიზუსტითა და სიფრთხილით მიდგომას საჭიროებს.

გამონაკლისი შემთხვევების განზოგადებისათვის აუცილებელია ჩამოვყალიბოთ რამდენიმე ის საკვანძო პირობა, რომელთა ერთობლივი, აუცილებელი არსებობაა საჭირო ამგვარი სამართლებრივი რეჟიმის დადგომისათვის. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია დადგინდეს საჯარო ინტერესი და მისი განსაკუთრებით მაღალი ხარისხი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდანაა მოჭარბებული ყურადღების ობიექტი. ასევე უმნიშვნელოვანესია, ექსპროპრიაცია ანაზღაურების გარეშე წარმოადგენდეს დასახული საჯარო ინტერესის მიღწევისათვის გარდაუვალ, აუცილებელ საშუალებას. გასათვალისწინებელია, მსჯელობა წარიმართოს კონკრეტული სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი ვითარების გათვალისწინებით, ვინაიდან სწორედ ამგვარი ინდივიდუალური ხასიათი განაპირობებს გამონაკლისი შემთხვევების არსებობას.³⁶ სწორედ კონკრეტული შემთხვევა განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების ზოგად წესს.

საქმეზე *Jahn and others v. Germany*, ევროპის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სახელმწიფოს არ ეკისრებოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ვინაიდან თავად ფაქტი - გერმანიის გაერთიანება - იმგვარი მნიშვნელობისა და დატვირთვის მატარებელი გახლდათ, რომ მასთან დაკავშირებული ექსპროპრიაციის შემთხვევები შეიძლებოდა სწორედ კომპენსაციის გამორიცხვის სამართლებრივ მოწესრიგებაში მოექცია გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას.³⁷

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები დროდადრო ექცევა ევროსასამართლოს განხილვის ობიექტად, ვინაიდან ამ დროს ხშირად ხდება საკუთრების ჩამორთმევის

³⁵ იხ: იქვე მე-10 მუხლი.

³⁶ Raimondo v. Italy [ECHR] application no. 12954/8, 22 February 1994.

³⁷ Jahn and others v. Germany, [ECHR] application no. 49720/99, 72203/01 and 72552/01, 30 June 2005.

შემთხვევები. როდესაც საბერძნეთმა სახელმწიფოებრივი წყობა შეიცვალა და მონარქიიდან რესპუბლიკური მმართველობის მოდელზე გადავიდა, პრობლემური გახდა მეფისა და სამეფო ოჯახის წევრთა ქონების საკითხი. საბერძნეთმა მიიღო კანონი, რომლითაც ყოფილ მეფეს ჩამოართვეს მის საკუთრებაში არსებული ქონება იმ მოტივით, რომ სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვდა ტყეებისა და არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობების დაცვას სადავო უძრავი ქონების ტერიტორიაზე, ასევე აღნიშნული წარმოადგენდა სახელმწიფოს მმართველობის ფორმის - რესპუბლიკის შენარჩუნება ერთ-ერთ საშუალებას. მართალია, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობამ ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, თუმცა ასევე დასძინა, რომ საბერძნეთის რესპუბლიკად ჩამოყალიბებიდან 20 წლის განმავლობაში სადავო ქონება სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე იყო დარჩენილი. ამიტომაც სახელმწიფოსათვის აუცილებელი გახლდათ, მოეწესრიგებინა აღნიშნული საკითხი, რომელიც მისი, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სტატუსს უქმნიდა საფრთხეს.³⁸

საქმის - *Holy Monasteries v. Greece* განხილვისას, ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტზე. პირველ რიგში, პრობლემური გარემოება გახლდათ შექმნილი საკუთრების შექენასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.³⁹ აღსანიშნავია ისიც, თუ როგორ მოხდა წმინდა მონასტრებზე დაკისრებული სოციალური, აღმზრდელობითი და კულტურული ფუნქციების ტრანსფორმაცია სახელმწიფოს მიმართ, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელზე გადავიდა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. ყოველივე ეს გამოყენებული იყო იმისათვის, რათა გაემართლებინათ საბერძნეთის სახელმწიფოს მხრიდან ქონების ჩამორთმევა შესაბამისი ანაზღაურების, კომპენსაციის გარეშე⁴⁰.

დასკვნა

წინამდებარე სტატიის მიზანი გახლდათ მიმოეხილა საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი საქართველოსა და ევროპაში, ასევე მისი სამართლებრივი შედეგები და საკანონმდებლო მოწესრიგება.

ნაშრომში ხაზი გაესვა საკუთრების ცნების დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ გაგებას ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით, მის

³⁸ The Former King of Greece and others v. Greece [ECHR], application no. 25701/94, 28 November 2002.

³⁹ ტურავა პ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საკუთრების უფლების დაცვა, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006, 303.

⁴⁰ Holy Monasteries v. Greece [ECHR], application no. 13092/87, 13984/88, 9 December 1994.

ლოკალურ ხასიათს, უძრავი ქონებისა და საკუთრების ცნებათა ტერმინოლოგიურ დავინროებას.

ექსპროპრიაციის შედეგების სამართლებრივი მონესრიგებისა და ზიანის ანაზღაურების თავისებურებების ანალიზი ქართული კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით.

ნაშრომში ასევე განვიხილეთ კომპენსაციის როლი და მნიშვნელობა, მათ შორის, ევროპის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, რომელიც მართლაც მდიდარია და ცდილობს ერთიანი მიდგომა ჩამოაყალიბოს საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ყოველთვის დიდ სიფრთხილეს და წინდახედულებას მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან. ნებისმიერ ამგვარ ჩარევას უნდა გააჩნდეს საკანონმდებლო მონესრიგება. ამასთან, გადანყვეტილება უნდა მიიღებოდეს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, ხოლო თუკი სასამართლოს მიერ არ ხდება საკუთრების ჩამორთმევის შესახებ გადანყვეტილების მიღება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი მოითხოვს ამგვარ ვითარებათა ორგანული კანონის დონეზე მონესრიგებას. თუმცა ორივე შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნაა სათანადო ანაზღაურების არსებობა. მესაკუთრეს, რომლის ქონების მიმართაც ხორციელდება ექსპროპრიაცია, უნდა გააჩნდეს საშუალება, რათა დარღვეული უფლება დაიცვას და მოახდინოს მისი რეალიზება სრული მოცულობით.

მართალია, ევროსასამართლო ცნობს კომპენსაციის გამომრიცხველ გარემოებებს, თუმცა აღნიშნული იმდენად იშვიათია, რომ მას განსაკუთრებული სტატუსი ენიჭება. მსგავს შემთხვევებს შესაძლოა ზეკანონური გარემოებებიც კი ვუნოდოთ, ვინაიდან ისინი გაცილებით მეტ კავშირს ბუნებით სამართალთან ავლენენ და ზესახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებიან (მაგ. გერმანიის, როგორც ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება⁴¹, საბერძნეთის რესპუბლიკის, როგორც საბერძნეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის შენარჩუნება⁴² და განმტკიცება და ა. შ.).

⁴¹ Jahn and others v. Germany, [ECHR] application no. 49720/99, 72203/01 and 72552/01, 30 June 2005.

⁴² The Former King of Greece and others v. Greece [ECHR], application no. 25701/94, 28 November 2002.

ავტონატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ვივარტული დაუფლებითი დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხისათვის

შესავალი

დანაშაულობათა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ ბრძოლაში დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შექმნა კანონიერების საგარანტიო ფუნქციას ასრულებს. სისხლის სამართალში კანონიერების პრინციპი ნიშნავს არა მარტო ქმედების ფორმალურ შესაბამისობას ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობასთან, არამედ თვით ამ ქმედების ზუსტ საკანონმდებლო აღწერას და მის სისხლისსამართლებრივ შეფასებას.¹

სისხლის სამართალი წარმოადგენს სამართლის სისტემაში სოციალური დაცვის უკანასკნელ საშუალებას *ultima ratio*.² კანონმდებელი ვალდებულია დეტალურად და სრულყოფილად განსაზღვროს ყველა ის საკითხი, რაც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან. აღნიშნული ვალდებულება იცავს მოქალაქის ინტერესებს და უპირველეს ყოვლისა, შემოღებულია მისი თავისუფლების დასაცავად.

2007 წლის 23 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან (შემდგომში — „სსკ“) ამოღებულ იქნა 184-ე მუხლი (ავტომანქანის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე).³ სსკ-ში შეტანილი ცვლილებების შედეგად, დროებით გამოყენების მიზნით ავტომანქანის დაუფლება აღარ არის დასჯადი 184-ე მუხლით (ამოღებულია კოდექსიდან), მაგრამ პრაქტიკაში ამ სახის ქმედების ჩამდენს სჯიან როგორც ქურდობის, ყაჩაღობის, ძარცვის ჩამდენ პირებს.

¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გ. ნაჭყებიასა და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი 2008, 20-21.

² იხ. გამყრელიძე ო., ორსახოვანი იანუსი, ჟურნ. „მართლმსაჯულების მაცნე“, №2-3, 2000, 83.

³ 2007 წლის 23 მაისის კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, მუხ.1, ნაწ.5.

1. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულების ზოგადი დახასიათება

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები არღვევენ მესაკუთრის საკუთრების უფლებას. ამ დანაშაულთა გვარეობითი ობიექტია მთლიანად საკუთრებითი ურთიერთობა. იგი მოიცავს ქონების მესაკუთრისა და სხვა კანონიერი მფლობელის სარგებლობისა და განკარგვის უფლებას. ხელყოფის უშუალო ობიექტია კონკრეტული საკუთრების ან ქონების ფლობასთან დაკავშირებული ქონებრივი ურთიერთობა.⁴ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულების საგანია მოძრავი ქონება. „ისეთი ქონებრივი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს, როგორცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ზოგიერთი სხვა, წარმოადგენს სხვისი ქონების მითვისების მიზანი. მაგალითად, სხვისი ქონების ფარული ნაღება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება ქურდობად, როცა ის ჩადენილია მითვისების მიზნით.“⁵

„სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება მისაკუთრების მიზნით, დამთავრებულია მისი დაუფლების მომენტიდან. ეს ნიშნავს, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება. ნივთის ფიზიკურად დაუფლება ყოველთვის არ ნიშნავს მისაკუთრების მიზნის პარქტიკულად რეალიზაციას.“⁶ როგორც სსკ-ს 177-ე, 178-ე, 179-ე მუხლებით, ისე 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ. მათი ხელყოფის უშუალო ობიექტს წარმოადგენს კონკრეტული საკუთრების ან ქონების ფლობასთან დაკავშირებული ქონებრივი ურთიერთობა. „დამნაშავეს ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების შემდეგ უჩნდება შესაძლებლობა, ისარგებლოს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი.“⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტების თანახმად, „საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ანგარებითი მოტივი - პირმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სხვისი საკუთრება - ავტომობილი ან სხვა

⁴ იხ. ლევკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბილისი, 1999, 6.

⁵ გამყრელიძე ო., ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, თბილისი, 1998, 235.

⁶ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გ. ტყეშელიაძის რედაქტორობით, მესამე გამოცემა, თბილისი, 2008, 351.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №1042-აპ ხვედელიძე, 28 ივნისი, 2007 წ.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალება“⁸. „ანგარებაზე მიუთითებს სსკ-ის 177-ე და სხვა მუხლებში სიტყვათა წყობა: „მისაკუთრების მიზნით“.⁹ 184-ე მუხლში კი ხაზგასმული იყო, რომ დამნაშავეს არ ამოძრავებს სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზანი.

2. ავტომანქანის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია სხვისი ქონების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ამ საერთო წესიდან სსკ ადგენდა გამონაკლისს სსკ-ს 184-ე მუხლით,¹⁰ რომლითაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად გამოცხადებული იყო ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე. დანაშაულის საგანს წარმოადგენდა ავტომობილი ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების განზრახვაც ამოძრავებდა პირს მისი დროებითი გამოყენების მიზნით.

სხვისი ნივთის „მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში“ ზუსტად არის გამოხატული ქონების ხელყოფის გარეგანი პროცესი და ამასთან, ზიანის მიყენების მექანიზმი. მართლსაწინააღმდეგობა გულისხმობს, რომ პირი არ არის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი და ამიტომ მის მიერ ქონების დაუფლება უკანონოა.¹¹

სატრანსპორტო საშუალების დაუფლება შეიძლება მოხდეს ფარულად, აშკარად, ძალადობით მანქანის მფლობელის მიმართ ან ძალადობის გარეშე. კანონი გამოყოფდა ამ დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობებს ქმედების ჩადენის ხერხის მიხედვით. კანონის ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, თუ პირს არ ჰქონდა მისაკუთრების მიზანი, მისი ქმედება ქურდობად ვერ დაკვალიფიცირდებოდა. მაგ., ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში თუ პირს არ ჰქონდა მისი მისაკუთრების მიზანი, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე). სსკ-ს მიხედვით, თუ ავტომანქანის დროებითი გამოყენების მიზნით დაუფლება ჩადენილი იქნებოდა ჯგუფურად, არაერთგზის ან

⁸ იქვე, თუმცა, ამ შემთხვევაში ანგარებითი მოტივი არის არა სუბიექტური მხარის, არამედ ბრალის ნიშანი.

⁹ კვაშილავა ა., საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „სამართალი“, №5, 2001, 41.

¹⁰ იხ. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., დასახ. ნაშრომი, 11.

¹¹ იხ. იქვე, 12.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არასაშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით, ქმედება კვალიფიცირდებოდა სსკ-ის 184-ე მუხლის II ნაწილით.¹² თუ ავტომანქანის გატაცების დროს ადგილი ექნებოდა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარას, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდებოდა სსკ-ის 184-ე მუხლის III ნაწილით, რომელშიც გათვალისწინებული იყო ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

2.1. მიზნის დადგენა ავტომანქანის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართულ დაუფლებით დანაშაულებში

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დაუფლებითი დანაშაულები (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა), 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან განსხვავდებოდა მისაკუთრების მიზნით. ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საკანონმდებლო კონსტრუქციით ხდება სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მისაკუთრების მიზნით,¹³ ხოლო 184-ე მუხლით კი - დროებითი სარგებლობის მიზნით. დროებითი სარგებლობის მიზნით სხვისი ნივთის წაღება ან საერთოდ არ გვაძლევს ქმედების შემადგენლობას ან შეიძლება სპეციალური მუხლით დაისაჯოს. სწორედ ასეთ სპეციალურ ნორმას წარმოადგენდა სსკ-ს 184-ე მუხლი, რომლითაც სისხლის სამართლის წესით დასჯადი იყო ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მისაკუთრების მიზნის გარეშე დაუფლების შემთხვევა.

დღეს არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მანქანის გატაცების მიზნის დადგენას ყურადღება არ ექცევა და ქმედების კვალიფიკაცია ხდება მხოლოდ ქმედების ობიექტურ ნიშნებზე დაყრდნობით. ქმედება ქურდობად, ძარცვად ან ყაჩაღობად კვალიფიცირდება ისე, რომ არ არის შესწავლილი, მანქანის გატაცება მისი მისაკუთრების მიზნით მოხდა, თუ ამ მიზნის გარეშე.

გატაცების მიზნის დადგენა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული მაშინ, როცა დამნაშავეს აკავებენ მანქანის დაუფლებისთანავე ან დაუფლებიდან მცირე დროის განმავლობაში.

¹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 2004 წლის 12 სექტემბრამდე, მუხ. 184 II.

¹³ სსკ-ის მუხ. 177 I-ის თანახმად, ქურდობა არის სხვისი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

ასეთ შემთხვევაში, გამტაცებელი, როგორც წესი, აცხადებს, რომ მას მანქანის მისაკუთრების მიზანი არ ჰქონია. სხვა მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც დაეხმარებოდა სასამართლოს გატაცების მიზნის დადგენაში, ხშირად ძნელია. თუ მისაკუთრების მიზნის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების შეკრება ვერ მოხერხდა, სასამართლო უნდა დაეყრდნოს განსასჯელის ჩვენებას და ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის კონსტიტუციური პრინციპის გამოყენებით,¹⁴ გაათავისუფლოს იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რადგან სსკ-ში აღარ გვაქვს მსგავსი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული 184-ე მუხლი. ავტომანქანის მისაკუთრების მიზნის არარსებობა აუცილებელი პირობა იყო ქმედების 184-ე მუხლით დაკვალიფიცირებისთვის. თუ მანქანის მითვისება მისაკუთრების მიზნით მოხდა, მაშინ პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლით.

„მანქანის გატაცების მიზნის დადგენა მტკიცების საკითხია. იგი საქმის კონკრეტული მასალების მიხედვით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, დამნაშავემ გატაცებული მანქანა შეღება, დაუყენა ყალბი სახელმწიფო ნომრები, შეადგინა ყალბი დოკუმენტები, გაყიდა, გააჩუქა და სხვ., ან დაშალა და შეუდგა მის ნაწილ-ნაწილ გაყიდვას. მოცემულ შემთხვევაში, მტკიცების მხრივ, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს გატაცების მიზნის დადგენა, რადგან არსებული მატერიალური კვალი მიგვანიშნებს სუბიექტის განზრახვაზე - მიისაკუთროს მანქანა. დროებით გამოყენებად ითვლება მისი გატაცება გასასეირნებლად, სხვა რაიმე დანაშაულის ჩასადენად, გარკვეულ ადგილზე მისასვლელად, ტვირთის გადასატანად და სხვ.“¹⁵ მთავარია, გამტაცებელმა ავტომანქანა დაუბრუნოს მის მფლობელს. მაგალითად, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2007 წლის 12 იანვრის განაჩენით, პაატა ხვედელიძე დამნაშავედ სცნო სსკ-ს 184-ე მუხლის მეორე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, არაერთგზის) ჩადენაში, რადგან მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

პაატა ხვედელიძემ ხაშურში, კალინინის ქუჩაზე მცხოვრებ გურამ ხაჩიძესთან გაიცნო თეიმურაზ თანდილაშვილი. მათ ერთად ისაძილეს, რის შემდეგაც პაატა ხვედელიძემ და თეიმურაზ თანდილაშვილმა ამ უკანასკნელის კუთვნილი „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომანქანით, სახელმწიფო № IKA-961, გურამ ხაჩიძე მიიყვანეს ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში. უკან დაბრუნებისას, მათ რესტორან „ნიკალას“ მიმდებარე ტერიტორიაზე განაგრძეს ალკოჰოლური სასმელის მიღება, რა დროსაც პაატა ხვედელიძემ

¹⁴ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 40 პ.3.

¹⁵ ბაბილაშვილი ჯ., პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის, თბილისი, 1977, 144-145.

განიზრახა, დროებითი გამოყენების მიზნით დაუფლებოდა თეიმურაზ თანდილაშვილის კუთვნილ ავტომანქანას. ხვედელიძემ დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თანდილაშვილს სთხოვა ავტომანქანის საჭე მისთვის გადაეცა. თანხმობის მიღების შემდეგ დაჯდა საჭესთან და წავიდნენ ხაშურის მიმართულელებით. ხაშური-ბორჯომის საავტომობილო მაგისტრალზე მოძრაობისას, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, პ. ხვედელიძემ, თ. თანდილაშვილის მოთხოვნით, ავტომანქანა გააჩერა. თანდილაშვილი საჭესთან დაჯდომის მიზნით გადმოვიდა ავტომანქანიდან. ამით ისარგებლა პ. ხვედელიძემ, დროებითი გამოყენების მიზნით დაუფლა ავტომანქანა ოპელ-ვექტრას და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. მეორე დღეს, 2006 წლის 2 ივლისს, დაახლოებით 11 საათზე, პაატა ხვედელიძემ თეიმურაზ თანდილაშვილს ნებაყოფლობით დაუბრუნა მითითებული ავტომანქანა.¹⁶

ხვედელიძის მიერ ავტომანქანის გატაცებიდან მცირე დროში, დაახლოებით 12 საათში, კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების ფაქტი ადასტურებს, რომ მას ჰქონდა სწორედ ავტომანქანის დროებითი გამოყენების მიზნით დაუფლების და არა ავტომანქანის მისაკუთრების განზრახვა.

სასამართლო პრაქტიკაში ხდებოდა ისეც, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებდნენ დამნაშავის მიერ მანქანის მისაკუთრების მიზნით დაუფლებაზე, მაგრამ ქმედებას აკვალიფიცირებდნენ 184-ე მუხლით. ძირითადად, სასჯელის ზომად განისაზღვრებოდა ჯარიმა. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის არასრულყოფილი გამოკვლევა იწვევდა ქმედების კვალიფიკაციას უფრო მსუბუქი 184-ე მუხლით და შესაბამისად, ზედმეტად ლმობიერი სასჯელის შეფარდებას, ვიდრე ეს იქნებოდა ქმედების სწორი კვალიფიკაციის შემთხვევაში. ხშირად მანქანის გატაცებას დროებითი გამოყენების მიზნით თან ახლავს მესაკუთრისთვის ფულისა და სხვა ნივთების წართმევა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე, გარდა სსკ-ის 184-ე მუხლისა, პასუხს აგებდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლებითაც.¹⁷ დღეს კი, რადგან 184-ე მუხლი სსკ-ში აღარ გვაქვს, პირმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ ფულისა და სხვა ნივთების წართმევისათვის, გარდა ავტომანქანის გატაცებისა. ასევე თუ პირმა გატაცებისას ან შემდეგ, ავტომანქანის დაბრუნებამდე დააზიანა ან გაანადგურა სატრანსპორტო საშუალება, და ამით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, პასუხისმგებლობა დაეკისრება სხვისი ნივთის დაზიანების ან

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №1042-აპ ხვედელიძე, 28 ივნისი, 2007

¹⁷ იხ. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ო. გამყრელიძე რედაქტორობით, თბილისი, 2004, 214-217.

განადგურებისათვის (სსკ-ის 187-ე ან 188-ე მუხლით), ადრე კი პასუხისმგებლობა დგებოდა დანაშაულთა ერთობლიობით — სატრანსპორტო საშუალების დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე და სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება (განზრახ ან გაუფრთხილებლობით).

184-ე მუხლისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დაუფლებითი დანაშაულების კონკურენციის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 თებერვლის განაჩენით ზურაბ თიბილაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ“ და დ“ ქვეპუნქტებით, 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) იმაში, რომ არაერთგზის და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩაიდინა ყაჩაღობა, ასევე — სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 15 იანვარს ზ. თიბილაშვილმა განიზრახა სხვისი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რისთვისაც იმავე დღეს, დაახლოებით 23:30 საათზე, ქ. თბილისში, ქეთევან ნამებულის გამზირზე არსებულ სასტუმრო მეტეხის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩერა მირანდა ყვანიას კუთვნილი ავტომანქანა ვაზ-31105“ მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა ბიძინა მოქია. ზ. თიბილაშვილმა მას უთხრა, წაეყვანა ვაზისუბნის დასახლებაში. მსჯავრდებულმა ბ. მოქიას ავტომანქანა გააჩერებინა ნულუკიძის ქუჩაზე, რის შემდეგაც ჯიბიდან ამოიღო გასაშლელი დანა, რომლის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით აიძულა ეს უკანასკნელი, გადმოსულიყო მანქანიდან, თავად მიუჯდა საჭეს და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა მ. ყვანიას კუთვნილი, 13 500 ლარად ღირებული ავტომანქანა, რომელსაც იჯარით მართავდა ბ. მოქია. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ზ. თიბილაშვილი იმავე დღეს, შემთხვევიდან დაახლოებით 30 წუთში, ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დააკავეს საპატრულო პოლიციის მუშაკებმა. დაკავებისას ზ. თიბილაშვილი ავტომანქანით ცდილობდა მიმალვას, რა დროსაც გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შევარდა ხეებს შორის, რითიც ავტომანქანას დაუზიანა ნაწილები და დაზარალებულს მთლიანობაში მიაყენა 3480 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნული დანაშაულისათვის ზ. თიბილაშვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ“ და დ“ ქვეპუნქტებით სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლითა და 6 (ექვსი) თვის ვადით, სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატი ზ. როსტიაშვილი. მან ითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ქმედების კვალიფიკაციისა და, შესაბამისად, განაჩენის შეცვლა და ზ. თიბილაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 30 აგვისტოს განაჩენით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: ზ. თიბილაშვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ“ და დ“ ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილზე; მას სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 188-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა ლ. კრავეიშვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება და ხელახლა განსახილველად საქმის იმავე სასამართლოში გადაგზავნა იმ მოტივით, რომ ყაჩაღობა, ჩვეულებრივ, დამთავრებულია ქონების დაუფლების მიზნით თავდასხმის დროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ან მუქარის მომენტიდან და რომ სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ზ. თიბილაშვილის ქმედება სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

მსჯავრდებულის ადვოკატი ზ. როსტიაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ზ. თიბილაშვილის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 184-ე მუხლის პირველი ნაწილით და პატიმრობიდან განთავისუფლებას.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 აპრილის განჩინებით გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენით ზურაბ თიბილაშვილის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განაჩენი შეიცვალა: ზურაბ თიბილაშვილის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის ამაჟამად მოქმედი რედაქციის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე.

კასატორი — მსჯავრდებულის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ზ. თიბილაშვილის მიერ

დანაშაულის ჩადენას. დაზარალებულის ჩვენებით და საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ზ. თიბილაშვილი იჯდა მძღოლის გვერდით და დანის გამოყენების შემთხვევაში დაზარალებული მას ვერ აიცილებდა. ამდენად ნათელია, რომ მსჯავრდებულს დანა არ გამოუყენებია. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ზ. თიბილაშვილის მიერ ყაჩაღობის ჩადენა და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 184-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა მიიჩნევს, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დასტურდება, რომ ზ. თიბილაშვილმა არაერთგზის და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩაიდინა ყაჩაღობა, ასევე — სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, კერძოდ, საქმის წინასწარი გამოძიებისას და სააპელაციო სასამართლოში დაზარალებულმა ბიძინა მოქიამ განმარტა, რომ ზ. თიბილაშვილმა მოსთხოვა, გადასულიყო ავტომანქანიდან. ამავდროულად, ჯიბიდან ამოიღო დანა და მოუქნია სახის მიმართულებით. ბ. მოქიამ დანა აიცილა, გააღო ავტომანქანის კარი და გაიქცა. გაქცეულმა დაინახა, რომ თავდამსხმელი დაჯდა საჭესთან და გაემართა ქალაქის ცენტრისკენ. დაზარალებულმა მაშინვე განაცხადა საპატრულო პოლიციაში და ითხოვა დახმარება. დაახლოებით 30 წუთში ზ. თიბილაშვილი დააკავეს, რა დროსაც ეს უკანასკნელი პოლიციელებს წინააღმდეგობას უწევდა. ბ. მოქიამ მიუთითა, რომ დაკავებამდე ზ. თიბილაშვილი ავტომანქანით ცდილობდა მიმალვას, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შევარდა ხეებს შორის. ამის გამო დაზიანდა 13 500 ლარად ღირებული ავტომანქანა და ზარალმა შეადგინა 3480 ლარი.

მოწმეთა ჩვენებებით, დაკავებისას თიბილაშვილს ამოუღეს დანა. თავად მსჯავრდებულმა პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა, რომ დანა ჰქონდა, მაგრამ არ გამოუყენებია.

საქმის მასალების ანალიზის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პალატას უდავოდ მიაჩნია, რომ ზ. თიბილაშვილმა განახორციელა თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან

ასეთი ძალადობის მუქარით არაერთგზის, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით.¹⁸

2.2. 184-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტთა დასჯის საკითხი

სსკ-ის 184-ე მუხლზე არსებობდა საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა. თუ იგი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში არსებული მსგავსი ნორმის (248ბ) ანალოგიურად, იქნებოდა კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას დაქვემდებარებული, მასზე საქმე აღიძვრებოდა მხოლოდ დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, 184-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენ პირთა უმრავლესობა, მათ შორის, პაატა ხვედელიძე, საერთოდ არ აგებდა პასუხს აღნიშნული ქმედებისათვის. რადგან განსახილველ ქმედებას ხშირად ახორციელებდნენ ავტომანქანის მესაკუთრის ოჯახის წევრები, მეგობრები თუ სხვა ისეთი პირები, რომელთა მიერ ავტომანქანის გამოყენების შესახებ რომ სცოდნოდა მესაკუთრეს, არ გააპროტესტებდა ამ ფაქტს და შესაბამისად, არც სამართალდამცავ ორგანოებში განაცხადებდა. ასევე შეიძლებოდა, დაზარალებულს თავად მიეცა პირისთვის მისი ავტომანქანით სარგებლობის ნებართვა. აქედან გამომდინარე, გამოირიცხებოდა პასუხისმგებლობა სსკ-ის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.¹⁹ თუ ავტომანქანის დაბრუნების შემდეგ გამტაცებელი ანაზღაურებდა ზარალს, დაზარალებული პატიობდა ჩადენილ ქმედებას და ურიგდებოდა მას, რის გამოც დაზარალებულს აღარ ჰქონდა ქმედების ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივად დასჯის ინტერესი. მაგრამ სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოები მაინც არ წყვეტდნენ საქმეს, რადგან ეს იყო საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას დაქვემდებარებული ქმედება და დაზარალებულის სურვილის საწინააღმდეგოდ სჯიდნენ გამტაცებლებს, რომელიც შეიძლება დაზარალებული ოჯახის წევრიც ყოფილიყო.

თუმცა, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული აზრის თანახმად, ოჯახის რომელიმე წევრის მიერ მესაკუთრის ნებართვის გარეშე ავტომობილით თვითნებური სარგებლობა არ ითვლებოდა მართლსაწინააღმდეგო დაუფლებად, ამიტომ ასეთი

¹⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1835-აპ, ფ.ხ.-თბილისი, 3 იანვარი, 2008წ.

¹⁹ იხ. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ო. გამყრელიძე რედაქტორობით, თბილისი, 2004, 201.

ქმედება არ ქმნიდა 184-ე მუხლის შემადგენლობას.²⁰ ასევე, თუ პირს ჰქონდა გარკვეული უფლება მანქანის მიმართ, მაგალითად, მანქანის თვითნებური გამოყენება იმის მიერ ვისაც ეს მანქანა სამსახურებრივად ჰქონდა მინდობილი, არ კვალიფიცირდებოდა 184-ე მუხლით. ამ შემთხვევაში შეიძლება დადგეს მხოლოდ პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.²¹ სსკ-იდან 184-ე მუხლის ამოღებით კანონმდებელმა უარი თქვა არა მხოლოდ დამნაშავეის სპეციალური მუხლით დასჯაზე მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებითი გამოყენების შემთხვევაში, არამედ საერთოდ უარი თქვა ასეთი ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯაზე.

3. სატრანსპორტო საშუალების დაუფლება საქართველოს სისხლის სამართალში

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე ითვალისწინებდა ავტომობილტრანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცებას დროებითი გამოყენების მიზნით, რა თქმა უნდა შესაბამისი მაკვალიფიცირებელი გარემოებების გათვალისწინებით.²² ხოლო მისაკუთრების მიზნის არსებობისას პირი ისჯებოდა მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული,²³ აშკარა²⁴ ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით გატაცებისთვის.²⁵

1960 წლის საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისთვის, გატაცების ხერხისა და მისაკუთრების მიზნის მიუხედავად, შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით.²⁶

შემდგომ უკვე 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა დიფერენცირებულ კვალიფიკაციას დაუფლების

²⁰ იხ. იქვე, 199.

²¹ იხ. იქვე, 201.

²² მუხ. 243 - ავტომობილტრანსპორტის საშუალებათა გატაცება, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 1984 წლის 1 იანვრამდე.

²³ მუხ. 150 - ქურდობა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 1984 წლის 1 იანვრამდე.

²⁴ მუხ. 151 - ძარცვა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 1984 წლის 1 იანვრამდე.

²⁵ მუხ. 152 — ყაჩაღობა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 1984 წლის 1 იანვრამდე.

²⁶ მუხ. 243 (სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება), საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, - ცვლილებებითა და დამატებებით 1992 წლის 21 ოქტომბრამდე.

ხერხისა და მიზნის მხედველობაში მიღებით ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის მუხლით კვალიფიცირდებოდა სხვისი ნივთის (მათ შორის ავტომანქანის) დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ხოლო ასეთი მიზნის გარეშე კვალიფიცირდებოდა 184-ე მუხლით (ავტომანქანის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე).

4. სატრანსპორტო საშუალების დაუფლება გერმანიისა და საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსებში

4.1. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

სსკ-ის 184-ე მუხლის მსგავს ნორმას ითვალისწინებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც საფუძვლად უდევს ქართული სისხლის სამართლის კოდექსს. გერმანიაში არსებობს ქურდობის შემადგენლობის მუხლი,²⁷ რომლის თანახმადაც, ქურდობა არის სხვის მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება თავისთვის ან სხვისთვის მისაკუთრების მიზნით. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე შემადგენლობითაა გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების უნებართვო გამოყენება,²⁸ რომლითაც ისჯება ის, ვინც სატრანსპორტო საშუალებას ან ველოსიპედს მესაკუთრის სურვილის საწინააღმდეგოდ გამოიყენებს. დასჯადია ასეთი ქმედების მცდელობაც, ხოლო საქმე აღიძვრება დაზარალებულის საჩივრის არსებობის შემთხვევაში, ანუ იგი ექვემდებარება კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას. გერმანიაში სატრანსპორტო საშუალებაში მოიაზრება ყველა საშუალება, გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა.

4.2. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საინტერესო რეგულირებაა მოცემული საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში (Code pénal). საფრანგეთში ქურდობა არის სხვისი ნივთის მოტყუებით მითვისება.²⁹ ქურდობის დამაფუძნებელი ელემენტებია

²⁷ Deutsches Strafgesetzbuch, მუხ. 242.

²⁸ Deutsches Strafgesetzbuch, მუხ. 248 b.

²⁹ Code pénal, art. 311-1.

მატერიალური და გონებრივი ელემენტები.³⁰ მატერიალური ელემენტი ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობის იდენტურია და მოიცავს ქმედების ობიექტს, ქმედებას, შედეგს. საფრანგეთში „ყველა სხეულებრივი ნივთი, მოძრავი თუ მოძრავ ქონებად მიჩნეული, შეიძლება იყოს ქურდობის ობიექტი, როგორცაა, მაგალითად, დოკუმენტები, ვერტმფრენი, რომელსაც გააჩნია თავისი ღირებულება და არ არის აუცილებელი იურიდიული ღირებულების არსებობა (მაგ., მეგობრული წერილი). შესაძლებელია ზოგიერთი არამატერიალური ქონების ქურდობაც, როგორცაა ელექტროენერგია.“³¹ Code pénal-ის art.311-2-ით ელექტროენერგიის მოტყუებით დაუფლება გათანაბრებულია ქურდობასთან.³²

აუცილებელია, რომ მოტყუებით დაუფლებული ნივთი იყოს სხვისი კუთვნილი ნივთი. ქურდობის დამაფუძნებელი მეორე ელემენტია ნივთის მითვისება, მიტაცება. რომელიც მოიცავს ქონების დაუფლებას, მესაკუთრის მფლობელობის უფლების უზურპაციას (une usurpation de la possession). ფრანგული კანონმდებლობით გათვალისწინებული გონებრივი ელემენტი ემსგავსება ქართულ კანონმდებლობაში მოცემულ ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას. “ქურდობის არსებობის აუცილებელი პირობაა ბრალეული განზრახვის არსებობა.³³ გონებრივ ელემენტს აქვს აუცილებელი და საკმარისი პირობები. მითვისების ბრალეული განზრახვა არის აუცილებელი პირობა. დანაშაულებრივი ქმედების შეცდომა გამორიცხავს ქურდობას, ისევე როგორც მესაკუთრის თანხმობა, რომელიც წინ უსწრებს ან თან სდევს ნივთის მითვისებას. ზოგჯერ ბრალეული განზრახვა არის ქურდობის არსებობის საკმარისი პირობა, სპეციალური მიზანი არ არის აუცილებელი. მნიშვნელობა არ აქვს პირი ნივთს თავისთვის ითვისებს თუ სხვისთვის, ბრალეული განზრახვის არსებობისას ქმედება ყველა შემთხვევაში კვალიფიცირდება ქურდობად.

ქმედების ქურდობად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის მისაკუთრების სურვილი. მაგ., მეზობლის ჩიტების გაფრენაც არის ქურდობა. მისაკუთრების მიზნის არსებობის პრობლემა დგას “ტრანსპორტით სარგებლობის უფლების ქურდობისას, მაგ., ტრანსპორტის დაუფლება მხოლოდ გასეირნების მიზნით არის ქურდობა,³⁴ ასევე ქურდობად კვალიფიცირდება დოკუმენტის დროებითი დაუფლება მისი ასლის გადაღების მიზნით (მაგ., Crim.,

³⁰ იხ. Larguier J./Conte Ph./Larguier A.-M., Droit pénal spécial, 13e édition, Paris, 2005, 179.

³¹ Larguier J./Conte Ph./Larguier A.-M., დასახ. ნაშრომი, 179.

³² Code pénal, art. 311-2.

³³ Larguier J./Conte Ph./Larguier A.-M., დასახ. ნაშრომი, 184.

³⁴ Cour de cassation, chambre criminelle, 1959.

1979, 1998).³⁵ ანუ საფრანგეთში თუ პირი დაეუფლება სხვის ავტომანქანას დროებითი გამოყენების მიზნით, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება Code pénal-ის art. 311-ის შესაბამისად, მაგრამ პასუხს აგებს არა ავტომანქანის მოპარვის, არამედ სხვისი ნივთის სარგებლობის უფლების ქურდობისთვის, უფრო კონკრეტულად, ტრანსპორტით სარგებლობის უფლების ქურდობისთვის („vol d'usage“ de véhicule).³⁶

საფრანგეთში არსებობს მარტივი (უბრალო) ქურდობა და ქურდობა დამამძიმებელ გარემოებებში, რომლებიც მოცემულია ერთი მუხლის, art.311-ის სხვადასხვა ნაწილებში. Code pénal არ ითვალისწინებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დაყოფას ქურდობად, ძარცვად და ყაჩაღობად და მათ სხვადასხვა მუხლებში გადანაწილებას, როგორც ეს ქართულ ან გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსებშია, არამედ ყველა მათგანს თავს უყრის ერთ მუხლში.

Code pénal-ის art.311-3 ეხება ჩვეულებრივ ქურდობას, დამამძიმებელი გარემოებების გარეშე. ქურდობად კვალიფიცირდება მაგ., გაჩერებული მანქანის მითვისება (Crim., 1959), მანქანიდან ნივთების მოპარვა (Crim., 1961, 1969). კოდექსი ასევე სჯის აღნიშნულ ქმედებათა მცდელობას.³⁷

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ქურდობას ეძღვნება art.311-4. ქურდობის დამამძიმებელ გარემოებებში მოიაზრება ძალადობა ან ძალადობის მუქარა (art.311-4, 4⁰), ქურდობის ჩადენა ჯგუფის მიერ, შეიარაღებული პირის ან ჯგუფის მიერ, ასევე ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ქურდობა იარაღით ჩადენილად ითვლება მაშინაც კი, თუ დაზარალებულისთვის დამნაშავის მიერ იარაღის ფლობა არ იყო შემჩნეული, ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს პირს ქონდა იარაღის ტარების ნებართვა, თუ აკრძალული აქვს მისი ტარება. ასეთ შემთხვევებს უწოდებენ „შეიარაღებულ ქურდობას“ („vol à main armée“).³⁸

ქურდობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება მისი ჩადენა ნივთის (ქონების) დანგრევის, დაზიანების, მწყობრიდან გამოყვანის თანხლებით (art.311-4, 8⁰). ეს გარემოება არსებობს, როცა ქურდობა

³⁵ იხ. Larguier J./Conte Ph./Larguier A.-M., დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

³⁶ ამგვარი განმარტება გააკეთა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ (Cour de cassation, chambre criminelle) (მითითებულია Larguier J./Conte Ph./Larguier A.-M., Droit pénal spécial, 13e édition, Paris, 2005).

³⁷ იხ. Larguier J./Conte Ph./Larguier A.-M., დასახ. ნაშრომი, 185.

³⁸ იხ. Larguier J./Conte Ph./Larguier A.-M., დასახ. ნაშრომი, 186.

წინ უსწრებს, თან ახლავს ან მოყვება ნივთის დანგრევას, დაზიანებას ან მწყობრიდან გამოყვანას. მაგ., ქურდობა გაჩერებულ მანქანაში (გაჩერებული მანქანიდან მოპარვა - „vol à la roulotte“), მანქანის კარის ან მინის დაზიანებით.

Code pénal-ის art.311-4, 9⁰-ის თანახმად, ქურდობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მისაკუთრების ან არა-მისაკუთრების მიზნით. ანუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში არ მოითხოვება მისაკუთრების მიზანი.

5. ნორმის ნებადართული ინტერპრეტაცია თუ სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციის იგნორირება

2007 წლის 23 მაისს სსკ-იდან ამოღებულ იქნა 184-ე მუხლი (ავტომანქანის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე).³⁹ აღნიშნული კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, „ხდება სსკ-ის 184-ე მუხლის ამოღება, რადგან კოდექსის მოქმედი რედაქციით, სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, როცა მიზანი მისი დასაკუთრებაა, ცალკე დამამძიმებელ გარემოებად არის ჩამოყალიბებული ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის მუხლებში. კანონპროექტის მიზანია გაუქმდეს 184-ე მუხლი. კანონპროექტის მიხედვით ხდება აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაცია.“⁴⁰

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო სსკ-დან 184-ე მუხლის დეკრიმინალიზაციის მიზნით ამოღების გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება განმარტა კანომდებლის ნების საწინააღმდეგოდ და განაცხადა, რომ „სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის არარსებობა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება და მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ასეთი ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები, კერძოდ

³⁹ 2007 წლის 23 მაისის კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, მუხ. 1 V.

⁴⁰ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

— 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლები“.⁴¹ თუმცა კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ჩანს, რომ კანონმდებლის ცალსახა მიზანი იყო 184-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების დეკრიმინალიზაცია. დეკრიმინალიზაცია კი ნიშნავს კანონმდებლის მიერ რაიმე ქმედებისთვის დაწესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას.⁴² სისხლის სამართლის კანონი, რომელიც სრულად აუქმებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას რაიმე ქმედებისათვის, აუქმებს ამ ქმედების დანაშაულებრიობას, ანუ ახდენს დეკრიმინალიზაციას (ვინრო გაგებით).⁴³ „სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება არ არის ისეთი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი, რომ აღნიშნული ქმედება იყოს სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი, მით უმეტეს გაურკვეველია, თუ რატომ უნდა იყოს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება გამოყენების მიზნით დანაშაული და სხვა ნივთებისა კი არა. აღნიშნული მუხლის გაუქმების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე, სისხლის სამართლის წესით დაისჯება, თუკი მასში იქნება სხვა დანაშაულის ნიშნები“.⁴⁴ თუმცა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა სსკ-იდან 184-ე მუხლის ამოღებას განიხილავს ქმედების მოჩვენებითი დეკრიმინალიზაციის კონტექსტში, რომლის მაგალითია 1960 წლის სსკ-ის 134-ე მუხლის ამოღება (პასუხისმგებლობა ქალის მოტაცებისთვის მასთან ქორწინების მიზნით). 1999 წლის კოდექსში ამ შემადგენლობას აღარ ვხვდებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოხდა ამ ქმედების დეკრიმინალიზება. ამჟამად ასეთი ქმედება 143-ე მუხლით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) კვალიფიცირდება.⁴⁵

სატრანსპორტო საშუალების გატაცება სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით კვალიფიცირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე სხვისი ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების შედეგად, რა დროსაც მას ჰქონდა მისი, როგორც საკუთარის, გამოყენების შესაძლებლობა, განიზრახავდა დროებით გამოეყენებინა გატაცებული ავტომანქანა. კანონმდებელი, დამნაშავეს განზრახვიდან გამომდინარე, მის ქმედებას აკვალიფიცირებდა ავტომანქანის გატაცებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის მუხლით, განსხვავებით იმ

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №1042-აპ ხვედელიძე, 28 ივნისი, 2007 წ.

⁴² საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ნაჭყებია გ., დვალიძე ი. (რედ.), თბილისი, 2008, 56.

⁴³ ხარანაული ლ., სისხლის სამართლის კანონის საგარანტიო ფუნქცია, უ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, 2008, 53.

⁴⁴ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

⁴⁵ იხ. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005.

შემთხვევისაგან, როდესაც პირს განზრახული ჰქონდა თავის სასარგებლოდ ავტომანქანის არადროებით გამოყენება, ანუ მისაკუთრება.

5.1. მისაკუთრების მიზნის განმარტება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტების თანახმად, „კანონმდებელმა სსკ-იდან ამოიღო რა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლი, ამით უარი თქვა, დამნაშავის განზრახვიდან გამომდინარე ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში, მისი სპეციალური მუხლით დასჯაზე და ერთ სიბრტყეში, კერძოდ, გატაცების ხერხის მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამის მუხლებში მოაქცია ავტომანქანისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება როგორც დროებითი გამოყენების, ასევე სხვა ფორმით მისი გამოყენების მიზნით“.⁴⁶

როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა აღნიშნავს, ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის დისპოზიციისაში არ არის მოცემული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს არ არსებობს ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით, რა დროსაც დამნაშავე, თავისი შეხედულებით, მხოლოდ დროებით, ანგარებითი მოტივით თავის სასარგებლოდ გამოიყენებს სხვის საკუთრებას — ავტოტრანსპორტს, რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი.⁴⁷

184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხელყოფს საკუთრებით ურთიერთობას. დამნაშავე ავტომობილის მესაკუთრეს ან მის კანონიერ მფლობელს დროის რაღაც მონაკვეთში უსპობს სატრანსპორტო საშუალების თავისი შეხედულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ნორმის განმარტებისას აპელირებს იმაზე, რომ პირს თუნდაც დროებით „გააჩნია“ ავტომანქანის მისაკუთრების მიზანი, შესაბამისად, იგი ცდილობს მსგავსი ქმედებების ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საკანონმდებლო კონსტრუქციებში მოცემული „მართლსაწინააღმდეგო

⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, 2008 წელი, 60.

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება, საქმე №1042-აპ ხვედელიძე, 28 ივნისი, 2007 წ.

მისაკუთრების მიზნის“ ფარგლებში განხილვას. ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვმარტავთ ეკონომიკურ დანაშაულებში მოცემულ “მისაკუთრების მიზანს . მისაკუთრების მიზანი ნიშნავს, რომ პირს სურს დაუფლებული ნივთი მოაქციოს თავის საკუთრებაში.

საკუთრების ცნების განმარტებისთვის უნდა მივმართოთ სამოქალაქო სამართალს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საკუთრება მოიცავს ნივთის მფლობელობას, სარგებლობასა და განკარგვას.⁴⁸ ანუ საკუთრების უფლებას სამოქალაქო კოდექსი ტრადიციულად განმარტავს. საკუთრება მოიაზრება თავისი პოზიტიური და ნეგატიური მდგომარეობით. საკუთრების პოზიტიურ შინაარსში იგულისხმება მესაკუთრის ნივთთან ურთიერთობა. საკუთრებაში სწორედ პირის ნივთთან ურთიერთობაა მთავარი. სწორედ ამის წყალობით ახერხებს პირი გამოიყენოს ნივთის სასარგებლო თვისებები. აქ ხაზი ესმება საკუთრების მოხმარებით, დანიშნულებით მდგომარეობას.⁴⁹ როგორც ჩანს, უზენაესი სასამართლო ამ განმარტებაზე აფუძნებს თავის გადაწყვეტილებას, მაგრამ სისხლის სამართალი არის ქმედების სამართალი⁵⁰. მართალია, „არავინ არ არის ვალდებული თავისი სატრანსპორტო საშუალება გადასცეს სხვას თუნდაც დროებითი გამოყენებისათვის“,⁵¹ მაგრამ „არსებობს ასევე განზრახი დანაშაულის ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, რომელიც თავის თავში მოიცავს განზრახვასა და განზრახი დანაშაულის სხვა სუბიექტურ ნიშნებს. განზრახი დანაშაულის ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებს ყველა შემთხვევაში წარმოადგენს სპეციალური მიზანი (მაგალითად, მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზანი ქურდობის დროს, სსკ-ის 177-ე მუხლი). ნებისმიერი განზრახი დანაშაულის შემთხვევაში უნდა შემოწმდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, რომელიც შეიცავს განზრახვას ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშნის მიმართ და ასევე ქმედების ქმედების შემადგენლობის სხვა წმინდა სუბიექტურ ნიშნებს. განზრახი ქმედების დასჯადობის აუცილებელი მომენტიცაა, რომ პირს განზრახვა ქმედების ჩადენის დროს ჰქონდეს“,⁵² შესაბამისად, თუ პირს კონკრეტული ქმედების ჩადენის დროს არ ამოძრავებს ავტომატურად მისაკუთრების მიზანი (რომელიც არის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სპეციალური და წმინდა სუბიექტური ნიშანი), არ აქვს ასეთი განზრახვა, მას პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებთ მისაკუთრების

⁴⁸ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 170 I. საპარლამენტო უწყებანი №31, 1997 წ, №786-IIIს

⁴⁹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი , ლ. ქანტუიას რედაქტორობით), თბილისი, 1999., 83-84.

⁵⁰ იხ. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2009.

⁵¹ კვამილავა ალ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, ჟურ. „სამართალი , №5, 2001, 44.

⁵² ტურავა მ., დასახ. ნაშრომი, 126-133

განზრახვისათვის და შესაბამისად, 177-ე, 178-ე თუ 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

5.2. განკარგვის შესაძლებლობა

მართლსაწინააღმდეგო დაუფლების დროს პირი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ მოიპოვებს ავტომანქანის უკანონოდ გამოყენების შესაძლებლობას, რა დროსაც მას შეუძლია, განკარგოს ნივთის ბედი თავისი შეხედულებით. კანონის დათქმით, თუ დამნაშავე დროებით გამოიყენებდა ავტომანქანას, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში სსკ-ში გათვალისწინებული იყო დანაშაულის სპეციალური შემადგენლობა, ვიდრე ავტომობილის ხანგრძლივი დროით დატოვებით და მისი სხვა ფორმით გამოყენების დროს. ეს გამონეული იყო პირის ქმედების ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების შემცველობით და არ არსებობდა მისი მკაცრად დასჯის მიზანი. სასამართლო მხოლოდ იმის გამო სჯის პირს ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობისთვის, რომ ნივთის დროებითი დაუფლების დროს მას აქვს ნივთის საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობა.⁵³ ამ მოსაზრების საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ „თუ ნივთი წაღებულია მისი განადგურების ან დროებითი სარგებლობის მიზნით, ჩადენილი არ წარმოადგენს ძარცვას, არამედ სხვისი ნივთის განადგურებას ან თვითნებობას“;⁵⁴ მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს პირს აქვს შესაძლებლობა განკარგოს ნივთი, როგორც საკუთარი და მას ეპყრობა კიდევ როგორც საკუთარს, ანადგურებს ან აზიანებს, მისი ქმედების დაკვალიფიცირება და დასჯა ქურდობით, ძარცვით ან ყაჩაღობით, იქნება სამართლებრივად არასწორი. რადგან ამ ქმედებებისთვის აუცილებელია სპეციალური მიზნის მისაკუთრების მიზნის არსებობა. თუმცა, ეს დანაშაული უფრო მეტ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს, ვიდრე ავტომანქანის დროებითი დაუფლება, ვინაიდან პირი ანადგურებს და აქედან გამომდინარე, ნივთს აღარ უბრუნებს მესაკუთრეს. მას არც აქვს ნივთის დაბრუნების სურვილი, განსხვავებით 184-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენისაგან. შესაბამისად, სამართლებრივად გაუმართლებელი და გაუგებარია, რატომ უნდა დაისაჯოს პირი ქურდობისთვის, როდესაც იგი დროებით გამოიყენებს ავტომანქანას და შემდეგ

⁵³ ასეთი ფორმულირება გამომდინარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება, საქმეზე №1042-აპ ზვედელიძე, 28 ივნისი, 2007 წ.

⁵⁴ იხ. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ო. გამყრელიძის რედაქტორობით, თბ., 2004, 38.

უბრუნებს მის კანონიერ მფლობელს, მითუმეტეს, რომ კანონმდებლის ნებას სწორედ ამ ქმედების დასჯადობის გაუქმება წარმოადგენდა.

თუმცა „საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საწინააღმდეგოდ განმარტა კანონმდებლის აღნიშნული გადაწყვეტილება და პრაქტიკულად შეითავსა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია.“⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იგნორირება გაუკეთა კანონმდებლის ნებას 184-ე მუხლის დეკრიმინალიზაციის შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.⁵⁶

5.3. სისხლის სამართლის კანონის ანალოგია

საქართველოს სასამართლოების მიერ პირდაპირ ხდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ გაკეთებული განმარტების ციტირება თავიანთ გადაწყვეტილებებში. თვით უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში აცხადებს, რომ „სსკ-ში 2007 წლის 23 მაისს შეტანილი ცვლილებით, რაც ძალაშია ამავე წლის 16 ივნისიდან, სსკ-ის 184-ე მუხლი ამოღებულია, ანუ ამჟამად მოქმედ სსკ-ში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობა არ არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი და დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება“.⁵⁷ აქედან გამომდინარე საქართველოს სასამართლოების საქმიანობაში „დამკვიდრდა საქართველოს პარლამენტის მიერ დეკრიმინალიზებული ქმედების სსკ-ის სხვა მუხლების შემადგენლობაში იმპლემენტაციის პრაქტიკა, რაც თავის მხრივ იწვევს იმ პირების უკანონო სისხლისსამართლებრივ დევნას, გასამართლებასა და მსჯავრდებას, რომელთა ქმედებებიც კანონმდებლობის თანახმად დანაშაულად არ ითვლება“.⁵⁸

⁵⁵ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2007 წლის პირველი ნახევარი, 8.

⁵⁶ იხ. იქვე, 14.

⁵⁷ ასე მოხდა ათეულობით საქმეზე, მათ შორის — მ. კოპალიანის (საქმე №350/საზ — 20.07.2007წ), ზ. არჯევანიძის (საქმე №317/საზ — 12.11.2007წ), ზ. უთურგაიძის (საქმე №2308/საზ — 21.11.2007წ), ი. ხაბურძანიას (საქმე № 323/საზ — 21.11.2007წ), რ. კარბიას (საქმე №329/საზ — 21.11.2007წ), ქ. შარაშიძის (საქმე №216/საზ — 17.12.2007წ), მ. თოდუას (საქმე №1315-აპ) საქმეებზე. იხ.: www.supremecourt.ge

⁵⁸ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2007 წლის პირველი ნახევარი, 15.

საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინებაში პირდაპირ არ აღნიშნავს, მაგრამ 184-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების გატაცების ხერხის მიხედვით ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის მსგავსი ქმედებების დანაშაულებრივ ქმედებებად შერაცხვისას იყენებს კანონის ანალოგიას. ანუ სხვა დანაშაულთა მსგავს ქმედებას, რომელიც ცალკე მუხლით დანაშაულად არ არის ფორმულირებული სსკ-ში, დანაშაულად აცხადებს ანალოგიის საფუძველზე,⁵⁹ როდესაც ავტომანქანასთან მიმართებით „იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლება ავტომობილს, რა დროსაც მას აქვს მისი, როგორც ფაქტობრივად საკუთარის, გამოყენების შესაძლებლობა. არა აქვს მნიშვნელობა, პირი რა სახით გამოიყენებს ავტომანქანას, — მისი დროებით სარგებლობა სურს, თუ ფიქრობს მისი გამოყენების სხვა ფორმებზე — მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისთვის გამოყენებული ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით“⁶⁰. რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის, სსკ-ისა და საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებს ანალოგიის აკრძალვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კერძო ნაწილში. სსკ-ის 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლებში „აკრძალულია ანალოგია და კანონის განვრცობითი ახსნა-განმარტება პირის საზიანოდ, რის გამოც ნორმის შესაძლებელი სიტყვითი მნიშვნელობა ასევე ინტერპრეტაციის საზღვრებს წარმოადგენს“.⁶¹ როდესაც კანონი მოითხოვს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ნორმა არ უნდა განვმარტოთ ისე, რომ მოვახდინოთ ამ მიზნის უგულებელყოფა. ისტორიული ახსნა-განმარტება არკვევს კანონმდებლის ისტორიულ მიზანს (მაგ., განმარტებითი ბარათი).⁶² კანონის ობიექტურ-თელეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე, „კანონის მიღების შემდეგ კანონს არანაირი კავშირი არა აქვს კანონმდებელთან, მას გაჩნია „საკუთარი ცხოვრება“ და იგი უფრო „ჭკვიანია“, ვიდრე კანონმდებელი“,⁶³ მაგრამ ნორმის განმარტების პროცესში არ უნდა უარყვოთ კანონმდებლის ისტორიული ნების მნიშვნელობა. ისტორიულად კი კანონმდებლის ნება იყო 184-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების დეკრიმინალიზირება.

„მხოლოდ კანონმა შეიძლება განსაზღვროს დანაშაული და სასჯელი (nullum crimen, nulla poena sine lege), აქედან გამომდინარე, პირის საზიანოდ, თუნდაც ანალოგიით, სისხლის სამართლის კანონის განვრცობითი განმარტება დაუშვებელია. მნიშვნელოვანია, რომ

⁵⁹ იხ. იქვე, 18.

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება, საქმე №1042-აპ ხვედელიძე, 28 ივნისი, 2007 წ.

⁶¹ გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2005, 27.

⁶² ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 155.

⁶³ ტურავა მ., დასახ. ნაშრომი, 41.

კანონი ცხადად განსაზღვრავდეს დანაშაულს, ანუ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, აღიქვას შესაბამისი ნორმის ტექსტიდან და საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ტექსტის განმარტებიდან, რა ქმედებისათვის დაეკისრება მას პასუხისმგებლობა⁶⁴. „სადაც რეპრესიაა, დასჯაა, იქ მოსამართლის მიხედულება, მისი თავისუფლება შეზღუდულია კანონით. კანონმდებელი თვითონ განსაზღვრავს, რომელი ქმედება უნდა გამოცხადდეს დანაშაულად.“⁶⁵

„სისხლის სამართლის კანონი კრძალავს ანალოგიას პიროვნების საზიანოდ, ხოლო უშვებს მას პიროვნების სასარგებლოდ.“⁶⁶ პიროვნების სასარგებლოდ ანალოგიის დაშვება გამოსატულებას პოულობს სამოსამართლეო სამართალშემოქმედებაში. პირის საწინააღმდეგოდ ანალოგიის აკრძალვის მოთხოვნა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, რომლის თანახმად, „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა“,⁶⁷ ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლიდან, რომ „არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით“.⁶⁸ სსკ-ის მე-3 მუხლში მოცემული სისხლის სამართლის კანონის უკუძალის აკრძალვისა და სისხლისსამართლებრივი ანალოგიის აკრძალვის პრინციპის თანახმად, „მოსამართლეს უფლება არა აქვს განსასჯელის საზიანოდ (in malum partem) დანაშაულის ახალი შემადგენლობა შექმნას ან არსებული გააფართოოს, თუ ჩადენილ ქმედებას არსობრივად არ მოიცავს არსებული საკანონმდებლო ნორმის შინაარსი. ანალოგია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ასპექტით გამორიცხულია, რადგან სწორედ სისხლის სამართლის კერძო ნაწილშია გათვალისწინებული ცალკეული დანაშაული და მათი შესატყვისი შემადგენლობანი.“⁶⁹

სსკ-ის 177-ე მუხლით დანაშაულად ითვლება ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. სსკ-ის 177-ე მუხლის დისპოზიციაში აღწერილი ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია

⁶⁴ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2007 წლის პირველი ნახევარი, 19.

⁶⁵ გამყრელიძე ო., ორსახოვანი იანუსი, ჟურ. „მართლმსაჯულების მაცნე“, №2-3, 2000, 83.

⁶⁶ ტურავა მ., დასახ. ნაშრომი, 40.

⁶⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 42 V.

⁶⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხ. 7 I.

⁶⁹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გ. ნაჭყებისა და ი. დვალის რედაქტორობით, თბილისი, 2008, 18.

სუბიექტური შემადგენლობა, კერძოდ, დანაშაულის სპეციალური მიზანი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება,⁷⁰ რაც გამოორიცხავს ქურდობის ჩადენას აღნიშნული მიზნის გარეშე, თუნდაც ქმედების შემადგენლობის სხვა ელემენტები პირის მიერ განხორციელებული იყოს. ამ დანაშაულებისაგან განსხვავებით, 184-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში პირის მიზანი იყო სხვისი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და დროებითი გამოყენება. შესაბამისად, ეს დანაშაული მკვეთრად განსხვავდებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისგან (ძალადობა, ძარცვა, ყაჩაღობა). თუ პირის მიზანი იქნებოდა ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მისაკუთრება, მაშინ მისი ქმედება დაკვალიფიცირდება ქურდობით, ძარცვით ან ყაჩაღობით შესაბამისი დამამძიმებელ გარემოებებში. აქედან გამომდინარე ქმედების ის შემადგენლობა რომელსაც 184-ე მუხლი შეიცავდა სსკ-ის სხვა მუხლებში არ გვხვდება. 184-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების მიზანი და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულების მიზანი მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კანონმდებელს სხვაგვარად აქვს ჩამოყალიბებული 177-ე, 178-ე, 179-ე მუხლები, ვიდრე ამას განმარტავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამ მუხლებში აუცილებელი პირობაა მისაკუთრების განზრახვის არსებობა. საწინააღმდეგო განმარტება კი არღვევს სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას, რომელიც გამომდინარებს კანონიერების პრინციპიდან. კანონიერების პრინციპის ქვაკუთხედს წარმოადგენს *nullum crimen sine lege*,⁷¹ რომელიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში, სსკ-ის მე-2 და მე-3 მუხლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის პირველ აბზაცსა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლის 1-ლ აბზაცში. „სისხლის სამართლის კოდექსი არის დამნაშავესათვის *Magna Charta*.“⁷² „ყოველი ქმედება, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევს, და ყოველი სასჯელი ან ზემოქმედების სხვა სახე, რომელსაც სახელმწიფო გამოიყენებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კანონში.“⁷³

⁷⁰ ანალოგიური მდგომარეობაა სსკ-ის 178-ე (ძარცვა) და 179-ე (ყაჩაღობა) მუხლებშიც.

⁷¹ ტურავა მ., დასახ. ნაშრომი, 32.

⁷² იქვე.

⁷³ საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გ. ნაჭყელებისა და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2008, 17.

6. დანაშაული სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დაუფლებით დანაშაულებში ყურადღებას იქცევს დანაშაული სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობად⁷⁴ ითვლება არა მარტო სატრანსპორტო საშუალების ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არამედ ასევე სატრანსპორტო საშუალების ნაწილის (აქსესუარის) ფარული დაუფლება.⁷⁵ მაგალითად, თუ პირი ფარულად დაეუფლა ავტომანქანას — ჩადენილია ქურდობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. ასევე, თუ ფარულად დაეუფლნენ ავტომანქანის სარკეს (საბურავს ან სხვა აქსესუარს) — ჩადენილია ქურდობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. ასევე განიმარტება ძარცვისა⁷⁶ და ყჩალობის⁷⁷ შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

2006 წლის 12 აგვისტომდე სატრანსპორტო საშუალება არ იყო ცალკე გამოყოფილი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულების ობიექტებიდან და მოიაზრებოდა „ნივთში“. მაგრამ 2006 წლის 12 აგვისტოს სსკ-ში შესული ცვლილებით,⁷⁸ სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ქმედების ჩადენა გამოიყო ცალკე დამამძიმებელ გარემოებად. ამჟამად, სატრანსპორტო საშუალება მოიცავს არა მხოლოდ ავტომანქანას ან სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, არამედ ნებისმიერ გადაადგილების საშუალებას, მათ შორის ველოსიპედს.

სატრანსპორტო საშუალება, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი არ არის გამოყოფილი გერმანიის სსკ-ში. იგი ქურდობად მიიჩნევა ნებისმიერი ნივთის დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. (მუხ. 242). საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსიც არ გამოყოფს რომელიმე ნივთს, მათ შორის არც სატრანსპორტო საშუალებას. Art.331-ში ზოგადად წერია, რომ ქურდობა არის სხვისი ნივთის დაუფლება (მითვისება) მოტყუებით.

ვფიქრობ, არ იყო აუცილებელი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების ცალკე დამამძიმებელ გარემოებად გამოტანა, რადგან ასეთი ქმედებები მანამდეც უპრობლემოდ

⁷⁴ სსკ-ის მუხ. 177 III „დ“.

⁷⁵ სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 25 ივლისი, 2005 წელი, 16.

⁷⁶ სსკ-ის მუხ. 178 III „ე“.

⁷⁷ სსკ-ის 179 II „გ“.

⁷⁸ 2006 წლის 12 აგვისტოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, №4213.

კვალიფიცირდებოდა ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის მუხლების პირველი ნაწილით, ხოლო მიყენებული ზიანის ოდენობის მიხედვით პირი პასუხს აგებდა შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებით.

დასკვნა

ყაჩაღური თავდასხმა ყველა შემთხვევაში ხდება ნივთის დაუფლების მიზნით, ხოლო ნივთს შეიძლება დაეუფლონ მისაკუთრების, სხვისთვის გადაცემის, განადგურების ან დროებით გამოყენების მიზნით. დაზარალებულს აზიანებს ნივთის დაუფლება, რითაც ხდება ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობის მოსპობა. ამასთან, დაზარალებულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფა ან ხელყოფის საფრთხის შექმნა ხდება თავდასხმისა და ნივთის დაუფლების პროცესში და არა მისი მისაკუთრების ან ლეგალიზაციის დროს. ჩემი აზრით, გატაცების მიზანში ხშირ შემთხვევაში იგულისხმება მისაკუთრების მიზანი, რადგან თავდამსხმელი იმისთვის ზრუნავს, რომ ხელში ჩაიგდოს და თვითონ მიისაკუთროს მიღებული ქონება. მიუხედავად ამისა, პიროვნება უნდა დაისაჯოს იმისათვის, რისი ჩადენაც მას სურდა, ამიტომ ასეთი ფორმულირებით თანაბრადაა დაცული, როგორც მესაკუთრის, ისე თავდამსხმელის უფლებები.

თუ გვინდა, რომ ავტომანქანის დროებითი გამოყენების მიზნით გამტაცებლები დავსაჯოთ, უნდა გვქონდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. თუ თავდამსხმელს არა აქვს ნივთის მისაკუთრების მიზანი, მაშინ კანონის რედაქციიდან გამომდინარე, ქმედება ვერ შეფასდება ქურდობად, ძარცვად, ყაჩაღობად, ამიტომ უნდა არსებობდეს ისეთი დელიქტები, რომელთა დისპოზიციასში გათვალისწინებული იქნება დროებით გამოყენების მიზანი. ამისათვის ან უნდა აღვადგინოთ გაუქმებული 184-ე მუხლი, როგორც ეს არის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში. რის შემდეგაც პირს, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას დროებითი გამოყენების მიზნით დაეუფლება, პასუხს ვაგებინებთ ამ მუხლით.

თუ კანონმდებელს გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების, იგივე სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე სურს, რომ ერთ სიბრტყეში მოაქციოს მისაკუთრების მიზნით და მის გარეშე ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების დაუფლება. ქედან გამომდინარე, ამ ქმედებების დასჯა ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის მუხლებით, ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის მუხლები უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ აღნიშნული ნორმების საკანონმდებლო კონსტრუქციებმა დაბრკოლება არ შეგვიქმნას ავტომანქანის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გამტაცებლის ამ მუხლებით დაკვალიფიცირებისას, პირის მიერ ნივთის მისაკუთრების მიზნის არსებობა-არარსებობის მიუხედავად,

როგორც ეს არის, მაგალითად, საფრანგეთის კანონმდებლობაში. ამისათვის შეიძლება ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის შემადგენლობებიდან ამოღებულ იქნეს მისაკუთრების მიზანი და მაგალითად, ქურდობის ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 177. ქურდობა

1. ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული მართლსაწინააღმდეგო დაუფლება.“

ამგვარად ჩამოყალიბებული სსკ-ის ნორმა დაექვემდებარება ისეთ ახსნა-განმარტებას, რომელიც დროებითი გამოყენების მიზნით მანქანის გამტაცებლის ქმედების სუბსუმციას მოახდენს აღნიშნული ნორმის ქვეშ და ამით არ დაირღვევა სისხლის სამართლის კანონის საგარანტიო ფუნქცია. სსკ-ის დღეს მოქმედი რედაქციით ასეთი კვალიფიკაცია კი იწვევს კანონის დარღვევას.

მოქმედი სსკ-ს შესაბამისი ნორმების რედაქციიდან გამომდინარე, პირს, რომელსაც ავტომანქანის დაუფლების მომენტში არ ჰქონია მისაკუთრების მიზანი და მხოლოდ დროებითი გამოყენების მიზნით დაუფლა მას, არ შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულის ჩადენისთვის, კერძოდ, ავტომანქანის ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობისთვის.

რუსეთ-საქართველოს ომის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები

შესავალი

2008 წლის 7 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების კოლონებმა მასობრივად დაიწყეს შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე. უკვე 8 აგვისტოს დილიდან რუსეთის ფედერაციის არმიამ, საზღვაო ფლოტმა და სამხედრო ავიაციამ საბრძოლო მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე გაშალეს. დღეების განმავლობაში იბომბებოდა საქართველოს ყველა მხარე. ეს ფაქტი ისტორიაში შევიდა რუსეთ-საქართველოს ომის სახელით. ეს იყო შეიარაღებული კონფლიქტი ერთი მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ რუსეთის ფედერაციას შორის, ოსებსა და აფხაზებთან ერთად.

საკითხის აქტუალობა და ნაშრომის ძირითადი კითხვა

რუსეთ-საქართველოს შორის აგვისტოს ომი მთელი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ამ ომის შესახებ დაინერა მრავალი ანალიტიკური სტატია. მკვლევარები დღემდე იკვლევენ რა როგორ დაიწყო, ვინ რა შეცდომა დაუშვა, ვისი პოზიციასა სამართლებრივად სწორი, რა შედეგები მოჰყვა ომს და ა.შ.

ამდენად, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საინტერესოდ მივიჩნით მოგვეხდინა იმ მიზეზების სამართლებრივი შეფასება, რომელთა საფუძველზეც ახსნა რუსეთის ფედერაციამ კონფლიქტში ჩართვა.

რუსეთმა კონფლიქტში ჩართვა ოთხი ძირითადი მიზეზით (რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი) გაამართლა.

წინამდებარე სტატიის მიზანია პასუხი გასცეს შემდეგ კითხვას: **რუსეთის მიერ დასახელებული მიზეზები იძლევა თუ არა კონფლიქტში ჩაბმის სამართლებრივ საფუძველს?**

1. კონფლიქტის ისტორიული რაკურსი

1.1. კონფლიქტის საწყისები

ოსები წარმოშობით მდინარე დონის ნაპირებზე მცხოვრები ალანების შთამომავლები არიან, რომლებიც კავკასიაში დაახლოებით XIII საუკუნეში გადმოსახლდნენ მონღოლთა მიერ მათი სამშობლოდან აყრის გამო. ოსების დიდი ნაწილი ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე დასახლდა, ხოლო ნაწილი

მოგვიანებით სამხრეთ კავკასიაშიც გადმოვიდა და დღევანდელი ცხინვალის რეგიონში დამკვიდრდა.¹ 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ოსებს შეზღუდული ავტონომია მიენიჭათ საქართველოს სსრ-ის ფარგლებში (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი). იმავდროულად, შეიქმნა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიც, ოღონდ რუსეთის ფედერაციის ფარგლებში. 1990-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაახლოებით 2/3-ს შეადგენდნენ ეთნიკური ოსები, ამასთან, დაახლოებით 100 000 ეთნიკური ოსი ცხოვრობდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც.²

საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1991-1992 წლებში სამხრეთ ოსეთში ეთნიკური კონფლიქტი მოჰყვა, რაც ამ უკანასკნელის მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადებით დასრულდა. კონფლიქტში დაახლოებით 2000 ადამიანი დაიღუპა. სამხრეთ ოსეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, საერთაშორისო თანამეგობრობას არ უცვნია. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევის შემდეგ რეგიონში მხარეებს შორის სამშვიდობო შუამავლის როლს რუსი, ოსი და ქართველი სამხედროები ასრულებდნენ (500 წარმომადგენელი ყოველი მხრიდან). ამავე პერიოდში რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოსურ მოსახლეობას საშუალება მისცა მისი მოქალაქეობა მიეღო.³ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებისთვის რუსეთის ფედერაციამ ჯერ კიდევ 90-იან წლებში გაატარა შესაბამისი ღონისძიებები, ხოლო აქტიური პასპორტიზაციის პოლიტიკის განხორციელებას 2002 წლიდან შეუდგა.⁴

ბოლო წლებში საარტილერიო სროლები მხარეებს შორის მწვავედებოდა, რასაც, ცხადია, მსხვერპლიც თან ახლდა. რუსი სამშვიდობო ძალების ადგილზე ყოფნის მიუხედავად, არ წყდებოდა მკვლელობა, ადამიანთა გატაცება, პირთა უფლებებისა და თავისუფლებების სისტემატური შელახვა. პერმანენტულად ხორციელდებოდა თავდასხმები ქართველებით დასახლებულ სოფლებზე, სამოქალაქო მოსახლეობასა და სამართალდამცავ ორგანოებზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ცხინვალის რეგიონში 1992 წლიდან 2008 წლის 8 აგვისტომდე, რუსული სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში საერთო ჯამში დაიღუპა 150-მდე მშვიდობიანი მოქალაქე და სამართალდამცავი.⁵

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოსურ მხარეს მრავალი სამშვიდობო გეგმა შესთავაზა, 2006 წლის ნოემბერში ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი

¹ იხ. ka.wikipedia.org

² Russian Federation: Legal Aspects of War in Georgia, www.loc.gov

³ იხ. ka.wikipedia.org

⁴ რუსეთის ფედერაციის ქმედებები საქართველოში კონფლიქტის ზონების მოსახლეობასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 17.

⁵ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009.

რათა ხელახლა ელიარებინათ დამოუკიდებლობა. ამომრჩევლების 99%-მა მხარი დაუჭირა რეფერენდუმს.⁶

1.2. კონფლიქტის ესკალაცია 2008 წლის გაზაფხულიდან

2008 წლის 16 აპრილს პრეზიდენტმა პუტინმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის საფუძველზედაც რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო პირდაპირი სამართლებრივი და დიპლომატიური კავშირების დამყარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის *de facto* მთავრობებთან. აღნიშნული ფაქტი დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის, ევროკავშირმა, ეუთომ, ნატომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ. საერთაშორისო საზოგადოებამ მოითხოვა აღნიშნული დეკრეტის გაუქმება, თუმცა უშედეგოდ.

რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის *de facto* აღიარების შემდეგ უფრო და უფრო გახშირდა რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტები. მაგალითად, 20 აპრილს რუსულმა „მიგ“-მა საქართველოს საჰაერო სივრცეში ჩამოაგდო საქართველოს შსს-ს უპილოტო საფრენი აპარატი და ეს ფაქტი დაადასტურა გაერომ და ეუთომ. ასევე, 9 ივლისს რუსეთმა აღიარა, რომ წინა დღეს მისმა საჰაერო გამანადგურებელმა წინასწარი განზრახვით დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე, რათა „გაეგრძელებინათ ცხელი თავები თბილისში“. ოთხი რუსული საჰაერო გამანადგურებელი 40 წუთის მანძილზე იმყოფებოდა საქართველოს საჰაერო სივრცეში.⁸ რუსეთი მანამდე, როგორც წესი უარყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრის ფაქტებს, მიუხედავად რადარებისა და თვითმხილველების მიერ დაფიქსირებული არაერთი ასეთი შემთხვევისა.

15 ივლისს რუსეთმა დაიწყო მასშტაბური სამხედრო წვრთნები საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის უშუალო სიახლოვეს. რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ეს წვრთნები მიზნად ისახავდა „სპეციალური სამშვიდობო ოპერაციისთვის მზადებას“ საქართველოში – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში. ასევე, ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების სარდალმა მაკაროვმა განაცხადა, რომ მისი შენაერთები „მზად იყვნენ დახმარება გაეწიათ მშვიდობისმყოფელებისათვის“. მაშინ, როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მშვიდობისმყოფელების გაეროსა და ეუთოს მიერ დამტკიცებული მანდატით არსად არ არის გათვალისწინებული გარეშე სამხედრო ძალის „დახმარება“. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს განცხადება, წვრთნებთან ერთად, შეაფასა როგორც პირდაპირი მუქარა და აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.⁹

⁶ Russian Federation: Legal Aspects of War in Georgia, www.loc.gov

⁷ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009.

⁸ სიახლენი საქართველოს შესახებ, საქართველოს მთავრობის გამოცემა, 18 ივლისი, 2008.
⁹ იქვე.

უკვე ივლისის ბოლოს ოსურმა ბანდ—ფორმირებებმა დაიწყეს გააქტიურება. კერძოდ, მათ დაიწყეს იმ სოფლების დაბომბვა, სადაც ეთნიკურად შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა. მათ ასევე დაბომბეს ქართველი მშვიდობისმყოფელები და ქართული საკონტროლო პუნქტები. დაბომბვა ხორციელდებოდა აკრძალული იარაღით - მსხვილკალიბრიანი არტილერიით.¹⁰ სეპარატისტებმა არაერთხელ გაუხსნეს ცეცხლი შერეული სამშვიდობო ძალების დამკვირვებელთა ჯგუფსაც.

1.3. „აგვისტოს ომი“

გვიან, 1 აგვისტოდან ინტენსიური სროლები დაიწყო საქართველოს თავდაცვის ქვედანაყოფებსა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის. ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა ცეცხლის გახსნაში. 3 აგვისტოს რუსეთის მთავრობამ საშუალება მისცა ოსეთის მოსახლეობას რუსეთში გახიზნულიყო. 4 აგვისტოს რუსეთის 58-ე არმიის ხუთი ბატალიონი როკის გვირაბის სიახლოვეს იქნა დისლოცირებული, ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს.¹²

8 აგვისტოს დილას, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იმყოფებოდა, დაგმო საქართველოს „აგრესიული ქმედებები“ და განაცხადა, რომ რუსეთი ამ ქმედებებს უპასუხოდ არ დატოვებდა. ამ განცხადების შემდეგ, სამი რუსული „სუ-24“ საქართველოს საჰაერო სივრცეში იჭრება და ორ ბომბს აგდებს ქარელის პოლიციის სადგურთან, რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს გორის სიახლოვესაც.¹³ ამ ფაქტების შემდეგ დაიწყო რუსეთის მხრიდან საქართველოს ინტენსიური დაბომბვა.

9 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა პრეზიდენტის აქტი საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.¹⁴ ამავდროულად, რუსეთმა განწყვიტა საჰაერო კავშირი საქართველოსთან. თავის მხრივ, საქართველომ აკრძალა რუსული ტელეარხების ტრანსლაცია ქვეყანაში, რუსეთის მხრიდან საინფორმაციო ომის წარმოების გამო.¹⁵

10 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს გადასცა დიპლომატიური ნოტა საქართველოს მიერ ცეცხლის შეწყვეტის

¹⁰ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009.

¹¹ სიახლენი საქართველოს შესახებ, საქართველოს მთავრობის გამოცემა, 6 აგვისტო, 2008.

¹² იხ. ka.wikipedia.org

¹³ იქვე.

¹⁴ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009.

¹⁵ იხ. ka.wikipedia.org

შესახებ. ამ ფაქტის მიუხედავად, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა განაგრძეს ქვეყნის ტერიტორიების დაბომბვა და ოკუპირება. მომდევნო სამი დღის განმავლობაში საქართველოს ტერიტორია რუსეთის ავიაციისა და ტაქტიკური რაკეტების გამოყენებით კიდევ 32-ჯერ დაიბომბა. რუსული გემები შევიდნენ ოჩამჩირის პორტშიც და სარაკეტო და საჰაერო თავდასხმა განახორციელეს ზემო აფხაზეთზე. რუსულმა ჯარებმა დაიკავეს ზუგდიდიც.¹⁶

12 აგვისტოს რუსეთის სამხედრო შეტევა განხორციელდა ფოთის პორტსა და ზუგდიდის ადმინისტრაციულ შენობებზე.¹⁷ 8 აგვისტოდან მოყოლებული, 5 დღის მანძილზე რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალები სისტემატურად ბომბავდნენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიას.¹⁸

12 აგვისტოს მოსკოვში ზავის თაობაზე მოსალაპარაკებლად ჩავიდა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. სწორედ მისი შუამავლობის შედეგად, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა 15 აგვისტოს ხელი მოაწერეს ე.წ. „ექვსპუნქტიან შეთანხმებას“, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავდა: 1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა; 2. საბრძოლო ქმედებებზე საბოლოოდ უარის თქმა; 3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა; 4. საქართველოს შეიარაღებული ძალების დაბრუნება მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში. 5. რუსეთის შეიარაღებული ძალების დაბრუნება სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ უსაფრთხოების დამატებითი ზომების განხორციელება; 6. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ საერთაშორისო დისკუსიების დაწყება.¹⁹

15 აგვისტოს, მაშინ, როდესაც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე უკვე ხელი მოეწერა, რუსები აგრძელებდნენ ქართული დასახლებული პუნქტების დაკავებას. გარდა ამისა, 15-16 აგვისტოს რუსული სამხედრო ავიაციის მიზანმიმართულმა რეიდებმა საქართველოს ტყეებში ხანძრის რამდენიმე კერა წარმოშვა. ათასამდე ჰექტარი უნიკალური ტყის მასივი განადგურდა ბორჯომის ხეობაში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკსა და ატენის ხეობაში.²⁰

საერთაშორისო თანამეგობრობის უამრავი მონოდეების მიუხედავად, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ჯერ კიდევ არ არის შესრულებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება. ამჟამად, რუსეთის ფედერაციის ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია გრძელდება. უკანონო ოკუპაცია ვრცელდება როგორც მე-

¹⁶ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009.

იქვე.

¹⁸ Yunusov P., The Russia-Georgia war and the international law, August 17, 2008; www.lawiscool.com

¹⁹ იხ. www.mfa.gov.ge

²⁰ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009.

20 საუკუნის 90-იანი წლების მოვლენების შედეგად, ისე 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შემდეგ დაკავებულ ტერიტორიებზე, რომლებიც საერთაშორისოდ აღიარებული საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტს შეადგენს. რუსეთის მიერ მისი სახელმწიფო მოხელეების უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბებულია მარიონეტული *de facto* რეჟიმები. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმიის და ოსური შეიარაღებული ჯგუფების წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევების, მშვიდობიანი მოსახლეობისა და ჟურნალისტების მიმართ ძალადობის, დაყაჩაღების, ტყვეთა წამებისა და დახვრეტის ფაქტებს.

2. რუსეთის ფედერაციის მიერ კონფლიქტის დაწყების მიზეზების სამართლებრივი შეფასება

ცნობილია, რომ რუსეთმა კონფლიქტის დაწყება ოთხი მიზეზით ახსნა: 1. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართ საქართველოს აგრესიის შეჩერება; 2. ეთნიკური წმენდის შეჩერება და თავიდან აცილება; 3. რუსეთის მოქალაქეების დაცვა; 4. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოქალაქეების დაცვა სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე.²¹

განვიხილოთ არის თუ არა სამართლებრივად სწორი ჩამოთვლილი ოთხი მიზეზი.

2.1. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართ საქართველოს აგრესიის შეჩერება

2008 წლის 8 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა საქართველოს თავდასხმა ცხინვალზე და მის გარემომცველ ტერიტორიაზე გამოაცხადა „აგრესიულ აქტად“ და გადაწყვიტა ქართული აგრესიის შეჩერება.

არის თუ არა სამართლებრივად სწორი რუსეთის ფედერაციის მხრიდან აგრესიის შეჩერების არგუმენტი?

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ რა მიიჩნევა აგრესიად საერთაშორისო სამართლის მიხედვით და შეიძლება თუ არა საქართველოს ქმედება ჩავთვალოთ აგრესიად.

გაეროს უშიშროების საბჭოს 1974 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის მიხედვით, აგრესიულ აქტად ითვლება: ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსია ძალის გამოყენებით; ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან ამ მიზნით იარაღის გამოყენება; ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ნავსადგურების ან ნაპირების ბლოკადა; გარდა ამისა, აგრესიად მიიჩნევა არა მარტო ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, არამედ ერთი სახელმწიფოს

²¹ იქვე.

მიერ მეორის სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელყოფაც.²²

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მას 2008 წლის 8 აგვისტოს არ ჰქონია საერთაშორისო დონეზე აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი (ისევე, როგორც დღეს), ანუ იგი არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. უფრო მეტიც, 2008 წლის 8 აგვისტოსთვის, სამხრეთ ოსეთი წარმოადგენდა საქართველოს შემადგენელ ნაწილს,²³ რაც, გამორიცხავს საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიას და არასამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს რუსეთის პოზიციის გამართლებას საერთაშორისო სამართლის პრინციპის საფუძველზე.

კიდევ ერთი ფაქტია გასათვალისწინებელი: მართალია, გაეროს უშიშროების საბჭოს 1974 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციაში ზუსტადაა განსაზღვრული თუ რა ჩაითვლება აგრესიულ აქტად, მაგრამ, იმავდროულად, დეკლარაცია გაეროს უშიშროების საბჭოს ანდობს თვითონ დაადგინოს ქმედება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს აგრესიად.²⁴

მაშასადამე, რუსეთის მხრიდან საქართველოს ქმედების აგრესიად შეფასება, გაეროს უშიშროების საბჭოს 1947 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის გვერდის ავლით, არ ჯდება სამართლებრივ ჩარჩოებში.

2.2. ეთნიკური წმენდის შეჩერება და თავიდან აცილება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთმა კონფლიქტის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად საქართველოს მხრიდან ეთნიკური წმენდის შეჩერება და თავიდან აცილება დაასახელა.

ეთნიკური წმენდა, მართლაც, არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს, მაგრამ საქართველოს მხრიდან ეთნიკური წმენდის ფაქტი ვერცერთმა დამკვირვებელმა ვერ დაადასტურა და ცხინვალის მიმართულებით სამხედრო გადაადგილების მიუხედავად, ეს მოქმედება არავის შეუფასებია ეთნიკურ წმენდად.

უფრო მეტიც, პირიქით, დღეს აქტუალურად დგას რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეების და განსაკუთრებით, ეთნიკურად ქართველების მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდის საკითხი.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული რუსეთმა, რეგულარული ჯარისა და დაქირავებული პირების მეშვეობით, არაერთხელ განახორციელა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც დადასტურებულია ეუთოს ბუდაპეშტის 1994 წლის 5-6 დეკემბრის, ლისაბონის 1996 წლის 2-3 დეკემბრისა და სტამბულის 1999 წლის 18-19 ნოემბრის სამიტების

²² ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2001, 35.

²³ Russian Federation: Legal Aspects of War in Georgia, www.loc.gov

²⁴ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2001, 35

დასკვნითი აქტებით, აგრეთვე, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2008 წლის 15 მაისს მიღებული №62/249 რეზოლუციით.

2008 წლის აგვისტოში განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებიდან განიდევნა ლეგიტიმური ხელისუფლება და განხორციელდა ქართველი მოსახლეობის მორიგი ეთნიკური წმენდა. შესაბამისად, საქართველომ მიმართა საერთაშორისო სასამართლოს და რუსული აგრესიის სამართლებრივი შეფასება მოითხოვა.

საქართველო, სასამართლოს იურისდიქციის მოსაპოვებლად, საკუთარ სარჩელში დაეყრდნო „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის 22-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, „მონაწილე ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის გამოყენების ან განმარტების დროს წამოჭრილი ნებისმიერი დავა, რომელიც არ ნყდება მოლაპარაკებების ან კონვენციაში სპეციალურად გათვალისწინებული პროცედურების გზით, ნებისმიერი მოდავე მხარის მოთხოვნით გადაეცემა გადასაწყვეტად საერთაშორისო სასამართლოს, თუკი მხარეები არ შეთანხმდებიან დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებაზე“.²⁵

საქართველო ამტკიცებს, რომ „საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები და თვითმხილველთა განცხადებები, რომლებიც შეესაბამება და ადასტურებს ამ ანგარიშებს, ცხადყოფს „ეთნიკური ქართველების კონვენციური უფლებების მიმდინარე, ფართომასშტაბიან და სისტემატურ დარღვევას“ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“, აფხაზეთსა და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე, რომლებიც „ამჟამად იმყოფება რუსეთის ძალების ოკუპაციის ქვეშ“ და უჩვენებს, რომ ამ ტერიტორიებზე დარჩენილი ეთნიკური ქართველები „იმყოფებიან ძალადობრივი თავდასხმისა და იძულებითი განდევნის გარდაუვალი საფრთხის ქვეშ“; საქართველოს ინფორმაციით, არსებობს მტკიცებულება „რუსეთის სამხედრო ძალებისა და სეპარატისტული დაჯგუფებების მიერ განგრძობადი ეთნიკური წმენდის რეალურ რისკზე [...] საქართველო ამტკიცებს, რომ აღნიშნული მტკიცებულება ასევე „ცხადყოფს მიმდინარე წარუმატებლობას და განგრძობადი წარუმატებლობის რისკს რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ეთნიკური ქართველების კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვასთან დაკავშირებით“, სახელდობრ, იმ ქართველთა უფლებებს, რომლებიც ისევ „სამხრეთ ოსეთში“, აფხაზეთსა და საქართველოს სხვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ და ასევე იმ ქართველების უფლებები, რომელთაც სურთ დაბრუნება ამ რეგიონებში განთავსებულ თავიანთ სახლებში“.²⁶

სასამართლომ დროებითი ღონისძიებების ბრძანებაში აღნიშნა, რომ „მის წინაშე წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, მას

²⁵ საერთაშორისო კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“, მუხლი 22.

²⁶ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის გამოყენების საქმესთან დაკავშირებით (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, 2008 წლის 15 ოქტომბერი.

მიაჩნია, რომ ეთნიკური ქართული მოსახლეობა კონფლიქტით დაზარალებულ ზონებში დაუცველი რჩება“;²⁷

საქართველომ მიმართვა გაგზავნა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშიც.

მაშასადამე, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის გამართლების მიზნით გამოყენებული არგუმენტი ეთნიკური წმენდის შეჩერების და თავიდან აცილების შესახებ უსაფუძვლოა, რადგან არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართული მხარე რომელიმე უმცირესობის წარმომადგენლის უფლებებს არღვევდა აფხაზეთის არ ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

2.3. რუსეთის მოქალაქეების დაცვა

რუსეთის მხრიდან კონფლიქტში ჩართვის მიზეზად საკუთარი მოქალაქეების დაცვის აუცილებლობის შესახებ განცხადება პირველად გააკეთა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ვალერი ზორკინმა 2008 წლის 13 აგვისტოს, რომელმაც მოახდინა რუსეთის კონსტიტუციის 61-ე მუხლის ინტერპრეტირება, რომელიც ითვალისწინებს, რომ რუსეთის ფედერაციას აქვს ვალდებულება დაიცვას თავისი მოქალაქეები (თანამემამულეები) საზღვრებს გარეთ.²⁸

განვიხილოთ სამართლებრივად რამდენად გამართულია რუსეთის ეს არგუმენტი. უპირველესად კი განვიხილოთ — შეიძლება თუ არა „სამხრეთ ოსეთის“ მცხოვრებლები მივიჩნიოთ რუსეთის მოქალაქეებად.

ა) არიან თუ არა სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები რუსეთის მოქალაქეები

რუსეთის ფედერაციამ „სამხრეთ ოსეთში“ 2002 წლიდან აქტიური „პასპორტიზაციის“ პოლიტიკის გატერება დაიწყო. ცნობილია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირთა დაახლოებით 90% რუსეთის მოქალაქის პასპორტს ფლობს. მაშასადამე, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ამჟამად რუსეთის პასპორტი გააჩნია მაშინ, როცა ქართული კანონმდებლობა არ აღიარებს ორმაგ მოქალაქეობას.²⁹

საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მისაღებად საკმარისია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე შევსებული განაცხადის ფორმა. ეს მაშინ, როდესაც, როგორც წესი, მოქალაქეობის მიღება თავად რუსეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი პირებისათვის ხანგრძლივი ტექნიკური

²⁷ იქვე.

²⁸ Russian Federation: Legal Aspects of War in Georgia, www.loc.gov

²⁹ Iliopoulos K., Eu Report Both Sides in Georgia-Russia Conflict, www.crimesofwar.org

და პროცედურული საკითხების მოგვარებას ითვალისწინებს და საკმაოდ გართულებულია.³⁰

რუსეთის ფედერაციის მიერ 2002 წელს მოქალაქეობის შესახებ მიღებულმა კანონმა შესაძლებელი გახადა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისთვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღება, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, თუკი ისინი ცხოვრობენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, არ მიუღიათ დამოუკიდებელი რესპუბლიკების მოქალაქეობა და არიან მოქალაქეობის არმქონე პირები. კანონის მე-14 მუხლის თანახმად, 18 წელს მიღწეულ, ქმედუნარიან უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლება აქვთ, ისარგებლონ მოქალაქეობის გამარტივებული წესით, თუ მათ ჰყავთ თუნდაც ერთი შრომისუუნარო მშობელი, რომელსაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა აქვს, ჰქონდათ სსრკ-ის მოქალაქეობა, ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საბჭოთა კავშირში შემავალ სახელმწიფოებში, ვერ მიიღეს ამ სახელმწიფოთა მოქალაქეობა და შედეგად დარჩნენ მოქალაქეობის არმქონე პირებად.³¹

ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დარჩენილი პირებს ვერ მივიჩნევთ მოქალაქეობის არმქონე პირებად, რადგან - „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (მიღებულია 1993 წლის 25 მარტს) მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება პირი, რომელიც საქართველოში მუდმივად ცხოვრობდა არანაკლებ 5 წლის განმავლობაში და ცხოვრობს კანონის მიღების მომენტიდანთვის, თუ 6 თვის ვადაში ის წერილობით უარს არ განაცხადებდა მოქალაქეობის მიღებაზე. მოქალაქედ იქნა მიჩნეული საქართველოში დაბადებული ის პირიც, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია და შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებდა ბინადრობის 5 წლიან ცენზს, თუ მას არ გააჩნდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.³²

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დარჩენილი პირები არ ჩაითვლებიან მოქალაქეობის არმქონე პირებად, რადგან მათ წერილობით არ განუცხადებიათ უარი მოქალაქეობაზე.

გარდა ამისა, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე ჩატარებულ რეფერენდუმში სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებმა მონაწილეობა მიიღეს და საკუთარი ნება გამოხატეს. შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები ავტომატურად ჩაითვალნენ საქართველოს მოქალაქეებად, თუმცა ტექნიკურად მათთვის მოქალაქეობის იურიდიული დადასტურება ვერ მოხდა, რადგან შეიარაღებული დაპირისპირებისას პასპორტების გაცემა ფიზიკურად შეუძლებელი იყო.³³

³⁰ რუსეთის ფედერაციის ქმედებები საქართველოში კონფლიქტის ზონების მოსახლეობასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 18.

³¹ იქვე.

³² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, მუხლი 3. კ. 6.

³³ რუსეთის ფედერაციის ქმედებები საქართველოში კონფლიქტის ზონების მოსახლეობასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 20.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პასპორტების გაცემა ხორციელდებოდა როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე თავად რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის დარღვევით: პასპორტები არ გაიცემოდა საქართველოს მიერ აკრედიტებული საკონსულო დაწესებულებების მიერ; ამასთან, ირღვეოდა რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით მოქალაქეობის მინიჭებისათვის დადგენილი ვადები.³⁴

ამდენად, სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს ვერ მივიჩნევთ რუსეთის მოქალაქეებად.

ბ) რუსეთის მოქალაქეების დაცვის მოტივით „დაცვის პასუხისმგებლობის“ საკითხის წამოწევა

რუსეთის მოქალაქეების დაცვის მოტივით „დაცვის პასუხისმგებლობის“ საკითხის წამოწევა არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს და პრაქტიკას. როგორც წესი, დაცვის პასუხისმგებლობა არსებობს სახელმწიფოსათვის, რომელმაც უნდა დაიცვას საკუთარი მოქალაქეები. სხვაგვარი ჩარევა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო არ აქვს უნარი ან სურვილი, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები. ეს ინსტრუმენტი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო შეუთანხმებლად იღებს გადაწყვეტილებას, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები საკუთარი საზღვრების გარეთ.³⁵

„ძალის გამოყენების შესახებ“ ჰააგის 1907 წლის კონვენციის მიხედვით, განსაზღვრულია ხუთი პირობა, რომელთა დადგომის შემთხვევაშია შესაძლებელი ძალის გამოყენება. ეს პარამეტრებია: საფრთხის სერიოზულობა; ჩარევა, როგორც ძირითადი მიზანი; სამხედრო ძალის გამოყენება, როგორც უკანასკნელი საშუალება; პროპორციული ჩარევის პრინციპი; ჩარევით გამოწვეული სიკვთე უნდა აღემატებოდეს სამხედრო ინტერვენციით გამოწვეულ ზიანს.³⁶

თუკი რუსეთის ჩარევას, ძალის გამოყენების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ 5 პარამეტრთან მიმართებით განვიხილავთ, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ - არცერთი სანდო საერთაშორისო წყარო არ ადასტურებს საქართველოს მიერ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენას; დღეს უკვე ნათელია, რომ სამხედრო ოპერაციის ძირითადი მიზანი მხოლოდ მშვიდობის დამყარება და „სამხრეთ ოსეთის“ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა კი არ ყოფილა, არამედ მას უფრო შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა; სამხედრო ძალა რუსეთმა დაუყოვნებლივ გამოიყენა, საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედება არც კი უცდია. მან მხოლოდ ერთხელ მიმართა უშიშროების საბჭოს, მაგრამ რეზოლუციის ტექსტის მიღება იმ დღეს, 7 აგვისტოს, ვერ მოხერხდა, რადგან რუსეთმა მხარი არ დაუჭირა რეზოლუციას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაფიქსირებას; ნებისმიერი სამხედრო

³⁴ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009.

³⁵ იქვე.

³⁶ „ძალის გამოყენების შესახებ“ ჰააგის 1907 წლის კონვენცია.

ჩარევა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა იყოს პროპორციული, რაც უდავოდ დაარღვია რუსეთმა და ბოლოს, რუსეთის ჩარევით გამოწვეული სიკეთე ნამდვილად არ აღემატება სამხედრო ინტერვენციით გამოწვეულ ზიანს.³⁷

ზემოაღნიშნული ხუთი კრიტერიუმიდან რუსეთის მხრიდან არც ერთი იქნა დაკმაყოფილებული, შესაბამისად, რუსეთის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარღვევას.

რუსეთის ქმედება წარმოადგენს გაეროს წესდების უხეშ დარღვევასაც. კერძოდ, რუსეთის ქმედებით დარღვეულია გაეროს წესდების მე-2 მუხლი, რომლის მე-4 პუნქტში წერია: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის, მუქარის ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაეროს მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით“.³⁸

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძალის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს ჩარევის გზით. ერთი სახელმწიფო ვერ მიიღებს მსგავს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, „დაცვის პასუხისმგებლობის“ მოშველიება არასწორია იმ მოტივითაც, რომ არ არსებობდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც ჩარევის უფლებას მისცემდა რუსეთს. 2005 წელს გენერალური ასამბლეის პოზიცია ამ საკითხზე ნათლად დაფიქსირდა, კერძოდ ის, რომ დაცვის პასუხისმგებლობის მოტივით ჩარევა უნდა ხდებოდეს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე.³⁹

მაშასადამე, რუსეთის ფედერაციის მხრიდან წამოყენებული არგუმენტი, რომ ძალის გამოყენება დასჭირდა საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის და უსაფრთხოების დასაცავად - უსაფუძვლოა.

2.4. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოქალაქეების დაცვა 1992 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების (სოჭის შეთანხმების) საფუძველზე

ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის დარეგულირების ფორმატს და მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციას საფუძვლად დაედო 1992 წლის 10 ივნისის შევარდნაძე-გალაზოვის ყაზბეგის შეხვედრა და 1992 წლის 24 ივნისის სოჭის შეთანხმება „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“, რომელსაც ხელს აწერენ ედუარდ შევარდნაძე და ბორის ელცინი. ამ შეთანხმებას

³⁷ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009.

³⁸ იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება.

³⁹ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009.

შეუერთდნენ ავტონომიური ერთეულების (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის) ლიდერებიც.

საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის 1992 წლის 24 ივნისს ქ. სოჭში დადებული ხელშეკრულება სახელმწიფოთაშორისი, ორმხრივი, წერილობითი სახით გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებაა, რომელიც საერთაშორისო სამართლით რეგულირდება.

სოჭის შეთანხმების ძირითადი დანიშნულება იყო ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, კონფლიქტის ზონა დაიყო კონტროლის ზონებად; დაფუძნდა შერეული სამშვიდობო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს, „სამხრეთ ოსეთის“, რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები. შეიქმნა შერეული სამშვიდობო ძალები ქართული, ოსური და რუსული კონტიგენტის შემადგენლობით.⁴⁰

მიუხედავად იმისა, რომ შერეული სამშვიდობო ძალები სოჭის შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა, შერეული ძალების დეტალური მანდატი იმავე წელს ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში ხელმოწერილი შეთანხმებით დაზუსტდა.

ამ ხელშეკრულების მიხედვით (მუხლი 3, პუნქტი I) შერეული სამშვიდობო კომისია შეიქმნა შემდეგი მიზნებით: ცეცხლის შეწყვეტაზე კონტროლი; შეიარაღებული ფორმირებების გაყვანა; თავდაცვის ძალების დაშლა; უსაფრთხოების რეჟიმის უზრუნველყოფა.⁴¹

სოჭის შეთანხმებით რუსეთისთვის განსაზღვრულია მონიტორინგის ფუნქცია. შეთანხმების მიზანი იყო კონფლიქტის შეწყვეტა და კონფლიქტის რეგიონში დემილიტარიზაციის განხორციელება, შეიარაღებული ძალების გაყვანა და სამშვიდობო ძალების ჩაყენება. სამხედრო ჩარევებზე სოჭის შეთანხმებაში არაფერი არ იყო ნათქვამი და შესაბამისად, ამ ვითარებასთან მისი დაკავშირება არაა დეკლარირებული.⁴²

რუსეთის საზღვაო ფლოტის მიერ შავი ზღვის სანაპიროს ბლოკადა, სამხედრო ძალების შესვლა საქართველოს ტერიტორიაზე და საჰაერო იერიშები გასცდა სამშვიდობოების კომპეტენციას. რუსეთის ქმედებებმა საქართველოს ტერიტორიაზე გადააჭარბა სამშვიდობო ფუნქციას და შეგვიძლია შევაფასოთ როგორც აგრესიული აქტი საქართველოს წინააღმდეგ. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი საქართველო დაარღვევდა სოჭის შეთანხმებას, ეს არ გაამართლებდა რუსეთის თავდასხმას საქართველოზე, რადგან სოჭის შეთანხმება ითვალისწინებს სამშვიდობო ღონისძიებების გატარებას, შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში.⁴³

⁴⁰ იქვე.

⁴¹ სოჭის შეთანხმება, 1992 წლის 24 ივნისი, მუხლი 3, პუნქტი I.

⁴² Hoffmann T., The international legal aspects of the Georgia – Russia conflict, Foreign Policy Review, www.kulugyiintezet.hy

⁴³ Land K., Legal aspects of the conflict in Georgia and post-conflict developments, web-static.vn.ee

დასკვნა

სტატიაში წარმოვადგინეთ შემდეგი საკვლევო კითხვა: რუსეთის მიერ დასახელებული მიზეზები იძლევა თუ არა სამართლებრივ საფუძველს, რათა ის ჩაბმულიყო კონფლიქტში? შევაფასოთ თითოეული მიზეზი სამართლებრივად:

რუსეთის ფედერაციის მხრიდან აგრესიის შეჩერების შესახებ არგუმენტი უსაფუძვლოდ იქნა გამოყენებული, რადგან საერთაშორისო სამართლის მიხედვით, აგრესიად მიიჩნევა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ ოსეთს 2008 წლის 8 აგვისტოს არ ჰქონია საერთაშორისო დონეზე აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი, ანუ იგი არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, შესაბამისად, გამოირიცხა საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია. გარდა ამისა, რუსეთს არ ჰქონდა უფლება დამოუკიდებლად ჩაეთვალა საქართველოს ქმედება აგრესიად, რადგან ამის გადაწყვეტა მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია.

ეთნიკური წმენდის შეჩერების შესახებ მიზეზიც არ იძლევა სამართლებრივ საფუძველს, რათა რუსეთი ჩაბმულიყო კონფლიქტში, რადგან, საქართველოს მხრიდან ეთნიკური წმენდის ფაქტი არცერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და დამკვირვებელმა არ დაადასტურა.

სამართლებრივ საფუძველს არ იძლევა რუსეთის კონცეფციაც საზღვარგარეთ თავისი მოქალაქეების დაცვის შესახებ - ომის დასაწყებად რუსეთის მიერ ამ კონფლიქტის კონტექსტში მოყვანილი კიდევ ერთი საბაბი, რადგან სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები ითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის თანახმად; ამდენად, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას რუსული პასპორტები ურიგდებოდათ საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევით. აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციამ ხელოვნურად შექმნა „დასაცავი“ მოქალაქეები. ამასთან, რუსეთის მოქალაქეების დაცვის მოტივით „დაცვის პასუხისმგებლობის“ საკითხის წამოწევა არ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებსა და სახელმწიფოთა პრაქტიკას, რადგან ეს ინსტრუმენტი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო შეუთანხმებლად იღებს გადაწყვეტილებას, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები საკუთარი საზღვრების გარეთ.

და ბოლოს, მცდარია ასევე აპელირება 1992 წლის სოჭის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე, რომელიც ამ ვითარებასთან არაადეკვატურია, რადგან მისი მიზანი გახლდათ კონფლიქტის შეწყვეტა და კონფლიქტის რეგიონის დემილიტარიზაცია.

მაშასადამე, რუსეთის ფედერაციის მიერ დასახალებული ოთხი მიზეზიდან არც ერთი არ წარმოშობს სამართლებრივ საფუძველს, ამ უკანასკნელის კონფლიქტში ჩართვის გასამართლებლად.

უნივერსალური იურისდიქცია საერთაშორისო სისხლის სამართალში

შესავალი

მსოფლიო საზოგადოების ყურადღება უნივერსალური იურისდიქციის იდეაზე პირველად მაშინ გამახვილდა, როდესაც ჩილეს ყოფილი დიქტატორი, აუგუსტო პინოჩეტი ესპანეთის მიერ მისი ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველზე ლონდონში დააკავეს. სახელმწიფოთა ყოფილი ლიდერების გასამართლება, იმ საშინელი ქმედებების გამო, რომლებიც მათ მმართველობის პერიოდში ჩაიდინეს, ახალი მოვლენა არ გახლდათ, მაგრამ, როგორც წესი, მათ გასამართლებას შეიარაღებულ კონფლიქტში გამარჯვებული მხარე ახდენდა. პინოჩეტი კი სწორედ „გამარჯვებულთა“ მხარეს იბრძოდა ცივ ომში. მას ჩილეს მთავრობის მიერ მინიჭებული ჰქონდა იმუნიტეტი ყველა იმ მძიმე დანაშაულის მიმართ, რომელიც ჩადენილ იქნა მისი მმართველობის პერიოდში. თანამდებობის დატოვების შემდეგ მას მიენიჭა „მუდმივი სენატორის“ წოდება, რამაც უზრუნველყო პინოჩეტის იმუნიტეტი მის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით. შეიძლება სწორედ ამიტომაც „ეკუთვნოდა“ მას გასამართლება საერთაშორისო დონეზე (?), მაგრამ ჰქონდათ კი ესპანეთის სასამართლოს თუ ბრიტანეთის ლორდთა პალატას მისი გასამართლების სამართლებრივი საფუძველი?¹

ჰქონდათ კი ესპანეთის სასამართლოს თუ ბრიტანეთის ლორდთა პალატას მისი გასამართლების სამართლებრივი საფუძველი?² მაინც როდის აქვს ეროვნულ სასამართლოს უფლება, დაიწყოს საქმის განხილვა უნივერსალურ იურისდიქციაზე დაყრნობით?

უნივერსალური იურისდიქციის ზუსტ განმარტებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, თუმცა ყველა თანხმდება, რომ „უნივერსალური იურისდიქციის პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფოს უფლება აქვს და ზოგიერთ შემთხვევაში - ვალდებულიც არის, საქმე აღძრას მძიმე დანაშაულებზე,

¹ Macedo S., Universal Jurisdiction - National Courts and the Prosecution of Serious Crimes Under International Law, Philadelphia, University of Pennsylvania, 2004, 54.

² იქვე.

მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დამნაშავის თუ დაზარალებულის წარმომავლობისა³.

უნივერსალურ იურისდიქციას, იმისათვის, რათა იგი გამოყენებულ იქნეს ბრალდებულის განსასჯელად, სხვა სახის იურისდიქციებისგან განსხვავებით, არ სჭირდება კავშირი ბრალმდებელ სახელმწიფოსა და დამნაშავესა თუ დანაშაულს შორის. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გაავრცელოს საკუთარი იურისდიქცია იმ დანაშაულებზე, რომლებიც უნივერსალური იურისდიქციის ქვეშ ხვდებიან. იმის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელის გამოყენება, ძალიან ზრდის ექსტერიტორიულ კომპეტენციას, მნიშვნელოვანია, იგი გამოყენებულ იქნას მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის დანაშაულებთან მიმართებაში.⁴ მაგალითად, წამება წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც ისჯება სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სამართლით, თუმცა ეს დანაშაული დასჯადად არის გამოცხადებული საერთაშორისო სამართლის ისეთი წყაროების მიერ, როგორებიცაა საერთაშორისო ჩვეულება და ხელშეკრულება. წამება წარმოადგენს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს, რომელზეც ვრცელდება უნივერსალური იურისდიქცია.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, უნივერსალური იურისდიქციის გამოყენების საშუალება სახელმწიფოს აქვს იმ შემთხვევაში, თუ ეჭვიმთანილი იმყოფება მის ტერიტორიაზე, თუმცა ამ მოსაზრებას ყველა არ იზიარებს. მაგალითად, „პრინციპების უნივერსიტეტის პრინციპები უნივერსალური იურისდიქციის შესახებ“ აღნიშნავს, რომ უნივერსალურ იურისდიქციაზე დაყრდნობით, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს პირის ექსტრადიცია, რომელიც ეჭვიმთანილია საერთაშორისო თუ ამ ხასიათის დანაშაულის ჩადენაში.⁵ ამდენად, განასხვავებენ ორი სახის უნივერსალურ იურისდიქციას - ჩვეულებრივს, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ეჭვიმთანილი ბრალმდებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება და „უნივერსალურ იურისდიქციას დაუსწრებლად“. ამ უკანასკნელის განსახორციელებლად აუცილებელ გარემოებას არ წარმოადგენს ბრალდებულის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნა. მისი გამოყენების საშუალებით საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს პირის ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოდან.

³ Final Report on the Exercise of Universal Jurisdiction in Respect of Gross Human Rights Offences, International Law Association, Committee on International Human Rights Law and Practice, London, Conference, 2.

⁴ Bantekas I., Nash S., International Criminal Law, Oregon 2003, 154

⁵ The Princeton Principles on Universal Jurisdiction, 2000; იხ. <http://lapa.princeton.edu>

თავი I. უნივერსალური იურისდიქციის განვითარების ისტორიული ასპექტები

ნებისმიერი სახის იურისდიქციას გააჩნია საფუძველი, კერძოდ კი, რაიმე სახის კავშირი დანაშაულსა და სახელმწიფოს შორის. ერთი შეხედვით ასეთი საფუძველი უნივერსალურ იურისდიქციას არ გააჩნია. ისმის კითხვა, საიდან წარმოიშვა და განვითარდა უნივერსალური იურისდიქცია? მარტივი პასუხი ამ კითხვაზე ასე შეიძლება ჟღერდეს: მისი წარმოშობა და განვითარება ეფუძნება სახელმწიფოთა საერთო ინტერესებს.

ყველაზე ნათლად სახელმწიფოთა საერთო ინტერესები გამოიკვეთა მეკობრეობასთან მიმართებაში. უნივერსალური იურისდიქციის გავრცელებამ მეკობრეობაზე, დიდი წვლილი შეიტანა ამ დანაშაულის აღმოფხვრაში. მეკობრეობა ყველაზე ძველი დანაშაულია, რომელიც ექვემდებარება უნივერსალურ იურისდიქციას. სახელმწიფოთა პრაქტიკას ამ დანაშაულთან ბრძოლაში საუკუნეების ისტორია გააჩნია.

არსებობს ორი მიზეზი იმისა, თუ რატომ მოხვდა მეკობრეობა სახელმწიფოთა უნივერსალური იურისდიქციის ქვეშ: ა) დანაშაულის სიმძიმე, რომელიც მას მიაკუთვნებდა ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვის (*hostis humani generis*) და სახელმწიფოებს აიძულებდა ელიარებიანთ, რომ ამ დანაშაულის დასჯა ემსახურებოდა არა მხოლოდ მათი საკუთარი ინტერესების დაცვას, არამედ მსოფლიო თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა ინტერესების დაცვასაც; ბ) მეკობრეობა ვერ ექცეოდა ვერცერთი სახელმწიფოს ეფექტური იურისდიქციის ქვეშ, ვინაიდან ამ დანაშაულის ჩადენა, როგორც წესი, ხდება ღია ზღვაში, ანუ აკვატორიაზე, რომელზეც არცერთი სახელმწიფოს იურისდიქცია არ ვრცელდება. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოებმა დაადგინეს, რომ ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც ჰქონდა ფაქტობრივი შესაძლებლობა დაეკავებინა და დაესაჯა მეკობრეები, შეეძლო გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა, უნივერსალურ იურისდიქციაზე დაყრდნობით.⁶

ვინაიდან მეკობრეობა დაექვემდებარა უნივერსალურ იურისდიქციას, ზოგიერთმა სახელმწიფომ გადანყვიტა ამავე იურისდიქციისთვის მიეკუთვნებინა დანაშაულები, რომლებიც ეხებოდა მონებით ვაჭრობას, მიუხედავად იმისა, რომ „მონობის აკრძალვის შესახებ“ 1926 წლის კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს მსგავსი იურისდიქციის გამოყენების შესაძლებლობას. დანაშაულთა სიმძიმიდან გამომდინარე, ასევე იყო მცდელობა უნივერსალური იურისდიქციისთვის მიეკუთვნებინათ ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით ვაჭრობა და

⁶ Inazumi M., *Universal Jurisdiction in Modern International Law: Expansion of National Jurisdiction for Prosecuting Serious Crimes under International Law*, 2004, 51.

ყალბი კუბიურების დამზადება.⁷ როგორც ვხედავთ, იყო მცდელობა საერთაშორისო ხასიათის მქონე დანაშაულებზე გავრცელებულიყო უნივერსალური იურისდიქცია. მიუხედავად ამისა, დადგინდა, რომ სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეეძლო გამოეყენებინა უნივერსალური იურისდიქცია ზემოთხსენებულ დანაშაულთა მიმართ, თუ სხვა სახის იურისდიქციის მქონე სახელმწიფო, მზად არ იყო ან ვერ ახერხებდა დაესაჯა დამნაშავეები. ამასთან, უნივერსალური იურისდიქციის გამოყენებულ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა განსაკუთრებული ინტერესი დამნაშავეთა დასასჯელად. ამდენი შეზღუდვის არსებობა თავისთავად ეწინააღმდეგებოდა უნივერსალური იურისდიქციის იდეას. შესაბამისად, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის მეკობრეობა რჩებოდა ერთადერთ დანაშაულად, რომელზეც ვრცელდებოდა უნივერსალური იურისდიქცია ყოველგვარი წინაპირობების გარეშე.

თავი II. უნივერსალური იურისდიქციის გაგება კლასიკურ საერთაშორისო სამართალში

თავდაპირველად უნივერსალური იურისდიქციის გამოყენება მიიჩნეოდა უფლებად და არა მოვალეობად, ამასთან ტერიტორიულ და მოქალაქეობრივ საფუძვლებზე არსებული იურისდიქციები უფრო პრიორიტეტულად ითვლებოდნენ. თუ არ მოხდებოდა ექსტრადიქცია ზემოთხსენებული იურისდიქციების საფუძველზე, მხოლოდ მაშინ შეეძლო სახელმწიფოს მიემართა უნივერსალური იურისდიქციისთვის.

უნივერსალური იურისდიქციის „მეორეხარისხოვნება“ გამომწვეული გახლდათ იმ ფაქტით, რომ სახელმწიფოები ვერ შეთახმდნენ, თუ რომელი დანაშაული ეხებოდა მათ საერთო ინტერესებს მეკობრეობის გარდა. ამასთან, სახელმწიფოები არ იჩენდნენ ინიციატივას ეფიქრათ სხვა სახის იურისდიქციაზე, გარდა კლასიკური იურისდიქციის სახეებისა და არც არის გასაკვირი, რომ უნივერსალური იურისდიქცია უყურადღებოდ, მეორეხარისხოვნად რჩებოდა.

თავი III. უნივერსალური იურისდიქცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ტოკიოსა და ნიურბერგის ტრიბუნალების გარდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიმართა მრავალი შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო პროცესი, რომელზეც გაასამართლეს ომის დანაშაულში ბრალდებულები. საინტერესოა თუ რომელი იურისდიქციის

⁷ Research in International Law - Supplement to the American Journal of International Law, 1935.

საფუძველზე მოხდა ამ სასამართლოების ჩატარება? ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს სასამართლო პროცესები წარმოადგენდნენ უნივერსალური იურისდიქციის განხორციელებას. მრავალი სასამართლო პროცესის წყალობით უნივერსალური იურისდიქცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მალევე გახდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი.⁸

რეალურად კი ეს სასამართლო პროცესები ეფუძნებოდა, როგორც ტერიტორიულ იურისდიქციას, ისე პასიური პერსონალურობის პრინციპს, რამეთუ გერმანიაში, ჰოლანდიასა და იტალიაში განლაგებული სამხედრო ტრიბუნალები, მართავდნენ პროცესებს თავიანთი მოქალაქეების დასასჯელად, რომელთაც ბრალი ედებოდათ ომის დროს ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულში. აღნიშნული სასამართლო პროცესები რომც ყოფილიყვნენ უნივერსალური იურისდიქციაზე დაფუძნებულნი, მათი ჩვეულებითი სამართლის ნაწილად ქცევისთვის, მოკავშირეების კონტროლირებად ტერიტორიებზე ჩატარებული სამხედრო ტრიბუნალები საკმარისი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

1949 წლის ჟენევის ოთხივე კონვენცია ავალდებულებს მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, მოძებნონ და ეროვნული სასამართლოს მეშვეობით გაასამართლონ დამნაშავეები, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ომის დანაშაულების ჩადენაში. საზოგადოდ გავრცელებული აზრით, ეს დებულება წარმოადგენს უნივერსალური იურისდიქციის დანესებას მოცემულ დანაშაულებზე, თუმცა მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ვინაიდან უნივერსალური იურისდიქცია პირდაპირ არაა ნახსენები კონვენციებში არ შეიძლება საუბარი იყოს მასზე. მიუხედავად ამ მოსაზრებისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვინაიდან კონვენცია პირდაპირ არ კრძალავს უნივერსალური იურისდიქციის გამოყენებას, იგი ტოვებს ინტერპრეტაციის საშუალებას.

არსებობს მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ იურისდიქცია რომელზეც საუბარია ჟენევის კონვენციებში, წარმოადგენს არა უნივერსალურ არამედ მეომარი ქვეყნებისათვის მინიჭებულ იურისდიქციას. ჟენევის კონვენციები რომც ითვალისწინებდნენ უნივერსალურ იურისდიქციას, ის მიენიჭებოდათ მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან.

დავუშვათ, რომ ჟენევის კონვენციის დებულების ინტერპრეტირებას მივყავართ უნივერსალურ იურისდიქციამდე. უფრო საკვირველი ისაა, რომ მოცემული იურისდიქცია განსხვავდება იმისგან, რომელიც აღიარებული იყო კლასიკურ საერთაშორისო სამართალში. უპირველეს ყოფლისა, ჟენევის კონვენციებში საუბარია სავალდებულო იურისდიქციაზე, ამას დამატებული, სახელმწიფოს ვალდებულება გაასამართლოს ბრალდებული უფრო წინ დგას,

⁸ Inazumi M., *Universal Jurisdiction in Modern International Law: Expansion of National Jurisdiction for Prosecuting Serious Crimes under International Law*, 2004, 56.

ვიდრე მისი ექსტრადირების ვალდებულება, ანუ უნივერსალური იურისდიქცია ტერიტორიულ იურისდიქციაზე წინ დგას.

არც 1948 წლის „გენოციდის შესახებ“ კონვენცია ახსენებს უნივერსალურ იურისდიქციას. თუმცა ეს უკანასკნელი გათვალისწინებული იყო სამუშაო ვარიანტის მეშვიდე თავში, რომელიც მომზადებული გახლდათ გაეროს გენერალური მდივნის მიერ. სამუშაო ვარიანტში ნახსენებ იურისდიქციას სავალდებულო ხასიათი უნდა ჰქონდა. ისეთი დანაშაულები, რომლებშიც გარეული იყვნენ მნიშვნელოვანი და დიდი გავლენის მქონე თანამდებობის პირები, უნდა განეხილა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, ხოლო დანარჩენი საქმეები ეროვნულ სასამართლოებს.

ამ ვარიანტის საპირისპირო მოსაზრება გამოთქვა ირანმა, რომელსაც არ უნდოდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა და სურდა, რომ უნივერსალურ იურისდიქციას ჰქონოდა არა სავალდებულო, არამედ ნებაყოფლობითი ხასიათი. ანუ მისი განხორციელება სახელმწიფოს ნება-სურვილზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. როგორც ვხედავთ, ირანის წინადადება უფრო უნივერსალური იურისდიქციის ტრადიციულ გაგებას ემყარებოდა, ვიდრე თანამედროვეს. თუმცა, საბოლოოდ, კონვენციის მიღებისას, არცერთი წინადადება არ იქნა გათვალისწინებული და საერთოდ არ იქნა ნახსენები უნივერსალური იურისდიქცია, რაც გამონეწეული იყო სახელმწიფოთა გულგრილობით ამ საკითხის მიმართ. გაეროს წევრი სახელმწიფოების უდიდეს ნაწილს მიაჩნდა, რომ მსოფლიოში მშვიდობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სამართლიანობა. იყო იმის შიში, რომ მსგავსი იურისდიქციის კონვენციით გათვალისწინება, გამოიწვევდა უფრო მეტ კონფლიქტს სახელმწიფოთა შორის. ასევე, სახელმწიფოებს ეშინოდათ, რომ ქვეყანათა გარკვეული ნაწილი უნივერსალურ იურისდიქციას გამოიყენებდა საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. სწორედ ამ მიზეზების გამო არ მოხდა, უნივერსალური იურისდიქციის განსაზღვრა და ფორმულირება 1948 წლის კონვენციებით.

1961 წელს ისრაელის „მოსადმა“ დააკავა ადოლფ აიხმანი, „ჰოლოკოსტის არქიტექტორად“ წოდებული გესტაპოს ყოფილი უფროსი, რომელსაც ბრალი ედებოდა ათასობით ებრაელის მკვლელობაში. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ აიხმანის დაკავება მოხდა არგენტინაში ისე, რომ ამ ქვეყანამ საკუთარი მოქალაქის დაკავების შესახებ არაფერი იცოდა. ისრაელი იქცა მსოფლიო თანამეგობრობის კრიტიკის ობიექტად, რადგან მან მთლიანად საკუთარ ხელში აიღო საერთაშორისო დამნაშავის გასამართლება, ამასთან, დაარღვია მეორე ქვეყნის სუვერენიტეტი. აიხმანი გაასამართლეს ისრაელის ეროვნული სასამართლოს მეშვეობით და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ამ საქმეში ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ ისრაელის ქმედებებში იკვეთება უნივერსალური იურისდიქციის იდეა. ისრაელიც სწორედ ამ

იურისდიქციას იყენებდა აიხმანის გასამართლების ერთ-ერთ არგუმენტად. თუმცა, რა თქმა უნდა, უნივერსალური იურისდიქცია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დარღვევას არ ითვალისწინებს, მითუმეტეს ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპისა, როგორცაა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა. ასევე საკითხავია, რამდენად იყო დაცული „სამართლიანი სასამართლოს“ პრინციპი. ის თუ რამდენად სამართლიანი იყო ისრაელის ეროვნული სასამართლო აიხმანის მიმართ, შეგვიძლია დავასკვნათ სასამართლო პროცესის თანმდევ მოვლენებზე თვალის მიდევნებით. საუბარია სასამართლო სხდომების პირდაპირი ეთერით ტრანსლირებაზე, შემდეგ კი მათ ვიდეო გაქირავებაში გაშვებაზე. აიხმანის სასამართლო, მისი სიკვდილით დასჯის პროცესის ჩათვლით, დიდი სანახაობა იყო, რომელიც ისრაელის მთავრობამ მშვენივრად დადგა. ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, რთულია აიხმანის საქმე უნივერსალური იურისდიქციის „გამარჯვებად“, მისი გამოყენების პრეცედენტად ჩაითვალოს.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო უნივერსალური იურისდიქციის იდეის ხორცშესხმა და სახელმწიფოთა გულგრილი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ უკეთესობისკენ შეიცვალა. 1973 წლამდე აპართეიდი, როგორც დანაშაული არ არსებობდა. 1973 წელს გაერომ მიიღო კონვენცია, რომლითაც აიკრძალა აპართეიდის დანაშაული. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ დაეჭირათ და სასამართლოს წინაშე წარედგინათ პირები, რომელთაც ბრალი ედებოდათ მოცემული დანაშაული ჩადენასა თუ ხელშეწყობაში, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა და დანაშაულის ჩადენის ადგილისა.

ამ კონვენციაში ნათლად იკვეთება უნივერსალური იურისდიქციის იდეა თანამედროვე საერთაშორისო-სამართლებრივი გაგებით.⁹

წამება საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად აღიარებულ იქნა 1948 წლის კონვენციით „წამების, არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის შესახებ“. კონვენციის მე-5 თავი ავალდებულებდა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, გამოეყენებინათ მათ ხელში არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება, საკუთარი იურისდიქციის იმ დანაშაულებზე გასავრცელებლად, რომლებიც მოხსენიებული იყო ამავე კონვენციის მე-4 თავში, იმ შემთხვევაში, თუ:

* ეს დანაშაული ჩადენილ იქნებოდა კონვენციის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ან ამ ქვეყანაში რეგისტრირებულ ხომალდსა თუ საფრენი აპარატზე;

⁹ Macedo S., *Universal Jurisdiction - National Courts and the Prosecution of Serious Crimes under International Law*, Philadelphia, University of Pennsylvania, 2004, 54.

* ექვმიტანილი წარმოადგენდა ამ ქვეყნის მოქალაქეს;

* როდესაც დაზარალებული ამ ქვეყნის მოქალაქე იყო და ქვეყანას სურდა დანაშაულზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელება.

ასევე სახელმწიფოს დამნაშავის დაკავება და დასჯა შეეძლო, თუ იგი იმყოფებოდა მის ტერიტორიაზე და არ იარსებებდა მისი ექსტრადიციის მოთხოვნა. კონვენცია არ გამორიცხავდა ეროვნულ სამართალზე დაყრდნობით სისხლის სამართლებრივი იურისდიქციის განხორციელებას.¹⁰

ეს კონვენცია არაპირდაპირი გზით აწესებს უნივერსალური იურისდიქციის გამოყენების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ექვმიტანილის გასამართლების ვალდებულება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მისი ექსტრადიცია.

უნივერსალური იურისდიქციის განვითარების ისტორიული ასპექტების მოკლე განხილვის შემდეგ აუცილებელია შევეხეთ იმ მნიშვნელოვან საქმეებს, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა იურისდიქციის ამ სახეობის განსაზღვრაში.

ერთ-ერთ პირველ საქმეს, რომელშიც შეიძლებოდა დაგვეჩვენა უნივერსალური იურისდიქციის ნიშნები, უკვე შევეხეთ, საუბარია ადოლფ აიხმანის საქმეზე.

მეორე საქმე, რომელმაც მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, იყო ჩილეს ყოფილი დიქტატორის დაკავება ლონდონში 2000 წელს, სადაც იგი სამკურნალოდ იყო ჩასული. მისი დაკავება მოხდა ესპანელი მოსამართლის, ბალტაზარ გარზონის მიერ გაცემული საერთაშორისო დაპატიმრების ორდერის საფუძველზე. მას ბრალად ედებოდა ესპანეთის 94 მოქალაქის წამება და 1975 წელს, ესპანელი დიპლომატის, კარმელო სორიას მკვლელობა. ესპანეთი ინგლისისგან მოითხოვდა პინოჩეტის ექსტრადიციას. ესპანელი მოსამართლის ბრალდება დიდწილად დაფუძნებული იყო უნივერსალურ იურისდიქციაზე. პინოჩეტს ბრალი ედებოდა ისეთი დანაშაულების ჩადენაში, რომელიც ხვდებოდა ამ სახის იურისდიქციის ქვეშ.

ინგლისის ლორდთა პალატაში 16 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა პინოჩეტის საქმის განხილვა. მესამე მოსმენით, პინოჩეტს მოუხსნეს იმუნიტეტი, რომელიც მას გააჩნდა როგორც სახელმწიფოს ყოფილ მეთაურს. მას ბრალი ედებოდა წამების დანაშაულში, რომელიც არ შეიძლებოდა ჩადენილი ყოფილიყო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

ეს საქმე ჩვენთვის მნიშვნელოვანი იმით არის, რომ იგი უნივერსალურ იურისდიქციას ეყრდნობა. ესპანური მხარე პინოჩეტს ბრალს სდებდა სწორედ უნივერსალურ იურისდიქციაზე მითითებით. ეს იყო პირველი მცდელობა გაესამართლებინათ არა დამარცხებული,

¹⁰ Research in International Law - Supplement to the American Journal of International Law, 1935.

არამედ როგორც უკვე ავლნიშნე, „გამარჯვებულთა“ მხარეს მებრძოლი ქვეყნის ყოფილი მეთაური. მიუხედავად იმისა, რომ პინოჩეტი, საბოლოოდ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზით, საკუთარ ქვეყანაში დააბრუნეს და მისი დასჯა არ მომხდარა, ამ საქმემ დატოვა იმის იმედი, რომ შესაძლებელია უნივერსალურ იურისდიქციაზე დაყდნობით ნებისმიერი სახელმწიფოს მეთაურების გასამართლება იმ დანაშაულების გამო, რომელებიც მათ საკუთარ პოსტზე ყოფნის დროს ჩაიდინეს.

ასევე აღსანიშნავია საქმე - ბელგია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ბელგიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა უნივერსალური იურისდიქცია და დაენყო საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებში ექვმიტანილ პირთა დევნისა და გასამართლების პროცესი. ბელგიის ეროვნულმა სასამართლომ გამოაცხადა იეროდია ნდომბასის (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი) ძებნა და გასცა მისი დაკავების ბრძანება. ძებნა გამოცხადდა ინტერპოლის მეშვეობით. ბელგიის სასამართლო იეროდია ნდომბასის ბრალად სდებდა ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას. მისმა საჯარო გამოსვლამ 1998 წელს, გამოიწვია ეთნიკური შუღლი და ტუტსის ტომის გენოციდი. საინტერესოა, რომ ბელგიას არ გააჩნდა არანაირი სამართლებრივი კავშირი არც ჩადენილ დანაშაულთან და არც დამნაშავესთან. ბელგიის ეროვნული სასამართლოს ბრალდება მთლიანად ეყრდნობოდა უნივერსალური იურისდიქციის პრინციპს.

2000 წელს კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სარჩელი შეიტანა ბელგიის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოში და მოითხოვა მისგან იეროდია ნდომბასიზე გაცემული დაკავების ბრძანების უკან გამოთხოვა ყველა იმ ქვეყნიდან, რომელსაც ეს ბრძანება გაეგზავნა და ბელგიის მიერ ბოდიშის მოხდა იმ მორალური ზიანისთვის, რომელიც იეროდია ნდომბასის მიაღვა. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ ბელგიას არანაირი სამართლებრივი კავშირი არ გააჩნდა ბრალდებულთან და ამასთან, ბრალდებული წარმოადგენდა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს და მას საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით გარანტირებული ჰქონდა იმუნიტეტი, როგორც სამსახურეობრივი, ისე - პერსონალური.

თავის მხრივ, ბელგია ამტკიცებდა, რომ მის მიერ გაცემული დაკავების ბრძანება ეფუძნებოდა უნივერსალურ იურისდიქციას და ამ უკანასკნელზე დაყდნობით მას უფლება ჰქონდა დაეკავებინა და გაესამართლებინა ნებისმიერი საერთაშორისო დამნაშავე. რაიმე სახის კავშირის არსებობა ბრალდებულსა და ქვეყანას შორის საჭირო არ იყო. ბელგიას მაგალითად მოჰყავდა პინოჩეტის საქმეც, რომელშიც სახელმწიფოს ყოფილ ლიდერს მოუხსნეს იმუნიტეტი,

რადგან მას ჩადენილი ჰქონდა საერთაშორისო ხასიათის დანაშაული.¹¹

საბოლოოდ, გაეროს საერთაშორისო სასამართლომ არ გაიზიარა ბელგიის პოზიცია და უარყო უნივერსალური იურისქციის არსებობის შესაძლებლობა მოცემულ საქმეში, დაეყრდნო რა, უნივერსალური იურისდიქციის ჩვეულებრივ განმარტებას და აღნიშნა, რომ უნივერსალური იურისდიქციის განხორციელებისთვის საჭიროა ბრალდებული იმყოფებოდეს იურისდიქციის განმახორციელებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. თუმცა ამ გადაწყვეტილებაში სასამართლო არ იყო ერთსულოვანი. მოსამართლე ვან დენ ვინგერტს მიაჩნდა, რომ არ შეიძლებოდა „დაუსწრებელი უნივერსალური იურისდიქციის“ გამორიცხვა და არ არსებობდა ჩვეულებით სამართალში ნორმა, რომელიც იურისდიქციის ამ სახეს კრძალავდა.

2008 წლის აგვისტოს დასაწყისში ესპანეთის ეროვნულმა სასამართლომ დაიწყო საქმის მოსმენა 7 ჩინელი საჯარო პირის წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ წინასაოლიმპიადე რეპრესიებში ტიბეტში. ტიბეტი არ წარმოადგენს ესპანეთის ტერიტორიას და არც დაზარალებულები იყვნენ ესპანეთის მოქალაქეები, ანუ საქმის წარმოება მთლიანად დაეყრდნო უნივერსალური იურისდიქციის პრინციპს.

შეიძლება ითქვას, რომ დღემდე უნივერსალურმა იურისდიქციამ ვერ მოიკიდა ფეხი საერთაშორისო სამართალში. ჩვენი აზრით, ამის მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და უნივერსალურ იურისდიქციას შორის დაპირისპირება. სახელმწიფოთა უმეტესობას მიაჩნია, რომ უნივერსალური იურისდიქცია წარმოადგენს მათი სახელმწიფო სუვერენიტეტის შემზღვეველ იარაღს, ამიტომაც ერიდებიან მის გამოყენებას საერთაშორისო დამნაშავეების დასასჯელად. დღემდე მშვიდობა უფრო ფასობს, ვიდრე სამართლიანობა. სამართლიანობას არ მიიჩნევენ მშვიდობის გარანტიად. უნივერსალური იურისდიქციის ხშირი გამოყენების პრეცედენტის დანერგვის შიში დღემდე აქვთ სახელმწიფოებს და ეს შიში საფუძველს მოკლებული არ არის. არ არსებობს მყარი გარანტიები იმისა, რომ იურისდიქციის გამოყენება, რომელიც არ მოითხოვს არანაირ კავშირს ბრალმდებელ სახელმწიფოსა და დამნაშავეს შორის, ბოროტად არ იქნება გამოყენებული რიგი სახელმწიფოების მიერ. საერთაშორისო სასამართლომ საქმეში, კონგო ბელგიის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ პინოჩეტის საქმე არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლებრივ პრეცედენტს, ვინაიდან იგი განიხილებოდა ეროვნული სასამართლოს მიერ. გარკვეულწილად გასაგებია სასამართლოს ასეთი პოზიცია, ვინაიდან იმის დადგენა, რომ ნებისმიერი შეიძლება დაისაჯოს

¹¹ Gray K. R., Case Concerning the Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium).

თანამდებობის მიუხედავად, არ არის მისაღები თანამედროვე მსოფლიო წესრიგისათვის. არავის უნდა თანამდებობის დატოვების შემდეგ მუდამ ჰქონდეს იმის შიში, რომ მათი პოლიტიკით უკმაყოფილო რომელიმე ქვეყანა გადაწყვეტს და უნივერსალურ იურისდიქციაზე დაყრდნობით შეეცდება მათ გასამართლებას.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კონვენციების დიდი ნაწილი არ აღიარებს უნივერსალურ იურისდიქციას. მაგალითად, კონვენცია „გენოციდის დანაშაულის აკრძალვის შესახებ“ ადგენს, რომ პირები რომლებიც ბრალდებულნი არიან გენოციდის დანაშაულის ჩადენაში, უნდა გაასამართლონ იმ ქვეყნის კომპეტენტურმა სასამართლო ორგანოებმა, რომელშიც მოხდა დანაშაული, ან საერთაშორისო ტრიბუნალებმა, თუ მათ გააჩნიათ ამის უფლება. ამ კონვენციით უპირატესობა ტერიტორიულ იურისდიქციას ენიჭება, თუმცა, ვინაიდან გენოციდი არ არის უნივერსალურობის პრინციპის ობიექტი კონვენციურ დონეზე, მის მიმართ უნივერსალური იურისდიქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთაშორისო ჩვეულებით სამართალზე დაყრდნობით.¹²

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, უნივერსალური იურისდიქცია შეიძლება გავრცელდეს ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, გენოციდზე, წამებასა და ზოგიერთი საერთაშორისო ხასიათის მქონე დანაშაულზე. აუცილებელი პირობაა, დანაშაული თანაბრად ეხებოდეს საერთაშორისო საზოგადოებას და უხეშად არღვევდეს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს, საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

რა თქმა უნდა, უნივერსალურ იურისდიქციის გამოყენებას გააჩნია დადებითი მხარეებიც. უპირველეს ყოვლისა ესაა სამართლიანობის შეგრძნება. იურისდიქციის ეს სახე შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც გარანტი იმისა, რომ არავინ დარჩება დაუსჯელი, სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და საკუთარ იმუნიტეტს ამოფარებული.

არსებობს მოსაზრება, რომ სახიფათოა სამართალს მისცე უფლება „გათელოს პოლიტიკოსები“, თუმცა უნივერსალური იურისდიქციის მომხრენი, თავის მხრივ ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ვერ იქნება სამართლიანობის გარანტი და ეს ფუნქცია სამართალმა უნდა იკისროს. მათი აზრით, თუ სამართალი ჩანაცვლებს პოლიტიკას, მშვიდობა და სამართლიანობა დამყარდება.¹³

2002 წელს ფუნქციონირება დაიწყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო. აღნიშნული სასამართლო არ

¹² Bassiouni M. Ch., Crimes against Humanity in International Criminal Law, Kluwer law International, 1999, 234.

¹³ Van Maanen C., What Does Universal Jurisdiction Mean for the Future of the Sovereign State? August 28, 2009; იხ. <http://www.quantitativepeace.com>

წარმოადგენს უნივერსალური იურისდიქციის განმასორციელებელ ორგანოს, თუმცა მისი საქმიანობა იძლევა იმედს, რომ ეს იურისდიქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას დადებითი შედეგების მისაღწევად მსოფლიო საზოგადოებისთვის.¹⁴ მაგალითისთვის, კონგომ 2006 წელს სასამართლოს გადასცა ტომას ლუბანგა, სამხედრო მეთაური, რომელსაც ბრალად ედებოდა ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენა. მართალია, იგი წარმოადგენს დამარცხებულ მხარეს კონგოსთან ომში, მაგრამ, იმედია, რომ ის „გამარჯვებულთა სამართლით“ არ გასამართლდება.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უნივერსალური იურისდიქცია არ შეიძლება განხილულ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობებისგან განცალკევებით. სწორედ საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები აფერხებს მოცემული იურისდიქციის ეფექტურ და სამართლიან გამოყენებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო საზოგადოების ნაწილი უნივერსალურ იურისდიქციას სკეპტიკურად უყურებს, ნაწილი კი მასში სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარებისთვის საუკეთესო ბერკეტს ხედავს. ჩვენი აზრით, სიმართლე ორივე მხარეს არის. ერთის მხრივ, დაუშვებელია მხოლოდ „გამარჯვებულთა სამართალი“ არსებობდეს და არ ისჯებოდნენ თუნდაც სახელმწიფოს მეთაურები, მეორე მხრივ, კი მსოფლიოში მშვიდობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის უნივერსალური იურისდიქციის ბოროტად გამოყენება.

ჩვენი აზრით, საჭიროა უნივერსალური იურისდიქცია გათავისუფლდეს ყოველგვარი პოლიტიკური ზენოლისაგან. მსოფლიო თანამეგობრობის მიერ ზუსტად უნდა განისაზღვროს მისი გამოყენების შესაძლო შემთხვევები და დადგინდეს პასუხისმგებლობის მექანიზმები იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც ხელს უშლიან მსგავსი იურისდიქციის განხორციელებას. ასევე, გაეროს მიერ შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური სასამართლო, რომელიც განიხილავს მხოლოდ უნივერსალურ იურისდიქციაზე დაფუძნებულ საქმეებს. სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ ამ სასამართლოს იურისდიქციას, ვალდებული უნდა იყვნენ მას გადასცენ უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების შედეგად დაკავებული პირები. შეიძლება ეს ყველაფერი ცოტათი უტოპიურად ჟღერდეს თანამედროვე მსოფლიო მართლწესრიგის პირობებში, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსალური იურისდიქცია ყოველთვის დარჩება სამართლიანობის დამყარების არასრულფასოვან მექანიზმად და რამდენი ნაშრომიც არ უნდა დაიწეროს მის შესახებ, შეუძლებელი იქნება მისი არსის ზუსტად განსაზღვრა.

¹⁴ Chevigny P., The Limitations of Universal Jurisdiction, Global Policy Forum, March 2006, იხ. <http://www.globalpolicy.org>